ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

„ახალი თაობა“+ ნობელი

8 ლარი

6 დეკემბრიდან




ორშაბათი, 12 დეკემბერი, 2011 №294 (5674) ფასი: 30 თეთრი

## ბიძინა ივანიშვილი: „ჩვენი მიზანია საქართველოს გამარჯვება და არა ვინმეს დამარცხება“ გვ. 3



რატომ შეაქო ბიძინა ივანიშვილმა ვანო მერაბიშვილის მუშაობა და რის გამო წავიდა კახა კალაძე ნაკრების კაპიტნობიდან





## ირაკლი მელაშვილი: გვ. 5 ვადამდელი არჩევნები დღის წესრიგში ისევ დგას





## კოკოითი გადადგა

ოპოზიცია მაინც უკმაყოფილოა გვ. 2

## ჯონ ბასი: ამერიკა არც ერთ პოლიტიკურ ძალას გვ. 2 არ უჭერს მხარს



## პატრიარქი ხელისუფლებას სოფლების დახმარებისაკენ მოუწოდებს გვ. 2



## თემურ შაშიაშვილი: საქართველოს სექტები შემოესივნენ

გვ. 4

## რამდენი პოლიტპატიმარია გვ. 5 საქართველოში



## მოროშკინა ადმინისტრაციულ სახდელს მოდულის შენობაში მოიხდის

გვ. 5



## საქართველოში გენმოდიფიცირებულმა პროდუქციამ იმატა გვ. 7

ISSN 1987-9385

4 რამაზ საყვარელიძე: როგორც ჩანს, ივანიშვილი ნანგრევებზე სიარულს არ აპირებს

7 კრემლი აფხაზების გარუსებას ცდილობს

4 ნინო ბურჯანაძე: ტრაგიკულია, რომ დღევანდელ საქართველოში 87 პოლიტიკური პატიმარია

11 რუსეთში მიტინგებს დაკავებების გარეშე არ ჩაუვლია

შედით საიტზე atb.ge

„%!!

# ჯონ ბასი: ამერიკა არც ერთ პოლიტიკურ ძალას არ უჭერს მხარს

თეა მარხვაიძე

მშობლიური ხელისუფლება ხშირად უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ამერიკა საქართველოს მხარს მათი ხათრით უჭერს. განსაკუთრებული აქცენტი საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილზე კეთდება. ნაციონალების მტკიცებით, აშშ-ს მასზე ამოსდის მზე და მთვარე. ოდესღაც მართლა ასე იყო. მთლად ასეც არ იყო. მზე არ ამოსდიოდა, მაგრამ დემოკრატიის შუქურად კი მიაჩნდა ჩვენი პრეზიდენტი აშშ-ს ექსპრეზიდენტ ჯორჯ ბუშ უმცროსს. სენატორი მაკკეინი მას უფრო მაღალ შეფასებას აძლევს. სენატორს სააკაშვილი პოსტსაბჭოთა სივრცეში ყველაზე დემოკრატ და მაგარ ლიდერად მიაჩნია. ამას ხან თავად მაკკეინი ამბობს, ხან ჩვენი ნაციონალები.

ჩვენი ხელისუფლება ამერიკის ყოფილი ელჩის ჯონ ტეფტის დიდი მხარდაჭერითაც სარგებლობდა. ოპოზიცია ხშირად ჩიოდა, რომ ტეფტი ვაშინგტონში ნაციონალებისთვის სასარგებლო ინფორმაციებს აგზავნიდა.

2008 წელს საპრეზიდენყო არჩევნებში მეორე ტური რომ არ დაინიშნა, ოპოზიციის მტკიცებით, ესეც ტეფტის და ამერიკის დიდი დამსახურებაა.

ამ მხრივ ვითარება ბუშის წასვლის შემდეგ შეიცვალა. ობამას ადმინისტრაცია ჩვენს ხელისუფლებას მოწყალე თვალით აღარ უყურებს. არც აშშ-ს ელჩი ჯონ ბასია ნაციონალებით აღფრთოვანებული.

მან ჩვენს ხელისუფლებასთან დაკავშირებით რამდენიმე კრიტიკული განცხადება გააკეთა. ამით ოპოზიციამ დიდად გაიხარა. ელჩს 26 მაისს ის განცხადება რომ არ გაეკეთებინა, მას ოპოზიციონერადაც გამოაცხადებდნენ. ახლა ოპოზიცია ამტკიცებს, რომ არა ელჩის ის განცხადება, ხელისუფლება ისე დაუნდობლად ვერ დაარბევდა 26 მაისის აქციას.

ამ განცხადებას მშობლიური ხელისუფლებაც ხშირად ატრიალებდა. თუმცა, როცა ბასი ძალის გადამეტებაზე ალაპარაკდა, არ მოეწონათ, მაგრამ არ შეიმჩნიეს.

მათ არც ის შეიმჩნიეს, როცა ბასმა თქვა, აშშ არც ერთ კონკრეტულ ლიდერს არ უჭერს მხარსო. ნაციონალები ისევ ამტკიცებენ, ვაშინგტონი მარტო სააკაშვილს აღიარებსო. მათი აღშფოთება და შეშფოთება მაშინ უნდა გენახათ, როცა ოქტომბრის თვეში ბატონი ბასი ბიძინა ივანიშვილთან მივიდა. კადრებს, სადაც ბასი ივანიშვილს ხელს ართმევს, მმართველი გუნდი დღემდე მშვიდად ვერ უყურებს.

მართალია ბასმა თქვა, რომ იქ მისვლაში არაფერი განსაკუთრებული არ იყო, მაგრამ ამ სიტყვებმა როგორ უნდა ჩააქროს ის ცეცხლი, რაც მმართველთა გულში ტრიალებს.

ცეცხლი და ნავთი იქით იყოს და ისევ ბასის განცხადებას დავუბრუნდეთ. ამერიკის დესპანმა არჩევნებთან დაკავშირებით საკმაოდ საინტერესო განცხადება გააკეთა.

მოგეხსენებათ, რა ალიაქოთია ატეხილი რუსეთში არჩევნების გაყალბების გამო. ამ ალიაქოთს ჩვენი ხელისუფლებაც აქტიურად ეხმიანება. თან ისეთი შეშფოთებული არიან არჩევნების გაყალბებით, თითქოს მსგავსი რამ არც კი გაუგონიათ. არადა, მათზე უკეთ ვინ იცის გაყალბებული არჩევნების ფასი.

ისე, საინტერესოა, დუმის არჩევნებში ზეციური რუსეთის წარმომადგენლები თუ მონაწილეობდნენ. ჩვენს არჩევნებში მკვდარი სულები, როგორც წესი, აუცილებლად მონაწილეობენ.

რუსული გაყალბება ვაშინგტონშიც შეიცხადეს. საინტერესოა, ჩვენებური ამბები ასე ახლოს რატომ არ მიიტანეს გულთან. დავიჯეროთ, ჩვენებურები ისე აყალბებენ, რომ ვაშინგტონში ვერაფერს იგებენ?

პრინციპში როგორ გაიგებდნენ. ტეფტი თავის „დაკლადებში“ ნაციონალების სასარგებლოდ წერდა. ბასის ელჩობისას კი ერთი არჩევნები ჩატარდა მხოლოდ. და მაშინაც ოპოზიციონერებმა აღიარეს, ეს არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდაო.

მუქარა არც ზურაბ ნოღაიდელს შეუსრულებია. არჩევნების წინ მან თქვა, თუ გაყალბება იქნა, ხელისუფლებას ხელებს და ფეხებს შემოვამტვრევო. და რაკი



ჯონ ბასი

არავის არაფერი მოსტეხია, გამოდის, რომ არც არჩევნები გაყალბებულა.

საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებაზე ჩვენში ოპოზიციასა და ხელისუფლებას შორის მოლაპარაკებები მიდიოდა. თავიდან რვიანი იყო, მერე – ექვსიანი.. მერე, საერთოდ დაიშალნენ.

ოპოზიცია ჩივის, რომ ხელისუფლება არჩევნების მასშტაბურ გაყალბებას აპირებს. ნაციონალებმა იმის მაგივრად, საარჩევნო გარემო გაეუმჯობესებინათ, დეპუტატების რაოდენობა გაზარდეს.

ახლა პრეზიდენტის თამადობით გაიძახიან, ჩვენ რა შუაში ვართ, ოპოზიციამ დაგვაძალა და ამიტომ მოვიქეცით ასეო. რა ვიცი, ოპოზიცია სააკაშვილს გადადგომასაც აძალებდა, მაგრამ ჩვენი პრეზიდენტი არ გადამდგარა და არც აპირებს.

საქართველოსთვის მომავალი 2 წელი ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. 2012 წელს პარლამენტს ავირჩევთ. 2013 წელს კი პრეზიდენტის არჩევასაც შევეცდებით.

მომდევნო 2 წლის დიდ მნიშვნელობაზე აშშ-ს დესპანმა ჯონ ბასმაც გაამახვილა ყურადღება და სიხარულით გვამცნო, კაციშვილს არ ვუჭერთ მხარსო.

– აშშ მომავალ საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნებში არა რომელიმე კანდიდატს ან პარტიას უჭერს მხარს, არამედ იმას, თუ რომელი შეძლებს ადამიანის უფლებების კიდევ უფრო უზრუნველყოფას, – ამის შესახებ ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ჯონ ბასის ვიდეომიმართვაშია ნათქვამი, რომელიც აშშ-ს საელჩომ გაავრცელა.

ამ განცხადებით ოპოზიცია ძალიან კმაყოფილია. ჭმუნვა არც ნაციონალებს ეტყობათ, რამეთუ თავი დემოკრატიის ციცინათელებად მიაჩნიათ.

– მომავალი ორი წელი ქართველი ერისთვის მნიშვნელოვანი შესაძლებლობაა, ჩაერთონ უფრო დემოკრატიული, პლურალისტური და თავისუფალი ქვეყნის შენებაში. მარტო მთავრობები ვერ ააშენებენ ძლიერ დემოკრატიებს, მზარდ ეკონომიკებს ან სტაბილურ საზოგადოებას. თავად ხალხი ირჩევს ოფიციალურ პირებს და პასუხისმგებლობას აკისრებს საარჩევნო ყუთით, რომელნიც იცავენ მათ თავისუფლებებს, – განაცხადა ჯონ ბასმა.

აშშ-ის ელჩი იმედოვნებს, რომ მომავალ არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით ქართველი ხალხის დაინტერესება დიდი იქნება.

– საქართველოს ყველა მოქალაქეს, მიუხედავად პოლიტიკური კუთვნილებისა თუ ეთნიკურობისა, აქვს უფლება, მიიღოს მონაწილეობა სამოქალაქო ცხოვრებაში. დღეს ადამიანის უფლებების დაცვის საერთაშორისო დღეა. მე წარმატებას ვუსურვებ ყველა ქართველს ძლიერი და ჯანმრთელი დემოკრატიის შენებაში. ვიმედოვნებ, რომ ყველა თქვენგანი მონაწილეობას მიიღებს მომავალ არჩევნებში და გექნებათ აქტიური როლი სამოქალაქო ცხოვრებაში იმისათვის, რომ აიხდინოთ თქვენი ოცნება უკეთესი მომავლისთვის, თქვენი შვილებისა და თანამოქალაქეებისთვის, – აღნიშნა ამერიკელმა დიპლომატმა.

ზოგადად ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებზე საუბრისას ბასმა აღნიშნა, რომ ის ყველა ქვეყანაში უნდა იყოს დაცული.

– ადამიანების გონებასა და სულში ღრმად დევს რწმენა იმისა, რომ ყოველ ადამიანს აქვს „უფლება“. ამ უფლებების დაცვა მარტო ამერიკულ მემკვიდრეობას არ წარმოადგენს. ის დაბადებითი უფლებაა ყოველი ქალის, კაცის თუ ბავშის მთელ მსოფლიოში. ქართველებმა იციან, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამ თავისუფლებებს. ამ ქვეყნის ბევრმა მოქალაქემ ძალიან კარგად იცის, რას ნიშნავს წართმეული გქონდეს ძირითადი უფლებები, იცხოვრო თავისუფლების გარეშე. დღეს, ძალიან ბევრ ქართველს არ შეუძლია დაბრუნება საკუთარ სახლებში და საკუთარი უფლებების გამოყენება საკუთარ რეგიონებში. ჩემთვის ნათელია, რომ ქართველები ერთგულები არიან ამ თავისუფლებების შენარჩუნებისა და ამაში შეერთებული შტატების მხარდაჭერაც გაქვთ, – აღნიშნა ბასმა.

ელჩის შეფასებით, ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით საქართველოში რამდენიმე მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა, მათ შორის ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს დანერგვა, ეროვნული სამოქმედო გეგმა ქალებისთვის და რელიგიური უმცირესობების შესახებ კანონის მიღება.

– ყველა მათგანი მნიშვნელოვანი და აუცილებელია, – აღნიშნა აშშ-ში საქართველოს ელჩმა.

რელიგიურ უმცირესობებზე კანონის მიღება და გენდერული ბალანსის დაცვა კაია, მაგრამ სხვა რაღაცებში რომ სერიოზულად გვიჭირს.

აი, თუნდაც იგივე განსხვავებული აზრის მქონე ადამიანების და თავისუფალი მედიის დევნა. ჩვენში ისევ ჩვეული ამბავია.

ხელისუფლების არადემოკრატიული ნაბიჯების ჩამოთვლა ალბათ შორს წაგვიყვანს. იმედი ვიქონიოთ, რომ ოდესმე ბასი თავადაც გაამახვილებს ყურადღებას ამ დარღვევებზე. გენდერული ბალანსი და რელიგიური უმცირესობების დაცვა დემოკრატიულ ქვეყანას ნამდვილად არ ნიშნავს.

გადამწყვეტი სიტყვა კი მაინც ქართველ ხალხზეა. წინ 2 მნიშვნელოვანი არჩევნები გველოდება. არჩევნები, რომლებშიც ყველამ უნდა მივიღოთ მონაწილეობა. და კიდევ ერთი, ჩვენმა მოსახლეობამ აუცილებლად უნდა ისწავლოს არჩევნის გაკეთება.

პარადოქსია, მაგრამ ჩვენთან ხდება პრეზიდენტს ჯერ 87 და 90 პროცენტით ვირჩევთ, შემდეგ კი მის ჩამოსაგდებად ვხარჯავთ დიდ ენერგიას. მოსახლეობა უნდა შეეჩვიოს, რომ გაკეთებულ არჩევანზე მასაც ეკისრება პასუხისმგებლობა.

## პატრიარქი ხელისუფლებას სოფლების დახმარებისაკენ მოუწოდებს

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II საკვირაო ქადაგებაზე სოფლების მოსახლეობისგან დაცლის პრობლემაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს ადამიანებს იმისათვის, რომ ისინი არ წამოვიდნენ სოფლებიდან.

როგორც ილია II ბრძანა, ადამიანების სოფლიდან წასვლის ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ პირადობის ახალ მოწმობებში არ არის მითითებული პიროვნების საცხოვრებელი ადგილი და ადამიანებს უწინდელ კერაზე ვერაფერი აჩერებს.

პატრიარქი კიდევ ერთ პრობლემად მიჩნევს მანდილოსნების საზღვარგარეთ წასვლას და მუშაობას დამლაგებლებად და მომვლელებად მაშინ, როდესაც მამაკაცი სახლშია და არ მუშაობს.

სირცხვილია, რომ უცხოეთში გადიან ქალბატონები და იქ უვლიან ბავშვებს და იატაკებს წმენდენ. ეს არის დამამცირებელი ჩვენთვის. უწინ მამაკაცი შოულობდა ფულს, ახლა კი მამაკაცი სახლშია და ქალი სად არის და ვისთან არის, ღმერთმა იცის, – ბრძანა უწმინდესმა და დასძინა, რომ ეკონომისტებმა რჩევა უნდა ჰკითხოს ხალხს, რადგან მათ უკეთ იციან, რა სჭირდება სოფელს.

როგორც პატრიარქმა აღნიშნა, კარგი იქნება, თუ სახელმწიფო სოფლის მოსახლეობას გამოუყოფს კრედიტს, რომლითაც აშენდება საწარმო, ფაბრიკა ან ფერმა, სადაც დასაქმდება ხალხი და ექნებათ შემოსავალი.

– კარგი იქნება, თუ თითო ოჯახს სახელმწიფო გამოუყოფს კრედიტს 10 ათას დოლარს, რაც 100 ოჯახზე გამოვა მილიონი. მაგრამ ეს ფული კი არ უნდა მისცენ ხალხს, ხალხი გაჭირვებულია და უცებ დახარჯავს, არამედ ამ ფულით უნდა აშენდეს ისეთ საწარმო, სადაც დასაქმდება მთელი სოფელი. შესწავლილი უნდა იქნას ესა თუ ის სოფელი და უნდა აწარმოონ ის, რაც უფრო მეტ სარგებელს მოიტანს, – აღნიშნა პატრიარქმა.

მისივე თქმით, ინვესტიცია შეიძლება განახორციელოს როგორც სახელმწიფომ, ისე ბიზნესმენებმა.

მედიანიუსი

# კოკოითი გადადგა

თეა მარხვაიძე

10 დეკემბერს ცხინვალში დიდ არეულობას ელოდნენ. საპრეზიდენყო არჩევნებში გამარჯვებული ალა ჯიოევა ინაუგურაციის მოწყობას აპირებდა. რის შემდეგაც მთავრობა უნდა დაეკომპლექტებინა. თავიდან ედუარდ კოკოითი ამას ღიმილიანი მზერით უყურებდა. მერე როგორც იქნა მიხვდა, რომ გაკაპასებული ქალი არ ხუმრობდა და დათმობაზე წავიდა. ის თანამდებობიდან გადადგა. მისი გადადგომა და გენერალ ბარანკევიჩის დაბადების დღე ოპოზიციამ ერთად აღნიშნა. მოგვიანებით გაირკვა, რომ კოკოითის ვირეშმაკობა გამოუჩენია.

არეულობა ცხინვალში 29 ნომებერს დაიწყო. სწორედ იმ დღეს გამოაცხადა ადგილობრივმა უზენაესმა სასამართლომ არჩევნების შედეგები ბათილად. ის არჩევნების შედეგები გააუქმეს, რომელიც ალა ჯიოევამ პორწმინდად მოიგო. არჩევნების შედეგები მისმა კონკურენტმა ანატოლი ბიბილოვმა გაასაჩივრა. კრემლის და კოკოითის ნებიერამ არჩევნებში რომ ვერაფერი ქნა, სასამართლოს მიმართა.

სასამართლომ რა განაჩენიც გამოიტანა უკვე მოგახსენეთ. ამის შემდეგ ცხინვალში აქციები დაიწყო და ქალაქის თეატრალურ მოედანზე კარვებიც დასცეს.

მოსკოვმა ვითარების განმუხტვის მიზნით, იქ თავისი წარმომადგენელი მიავლინა. რომელმაც ერთმანეთთან კი შეახვედრა მომდურებულები მაგრამ არაფერი არ გამოუვიდა.

კოკოითი თავის პოზიციაზე იდგა, ჯიოევა თავისაზე. ამ უკანასკნელზე გავლენა ვერც ამინდმა იქონია. თოვლმა ვერც მისი მომხრეები შეაშინა.

ალა ჯიოევამ სახელმწიფო საბჭოც შექმნა და როგორც უკვე ავღნიშნეთ ინაუგურაციისთვის დაიწყო სამზადისი. მას გვერდში გენერალი ანატოლი ბარანკევიჩი ედგა. რომელიც აქ დიდი პოპულარობით სარგებლობს.

გავრცელებული ინფორმაციით, კოკოითიმ რამდენჯერმე მოინდომა აქციის დარბევა. რაზეც ძალოვანებმა უარი განაცხადეს.

კოკოითიმ შეიარაღებული დაპირისპირების ინსცენირებაც სცადა. რამდენიმე დღის წინ ცხინვალში გენპროკურორის სახლი დაცხრილეს. თეიმურაზ ხუგაევის სახლს ტანკსაწინააღმდეგო ტყვიამფქვრევიდან ესროლეს.

ამ ინციდენტიდან რამდენიმე დღეში ცხინვალის ცენტრში რამდენიმე ავტომანქანა დაცხრილეს. კოკოითი ფიქრობდა, რომ ამას ხალხის უკმაყოფილება მოჰყვებოდა. რომლებიც თავის მხრივ ჯიოევას მომხრეებს დაუპირისპირდებოდნენ.

მსგავსიც კი არაფერი მომხდარა. უფრო მეტიც ხალხის აგრესია კოკოითის მიმართ უფრო იზრდებოდა. მან აგრესიის შემცირება სხვადასხვა მეთოდებით სცადა. თავიდან რამდენიმე მინისტრი მოხსნა.

ოპოზიცია ამას არ დასჯერდა. ისინი მის გადადგომას ითხოვდნენ. გებერალი ბარანკევიჩი ამბობდა, რომ ისინი მხოლოდ ერთ შემთხვევაში დათმოცდნენ პოზიციებს. ეს პირობა ასეთი იყო: კოკოითის უფლებამოსილება პრემიერ ვადიმ ბროვცევისთვის უნდა გადაეცა.

კოკოითი თავიდან უარზე იყო. მისი მტკიცებით, ჯიოევას და მის მომხრეებს საქართველოს ხელისუფლება უმაგრებდა ზურგს. კოკოითის თქმით, ისინი ნარინჯისფერ რევოლუციას ამზადებდნენ. ის ძალაუფლების გადაცემაზე მანამდე ამბობდა უარს ვიდრე ეს საფრთხე იქნებოდა.

ჯიოევამ ამ ბრალდებას სისულელე უწოდა და ინაუგურაციისთვის დაიწყო სამზადისი. კოკოითი მიხვდა, რომ ეს ასე მარტივად არ დასრულდებოდა და დათმობაზე წავიდა. მან თანამდებობა 10 დეკემბერს დატოვა.

წასვლისას მან გულის ამაჩუყებელი განცხადება გააკეთა. რაზედაც ქალებმა ბევრი იტირეს. მოტირალ ქალთა გუნდში ალა ჯიოევა არ ყოფილა.

ოპოზიცია მისი წასვლით გახარებულია. ახლა ისინი ახალი არჩევნებისთვის იწყებენ სამზადისს. და ეჭვი აქვთ, რომ კოკოითიმ რაღაც ცუდი ჩაიფიქრა. ისე კოკოითის უფლებამოსილება დღეს ეწურებოდა.

და კიდევ ერთი, ალა ჯიოევას არჩევნებში მონაწილეობის პირობა მისცეს. მას ეს უფლება სასამრთლომ 29 ნოემბერს გამოტანილი განაჩენით ჩამოართვა. საპრეზიდენტო არჩევნები აქ მომავალი წლის 25 მარტს ჩატარდება. მანამდე კი ბროვცევი იპრეზიდენტებს.



კოკოითი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ბიძინა ივანიშვილი: „ჩვენი მიზანია საქართველოს გამარჯვება და არა ვინმეს დამარცხება“

## რატომ შეაქო ბიძინა ივანიშვილმა ვანო მერაბიშვილის მუშაობა და რის გამო წავიდა კახა კალაძე ნაკრების კაპიტნობიდან

შალვა ჯოხაძე

საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნების“ პრეზენტაციაზე დასწრების მსურველები თბილისის დიდმა საკონცერტო დარბაზმა მართლაც ვერ დაიტია. გადაჭედილი იყო ე.წ. ივენტჰოლი და ფილარმონიის მიმდებარე ტერიტორია, თუმცა, დარბაზის შევსების შემდეგ პარტერში მოხვედრის მსურველთა რაოდენობა არ იკლებდა. შემოსასვლელ კარზე პერიოდულად ბრახუნი ისმოდა, ხალხი იქ შესვლას ითხოვდა, თუმცა, სამწუხაროდ, დარბაზში მეტი ადგილი არ იყო. მოკლედ, აბა, გაიხსენეთ, ნაციონალების რომელ შეკრებაზე ყოფილა ასეთი სიტუაცია, ასეთი მოთხოვნა? როგორც წესი, სააკაშვილის მიერ მოწყობილ ღონისძიებებზე ადამიანები ავტობუსებით მიჰყავთ, ეს ხალხი კი მაშინვე იშლება და იფანტება, როცა მათი ზედამხედველები ყურადღებას ადუნებენ. აქ კი ივანიშვილის მოძრაობის წარდგენაზე დასწრების მსურველთა გასტუმრება მოუხდათ.

პრეზენტაცია შოუს ელემენტებს ატარებდა. ის ბერას ყველასთვის კარგად ნაცნობი სიმღერით დაიწყო. ფილარმონიის სცენაზე ერთგვარი ნომერი წარმოადგინეს ივანიშვილის ვაჟისა და მოცეკვავეთა ჯგუფის შესრულებით. ღონისძიების ბოლოს გაისმა საქართველოს ჰიმნი ბერასა და ქართული ხმების შესრულებით და პრეზენტაცია ბერას ახალი კლიპით დაიხურა, რომელშიც ივანიშვილის პატარა ძმა, 6 წლის ცოტნეც ვიხილეთ.

მიუხედავად იმისა, რომ კონკრეტული პოლიტიკური პარტიები არ იყვნენ დაპატიჟებულნი, ფილარმონიის დარბაზში თითქმის სრულად იყვნენ წარმოდგენილნი ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკური პარტნიორები: თავისუფალი დემოკრატები და რესპუბლიკელები. ყველაზე უცნაური კარგა ხნის წინ დაკარგული გია მაისაშვილის ხილვა გახლდათ. აქ მრავლად იყვნენ ხელოვნების წარმომადგენლები: გურამ საღარაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი და გურანდა გაბუნია, ქეთი დოლიძე, ვაჟა აზარაშვილი თუ სხვები. დარბაზში იმყოფებოდა სპეციალურად ამ ღონისძიებაზე დასასწრებად და კახა კალაძისათვის მხარდასაჭერად ჩამოსული უკრაინელი ფეხბურთელი ანდრეი შევჩენკო. ფილარმონიის დარბაზში შესული ბიძინა ივანიშვილი თავდაპირველად სწორედ კალაძესა და მის მეგობარ შევჩენკოს მიესალმა. ბიძინა ივანიშვილი მეუღლესთან ერთად ფილარმონიის პარტერში, დანარჩენ დამსწრეებს შორის მოთავსდა.

პრეზენტაციას არც მეტი, არც ნაკლები, „იმედის დილის“ წამყვანი გოგი ახალკაცი უძღვებოდა (თუმცა, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მას ტელეკომპანია „იმედის“ წამყვანის რანგში ველარ ვიხილავთ). ახალკაცმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ დღეს საქართველოში შიშის სინდრომია დასადგურებული და ადამიანებს ერთმანეთთან თავისუფლად ტელეფონზე საუბარიც კი არ შეუძლიათ.

პირველმა გამომსვლელმა, პოეტმა რატი ამაღლობელმა ბიძინა ივანიშვილისა და ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობას შორის ერთგვარი პარალელი გაავლო და აღნიშნა, რომ საქართველოში მთავარი ღირებულება ადამიანი უნდა გახდეს. დაკარგულ ტერიტორიებზე ისაუბრა მწერალმა, აფხაზეთიდან დევნილმა გურამ ოდიშარიამ. კავკასიის საკითხებს შეეხო „კავკასიური სახლის“ წარმომადგენელი ნაირა გელაშვილი. ცნობილია, რომ „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი პრიორიტეტი ადამიანის უფლებებია, რაზეც ადვოკატმა მანანა კობახიძემ მიმართა საზოგადოებას.

**მანანა კობახიძე:**

– არაფერი ყოფილა იმაზე შემზარავი, როდესაც შედიხარ საპყრობილეში, როდესაც ხვდები 60 წლის ქართველ მამაკაცს, ოჯახის მამას და ხედავ მის აცრემლებულ თვალებს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ეს იმიტომ, რომ ვერც მას გაუგია და ვერც მე ამიხსნია, თუ რატომ უნდა იხდიდეს სასჯელს არჩადენილი დანაშაულისათვის, მე არაფერი მრჩება, გარდა იმისა, რომ საკუთარი ცხვირსახოცი გავუწოდო და უბრალოდ დავაიმედო, იმედი მივცე, რომ მომავალში რაღაც შეიცვლება. მე მოვედი აქ იმიტომ, რომ სამოქალაქო საზოგადოებას, ყველას ერთად შეგვიძლია, შევცვალოთ ის რეალობა, რომელიც არის.

თუმცა, ყველაზე ემოციური კახა კალაძის გამოსვლა იყო. მან აღნიშნა, რომ მისთვის უჩვეულო ამპლუაში იმყოფებოდა და ძალიან ღელავდა.

**კახა კალაძე:**

– ეს ქვეყანა მარტო პოლიტიკოსების არ არის. ხელისუფლებას ჰგონია, რომ ჩვენ, ამ ქვეყნის მოქალაქეებს მხოლოდ მოვალეობა გვაქვს, მოვალეობა იმისა, რომ ვიხადოთ ჯარიმები და გადასახადები. სინამდვილეში კი, მოვალეობასთან ერთად, უფლებებიც გვაქვს. გვაქვს უფლება დამოუკიდებელი სასამართლოს უზენაესობისა, ამ დროს კი ქვეყანაში შექმნილია მძიმე სოციალური ფონი. დაკარგულია ტერიტორიები, მილიონობით ჩვენი თანამემამულე უცხო ქვეყანაშია გადახვეწილი, დარჩენილებს კი უმუშევრობა ემუქრებათ.

ქვეყანაში ჩამოყალიბებულია ადამიანთა გარკვეული კასტა, რომლებიც დაუსჯელობის სინდრომის გამო სარგებლობენ ხელშეუხებლობით. მათ მოახდინეს კანონის უზურპაცია, ხოლო კონსტიტუცია სათავისოდ მოირგეს. ადამიანთა ცემა, დასმენა, შანტაჟი, კანონის სახელით რეკეტი და უკანონო მოქმედებები მათ ჩვეულებრივ მოვლენად აქციეს. ქვეყნის მოსახლეობა ცხოვრობს მუდმივ დაძაბულობასა და სტრესში. მოსახლეობაში უიმედობამ დაისადგურა. ვფიქრობ, საკმარისზე მეტი მიზეზია იმისა, რომ დადგეს საერთო სახალხო გამოღვიძების დრო. სულ რაღაც ერთ წელიწადში ჩვენი ქვეყანა კიდევ ერთი არჩევნის წინაშე დადგება. აქ არჩევანი მწირია, ქვეყანა ან გააგრძელებს რეკეტს, ან მოსახლეობა აიხდენს ქართულ ოცნებას. მინდა, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობას და განსაკუთრებით ახალგაზრდობას მივმართო – ჩემო მეგობრებო, დებო და ძმებო, დროა, ყველა ერთად დავდგეთ და კონსტიუტუციით დაშვებული ყველა ფორმით ავისრულოთ ქართული ოცნება.

აქვე ვსარგებლობ შემთხვევით, ოდნავ თემას გადავუხვევ და მოგახსენებთ – მე, კახა კალაძე, საქართველოს ეროვნული ნაკრების კაპიტანი, ვაცხადებ, რომ მივდივარ ეროვნული ნაკრებიდან. ეს ჩემთვის უმძიმესი გადაწყვეტილებაა, რადგან 15 წელი ეროვნული ნაკრების ღირსებას ვიცავ. მინდა, მადლობა ვუთხრა თითოეულ ადამიანს, რომელიც მხარს მიჭერდა გამარჯვებისას და წუხდა ჩვენი მარცხით. მადლობა ნაკრების თითოეულ წევრს, მადლობა გულშემატკივარს, მადლობა მწვრთნელებს, მართლა ძალიან მიჭირს საუბარი, რადგან 15 წლის განმავლობაში 83 მატჩი ჩავატარე ეროვნულ ნაკრებში. აქედან ყველაზე დასანანი იყო ერთი მატჩი, რომელმაც ძალიან იმოქმედა ჩემზე, მართალია, ყველაფერი შემთხვევით მოხდა, მაგრამ, კიდევ ერთხელ ბოდიშს ვუხდი ქართველ გულშემატკივარს. ძალიან კარგი იქნება, თუ ის ადამიანებიც მოიხდიან ბოდიშს, რომლებიც ერთ თამაშში კი არა, მთელი ცხოვრება ავტოგოლებით მოდიან და ავტოგოლები მოაქვთ ჩვენთვის.

დასასრულ, მინდა მოგახსენოთ, რომ მივესალმები ქართულ ოცნებას, მხარს ვუჭერ და გვერდში ვუდგავარ მის ლიდერს, ბიძინა ივანიშვილს. ადამიანი, რომელმაც სიტყვა საქმედ აქცია, პოლიტიკაში შემოვიდა სამშობლოს სიყვარულით, ბატონმა ბიძინამ თავისი განვლილი ცხოვრებით ჩვენ, ახალგაზრდებს, გვიჩვენა გზა, თუ როგორი უნდა იყოს პატრიოტი და თავის ქვეყანაზე შეყვარებული ადამიანი. ადამიანს შეიძლება უკანონოდ ჩამოართვა ქართული პასპორტი, მაგრამ სამშობლოსა და ხალხის სიყვარულს ვერ ჩამოართმევ. საქართველოში ახალი ერა იწყება, ერა ქართული ოცნების ასრულებისა.

ბიძინა ივანიშვილმა თავის ვრცელ გამოსვლაში მრავალი საკითხი წამოწია წინ და შეგვიძლია ვთქვათ, რომ საკუთარი პოლიტიკური გეგმებიც დააანონსა.

**ბიძინა ივანიშვილი:**

– საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ოცნება“ იქმნება, როგორც საზოგადოების გამაერთიანებელი ძალა, რათა განხორციელდეს საზოგადოების კონტროლი და გავლენა სახელმწიფოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების პროცესებზე.

ძლიერმა, მაღალი პასუხისმგებლობის მქონე საზოგადოებამ უნდა განსაზღვროს ქვეყნის ბედი და მომავალი. ხალხი უნდა მონაწილეობდეს ქვეყნის მართვაში და აკონტროლებდეს არჩეულ ხელისუფლებას.

მოძრაობა შექმნის რეგიონულ სტრუქტურებს, რომელთა მთავარი ამოცანა იქნება სამართლიანი საარჩევნო გარემოს დამკვიდრებისათვის საზოგადოებისა და პოლიტიკური ძალების კონსოლიდაცია, რათა დემოკრატიული არჩევნების გზით ქვეყნის სათავეში მოვიდნენ ის პოლიტიკური ძალები, რომლებსაც ხალხი დაუჭერს მხარს.

საზოგადოებრივი მოძრაობა მოიზიდავს გამოცდილ პროფესიონალებს ისეთ საკითხებზე სამსჯელოდ, როგორებიცაა: მართლმსაჯულება და ადამიანის უფლებები, ეკონომიკური პოლიტიკა, სოფლის მეურნეობა, ეკოლოგია, ჯანდაცვა, სოციალური უზრუნველყოფა, განათლება, მეცნიერება, კულტურა, საგარეო პოლიტიკა, კონფლიქტების მოგვარება, რეგიონული პოლიტიკა, ადგილობრივი თვითმმართველობა, ეროვნული უმცირესობები, უსაფრთხოება, ახალგაზრდობა და სპორტი.

შესაბამისი თემატური ჯგუფები შეისწავლიან ცალკეულ დარგებში არსებულ ვითარებას და შეიმუშავებენ განვითარების ეფექტიან მოდელებს. ჯგუფებში გაიმართება კონსულტაციები კონკრეტული სფეროების ექსპერტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დიპლომატიური მისიების წარმომადგენლებთან.

ჩვენი მიზანია სახელმწიფოს აღმშენებლობა იმ დემოკრატიულ სტანდარტებსა და პრინციპებზე დაყრდნობით, რომელსაც ვერ უზრუნველყოფს არსებული ხელისუფლება.

2003 წლის „ვარდების რევოლუციამ“, მიუხედავად თავდაპირველი წარმატებებისა, ვერ გაამართლა საზოგადოების უდიდესი ნაწილის მოლოდინი.

სამოქალაქო საზოგადოება უხეშადაა ჩამოშორებული სახელმწიფოს მართვას. მოშლილია ადგილობრივი თვითმმართველობა. არჩევითი ორგანოები მმართველ ელიტას ემსახურებიან.

აბუჩადაა აგდებული ქვეყნის კონსტიტუცია. მისი გადაკეთებისა და ერთ ადამიანზე მორგების დამკვიდრებული პრაქტიკა ყოველგვარ სამართლებრივ და მორალურ ნორმებს სცილდება.

ნორმად იქცა საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის გაუმჭვირვალობა და არამიზნობრივი გამოყენება. გამეფებულია ელიტური კორუფცია.

ადამიანის უფლებები პრაქტიკულად ყველა სფეროში ირღვევა. ციხეებში პოლიტიკური, უკანონო თუ მცირე დანაშაულის მქონე ათასობით პატიმარია გამომწყვდეული დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის პირობებში. ზეწოლა ხორციელდება მათ ოჯახებზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხელისუფლება არჩევნებისათვის ემზადება ან შექმნილი ვითარებით უფლებადამცველები ინტერესდებიან.

ივანიშვილის განცხადებით, ცალკეული სოციალური პროგრამების მიუხედავად, არც ერთი წარმატებული რეფორმა არ განხორციელებულა ჯანდაცვის სფეროში.

მოშლილია განათლების სფერო, ხოლო მეტ-ნაკლებად წარმატებულ სასწავლებლებში დაწესებული გადასახადები მრავალი ოჯახისათვის ხელმიუწვდომელია. უყურადღებოდაა მიტოვებული ქართული კულტურა, ანუ ის, რითაც ჩვენ ყოველთვის ვამაყობდით. საქართველოს უმძიმესი დარტყმა მიაყენა 2008 წლის აგვისტოს ომმა. უბედურება ეწვია მრავალ ქართულ, აფხაზურ და ოსურ ოჯახს, კონფლიქტებით გავლებული საზღვრების სხვადასხვა მხარეს დარჩნენ ოჯახის წევრები და ახლობლები. საქართველოს ტერიტორიების დიდი ნაწილი ოკუპირებულია. სავალალო პირობებში ცხოვრობს ათასობით დევნილი. საერთაშორისო ორგანიზაციების მასალების ანალიზი მოწმობს, რომ შესაძლებელი იყო კონფლიქტის ესკალაციის არიდება. უფრო მეტიც, შესაძლებელი იყო სამშვიდობო პროცესების წარმატებით განვითარება, რომ არა ხელისუფლების მიერ დაშვებული მძიმე შეცდომები. ხელისუფლებას არ გააჩნია კონფლიქტების მოგვარების პოლიტიკური რესურსები. არ არსებობს არც გეგმაზომიერი სტრატეგია, ხედვა მაინც, რომლის განვითარების ხელშესაწყობად მზად იქნებოდა საერთაშორისო თანამეგობრობა. ხელისუფლების „სტრატეგიის“ ერთადერთ მიმართულებად რჩება აპრობირებული „რუსული საფრთხის პრევენციის“ პრინციპი. ხელისუფლება ამ მოტივით ამართლებს სხვადასხვა ბრალდებით პოლიტიკურად აქტიური პირების დაჭერას, შპიონაჟისა და ტერორიზმის ისტერიკას, მოქალაქეთა უფლებების შეზღუდვებს. ივანიშვილი ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ რუსეთის აგრესიასთან „პერმანენტული ბრძოლის“ მიზეზითვე ამართლებენ 2011 წლის 26 მაისს საპროტესტო აქციის განსაკუთრებული სისასტიკით დარბევას. სახელისუფლებო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილად იქცა მართლმადიდებელი ეკლესიის დისკრედიტაციისა და შიდა დაპირისპირების გაღვივების მცდელობა. რომ არა პატრიარქის სიბრძნე, გარდაუვალი იქნებოდა კონფრონტაცია კონფესიებსა და ეროვნებებს შორის, რომელთა მშვიდობიანი თანაცხოვრებით ამაყობს ჩვენი ქვეყანა.

– განსაკუთრებით მინდა შევეხო ახალგაზრდა სახელმწიფოსათვის აუცილებელი რეფორმებისა და, ზოგადად, ცვლილებების თავსებადობას საზოგადოების მოთხოვნებთან. ჩემი ღრმა რწმენით, არაადეკვატური მართვის სტრატეგიის გამო დღეს რეფორმის ცნება აშკარად დამახინჯებულია.

რეფორმებად წოდებულმა გაუაზრებელმა მოქმედებებმა საზოგადოებრივი ცხოვრებიდან გარიყა ინტელექტუალური და შრომითი რესურსების დიდი ნაწილი.

რეფორმებმა, რომლებზეც ხელისუფლება გამუდმებით საუბრობს, დიდი ხანია ხალხზე ჩატარებული ცინიკური ექსპერიმენტის ხასიათი მიიღო. რეფორმებით მართლდება უმუშევრობა, სოციალური სიდუხჭირე, ჩამორჩენა განათლებისა და ჯანდაცვის სფეროებში, ეკონომიკასა და სოფლის მეურნეობაში, სავალალო მდგომარეობა სასამართლო ხელისუფლების სისტემაში.

ხელისუფლების წარმომადგენლები თვლიან, რომ მათი ფსევდორეფორმებით აღშფოთების მიზეზი ქართველი საზოგადოების მენტალიტეტია, თითქოს ქართული კულტურა ძნელად თავსებადია ლიბერალური დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის პრინციპებთან. მათ მიაჩნიათ, რომ საზოგადოება ბნელია და ეწინააღმდეგება მისთვისვე სასიკეთო ცვლილებებს.

სინამდვილეში საქმე სწორედ რომ პირიქით არის. მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის უნიკალურობა იმითაც გამოიხატება, რომ ქართველი ხალხი შეუცდომლად გრძნობს და მხარს უჭერს ხოლმე ისეთ ნოვაციასა და ცვლილებებს, რაც ქვეყნისა და საზოგადოების ინტერესებშია.

ჩვენს საზოგადოებაში ყოველთვის არსებობდა და დღესაც არსებობს წესრიგის, კანონიერების, სამართლიანობის მოთხოვნა. ვიმეორებ, ხალხი მზადაა მიიღოს და მხარი დაუჭიროს ისეთ რეფორმებს, რომლებიც რეალურად პასუხობს მათ ინტერესებს.

ამის ნათელი ნიმუშია ის ორი პრეცედენტი, რომლებიც ამ გაუზრებელი, არსებითად თვითმიზნური რეფორმების პროცესში გამოვლინდა. ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღებამ კორუფციის სამარცხვინო ლაქა ჩამორეცხა საქართველოს განათლების სისტემას. საზოგადოება ერთსულოვანი მოწონებით შეხვდა ხელისუფლების ამ ნოვაციას, მაგრამ ამ კონკრეტული რეფორმის იქით განათლების სისტემაში უმძიმესი შეცდომებია დაშვებული, – განაცხადა ივანიშვილმა და ვანო მერაბიშვილის უწყების მუშაობა დადებითად შეაფასა.


ბიძინა ივანიშვილი

**ბიძინა ივანიშვილი:**

– წარმატებული იყო სამართალდამცავი სისტემის რეფორმაც, რომლის შედეგად მივიღეთ არაკორუმპირებული, კრიმინალთან ეფექტიანად მებრძოლი პოლიცია. ამ რეფორმას საქართველოში არ მოჰყოლია რაიმე რყევა, იგი მიმდინარეობდა სწორედ რომ ქართველი საზოგადოების გამოკვეთილი მხარდაჭერის ფონზე.

დღეს საქართველოს პოლიციაში ათიათასობით ჩვენი თანამემამულე მუშაობს პროფესიული ღირსების შეგნებით. მით უფრო სამწუხაროა, რომ ასეთ თვალსაჩინო წარმატებას თან მოჰყვა განუკითხავი სადამსჯელო ოპერაციები, გაუმართლებელი ადამიანური მსხვერპლი და, რაც მთავარია, სამართალდაცვის სტრუქტურების დაუფარავი პოლიტიზაცია, როდესაც მათ ხელისუფლება საზოგადოების დათრგუნვისა და დაშინების იარაღად იყენებს. ეს ანგრევს მიღწეულ წარმატებას.

ჩვენ ისეთი სახელმწიფო გვჭირდება, სადაც სახელმწიფო ბიუროკრატია ემსახურება ხალხს და არა მმართველ პოლიტიკურ ელიტას.

საზოგადოების მოთხოვნაა სამართლიანობა და არა რეპრესია, რასაც ყოველ ნაბიჯზე ვხვდებით, დაწყებული საშუალო სკოლებით, დამთავრებული სასამართლო ხელისუფლებით.

ხელისუფლებისათვის ჩვენ ყველა – სხვაგვარად მოაზროვნეები, ქვეყნის მტრები და მოღალატეები ვხდებით მაშინაც კი, როდესაც უშუალოდ ნაციონალურ მოძრაობას ან მის ლიდერს კი არ ვუპირისპირდებით, არამედ ვითხოვთ სამართლიან სასამართლოს, გამჭვირვალე საარჩევნო სიებს, თავისუფალ მედიას, ანუ, უბრალოდ, ვიცავთ ჩვენს კონსტიტუციურ უფლებებს. უფლებებს, რომლებმაც ჩვენ და ჩვენი სამშობლო ცივილიზებული სამყაროს ნაწილად უნდა აქციოს.

დღეს ჩვენ ისეთი სახელმწიფოს მოქალაქეები ვართ, რომლის მმართველიც, მის მიერ ჩადენილ შეცდომათა გამო, მიუღებელია საერთაშორისო და საშინაო ასპარეზზე. ხელისუფლებამ სრულად ამოწურა ყველა საშინაო და საგარეო კაპიტალი და იქცა მთავარ ხელის შემშლელ ძალად ჩვენი საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების გზაზე.

დაბოლოს, გარკვეულია ის მიზნები, რომლებსაც ახალი მოძრაობა ემსახურება. ეს მიზნები ივანიშვილმა ასე ჩამოაყალიბა: ისეთი სახელმწიფოს აშენება, სადაც თითოეული მოქალაქისა და მთელი ქვეყნის კეთილდღეობის წარმატების საწინდარი იქნება პატიოსნება, ღირსება და პროფესიონალიზმი; ჩვენი აფხაზი და ოსი თანამოქალაქეების ნდობის მოპოვება და ქვეყნის გამთლიანება; ჩვენი მოქალაქეების დასაქმება და ღირსეული შემოსავლის უზრუნველყოფა; დასავლური დემოკრატიის ღირებულებათა დანერგვა და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაცია; სამართლიანობის დამკვიდრება და ჩვენს თანამემამულეებში იმედისა და რწმენის გაძლიერება; ჩვენი მიზანია საქართველოს გამარჯვება და არა ვინმეს დამარცხება.

ჩვენ არ ვაპირებთ ახალი ისტორიის დაწერას 2012 წლიდან; ჩვენი ვალია, აღვადგინოთ კავშირი წარსულსა და მომავალს შორის და ამ ჯაჭვში შევინარჩუნოთ საქმენიც და ადამიანებიც, რომლებიც ამ წლებში ახერხებდნენ და ემსახურებოდნენ არა ხელისუფლებას, არამედ ქართულ სახელმწიფოს. ჩვენ ერთად უნდა ვაშენოთ მომავლის საქართველო. ჩვენი მიზნების აღსრულება არ არის, უბრალოდ, ჩვენი არჩევანი, ეს ჩვენი უზენაესი მოვალეობაა. ერთად ავაშენოთ თავისუფალი, ღირსეული მოქალაქეებით დასახლებული, ყველასათვის საოცნებო საქართველო!

შედით საიტზე atb.ge „%!!

# თემურ შაშიაშვილი: საქართველოს სექტები შემოესივნენ

შორენა კოწოწაშვილი

„თეთრების“ ლიდერი თემურ შაშიაშვილი ქვეყანაში არსებული ვითარების კიდევ უფრო დამძიმებაზე საუბრობს და ქართველ ხალხს ურჩევს, დაფიქრდეს იმაზე, თუ რამდენად მძიმე მდგომარეობაში ვარდება ქვეყანა იმ უცხოური კაპიტალით, რომელიც ქვეყანაში იმავე ფუნდამენტური რელიგიების წარმომადგენელთა მხრიდან შემოდის.

რა საგანგაშო სტატისტიკას აქვეყნებს ნატო და ვინ არის ის ინდუსი, რომელიც საქართველოში რუსული ფულით შემოვიდა? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „თეთრების“ ლიდერ თემურ შაშიაშვილთან.


თემურ შაშიაშვილი

***– ბატონო თემურ, აშკარაა, რომ პრეზიდენტი წინასაარჩევნო რეჟიმშია და ისე წარმოაჩენს, რომ ქვეყნის შიგნით უმრავლესობის მხარდაჭერით სარგებლობს. ოპოზიციონერი ოპონენტი ბიძინა ივანიშვილი კი დარწმუნებულია, რომ საპარლამენტო არჩევნებში უმრავლესობით მოვა.***

– ყველას თავისი შეხედულება აქვს, მაგრამ დღეს ქვეყნის უბედურებათა შორის მე, პირველ რიგში, ამას დავასახელებდი: საქართველოს პოლიტიკიდან განდევნილია გონი, გონება, ქვეყანას ძალიან დიდი ხანია ემოცია მართავს; მეორე – ქვეყანა დიდი ხანია არის იმ პოლიტიკოსების ხელში, რომლებსაც აქვთ დიდი ამბიცია და არ გააჩნიათ პასუხისმგებლობა. ვინმემ რომ არ თქვას, შაშიაშვილმა ფილოსოფოსობა დაიწყოო, მარტივად ვიტყვი: ვიდრე პოლიტიკაში გონება არ დაბრუნდება, ვიდრე პოლიტიკაში არ ჩაერთვებიან ადამიანები, რომლებსაც ამბიციის შესაბამისი პასუხისმგებლობა გააჩნიათ, ამ ქვეყანას მომავალი არ აქვს. ივანიშვილის შემოსვლა არის ნიშანი იმისა და მას აქვს სურვილი იმისა, რომ პოლიტიკაში დაბრუნდეს გონება, იმიტომ რომ ის მიდის ანალიზის გზით. მან შექმნა ჯგუფები, რომლებიც აანალიზებენ, ეთათბირება ხალხს, კონსულტაციებს იღებს. ივანიშვილი სრულიად განსხვავებულია სააკაშვილისაგან. მეორეც – ივანიშვილს არ გააჩნია დიდი ამბიცია. კაცი ამბობს, მე ჩვეულებრივი ადამიანი ვარ, ნუ ქმით ჩემგან რაიმეს. მე გარკვეული ეტაპის შემდეგ წავალ, იმიტომ რომ მე მომიყვანა სიტუაციამ და არა ჩემმა შინაგანმა ძახილმა. რთულ და მძიმე მდგომარეობაში, როდესაც ავტორიტარიზმის აპოგეაა ქვეყანაში, როდესაც ერთი კაცის დუდუკზე ბუქნაობს ქვეყანა და ეს ერთი კაცი ქვეყნის გარედან იმართება, ივანიშვილის, როგორც ქართული ინტერესების მატარებელი პიროვნების გამოჩენას დიდი მნიშვნელობა აქვს. სააკაშვილი ძალაუფლებაზე შეყვარებული ადამიანია. ის არის კაცი, რომელიც ყველაფერს გაყიდის, ოღონდ სკამი შეინარჩუნოს. საქართველოს ნორმალური პრეზიდენტი და ხელისუფლება რომ ჰყავდეს, ივანიშვილმა რომ განცხადებები გააკეთა, ეტყოდა, თუ ამის გაკეთება შეგიძლიათ, მოდით და გააკეთეთ. თუ ამას 2-3 წელიწადში ვერ გააკეთებთ, მერე ხელისუფლებაში მოსასვლელად კენჭს ვიყრიო. 20 წელია ხელისუფლებაშია სააკაშვილი და მისი გუნდი – მოქკავშირი, შემდგომში – ნაციონალური მოძრაობა. გაზეთებში ვკითხულობ, რა დახვდა 2004 წელს სააკაშვილის ხელისუფლებას. ვის რა დახვდა, სააკაშვილს? სააკაშვილმა სახელწოდება შეიცვალა, თორემ იგივე მოქკავშირი არ არის? 1993 წლიდან საქართველოში პოლიტიკური ხელისუფლება არ შეცვლილა – სააკაშვილი, მაჭავარიანი, გოგორიშვილი, ბარამიძე და ა.შ. ბიზნესმენებიც იგივენი არიან სააკაშვილის კარზე. რომელია ახალი ბიზნესმენი – ბეჟუაშვილი, კურტანიძე თუ ჭყონია?! მე პოლიტიკაში არ ვყოფილვარ მათთან ერთად, მე ვიყავი სამეურნეო მიმართულებით. სამეურნეო მიმართულების ბევრი პიროვნება გააფუჭეს ამათ, ძალიან საინტერესო ხალხი. სააკაშვილის გუნდის ის წევრები, რომლებიც ჩამოვთვალე, არასდროს მიდიოდნენ ისეთ თანამდებობაზე, რომლის გაზომვაც შეიძლებოდა, გააკეთე თუ არა საქმე კარგად. მაგალითად, გამგებლად, გუბერნატორად. სააკაშვილი წავიდა მხოლოდ იუსტიციის მინისტრად, რა, გააკეთა რამე?

***– როგორც არაერთს უთქვამს, სწორედ იუსტიციის მინისტრობის დროს მოიპოვა მან ნდობა და ამიტომ აირჩიეს პრეზიდენტად.***

– სამწუხარო ის არის, რომ სააკაშვილი პრეზიდენტად არავის აურჩევია. ქვეყანა იმართება ემოციურად, გარედან. საქართველოში ტარდება სხვა ქვეყნების ინტერესები. ხომ ლანძღავენ, მაგრამ, მე არ მეგონა, ასეთი ძლიერი თუ იყო საქართველო.

***– რას გულისხმობთ?***

– დღეს საქართველოს სექტების უდიდესი დაწოლა აქვს. პირდაპირ ვთქვათ: თურქი ბიზნესმენები ტრიალებენ აქ თავიანთი რელიგიის წარმომადგენლის ირგვლივ; აზერბაიჯანელი ბიზნესმენები ტრიალებენ თავიანთი რელიგიის წარმომადგენლის ირგვლივ; ისრაელის ბიზნესმენები ტრიალებენ ისრაელის რელიგიის ირგვლივ; სომეხი ბიზნესმენები თავიანთი ეკლესიის გარშემო ტრიალებენ აქ, ანუ ძალიან სერიოზული ფუნდამენტური რელიგიების დაწოლას უძლებს საქართველო სექტებთან ერთად. დასავლეთიდან გვიტევენ სექტები, აქედან – ფუნდამენტური ისლამი. მე ნორმალური ურთიერთობების მომხრე ვარ, მაგრამ, რომ არ ვთქვა, არ შეიძლება. ძალიან ბევრ ქვეყანაში მყავს მეგობარი ბიზნესმენები. როცა მათ ვხვდები, მეუბნებიან, რომ ფლობენ ინფორმაციებს საქართველოში არსებულ ვითარებაზე და ყველაფერზე იგებენ მათი ეკლესიებიდან, რომლებიც აქ არის.

***– ამ რელიგიური ცენტრებიდან გამომდინარე ხდება საქართველოში ინვესტიციების ჩადება, რომელსაც ასე აპიარებს პრეზიდენტი?***

– არ მინდა, უფრო ღრმად შევიდე. გული მწყდება, ისეთი შთაბეჭდილება მაქვს, რომ ისეთი ქვეყნები, რომლებსაც პატარა ისტორია აქვთ, ტრადიციულ და დიდი ისტორიის მქონე ქვეყნებს ვერ იტანენ. საქართველო იდგა ცივილიზაციის სათავეებთან. შეიძლება, რელიგიების ასეთი პრესის ქვეშ იყოს? რამდენი სიკეთე გაუკეთებიათ ჩვენს წინაპრებს, სააკაშვილს რომ უნდა ახლა ახალი საქართველო ჩამოაყალიბოს. რა, ძველი ქართველი ცუდია? დავით აღმაშენებელი იყო ცუდი თუ მისი იდეოლოგია? რა, ტრადიციებს ვერ მოუარეს ქართველებმა თუ ენას? 70 წელი რომ იყვნენ კომუნისტები, მაშინაც არ იყო ქართული ინტერესები ასე შევიწროებული. ქვეყნის გარეთ ყველა გვეუბნება: თქვენ ქვეყანა არ ყოფილხართ, თქვენ ხალხი არ ყოფილხართ. თქვენ ითმენთ იმას, რისი მოთმენაც არ შეიძლება.

## ნინო ბურჯანაძე: ტრაგიკულია, რომ დღევანდელ საქართველოში 87 პოლიტიკური პატიმარია

ძალიან სამწუხარო და ტრაგიკულია, რომ დღევანდელ საქართველოში, რომელსაც აქვს იმის პრეტენზია, რომ ერქვას ევროპული და დემოკრატიული სახელმწიფო, 87 პოლიტიკური პატიმარია და 11 ადამიანი, რომელიც პოლიტიკური ნიშნით იძებნება, – ამის შესახებ „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ დღევანდელ კონფერენციაზე განაცხადა, რომელზეც ოპოზიციური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა ე.წ. პოლიტიკურ პატიმართა ერთიანი სია მიიღეს და ერთობლივი დეკლარაცია შეიმუშავეს.


ნინო ბურჯანაძე

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა აღნიშნა, რომ ეს არის მინიმალური რაოდენობა იმ ადამიანებისა, რომელთა სიაც შეთანხმდა არასამთავრობოებთან და ადვოკატებთან ერთობლივი მუშაობის შედეგად და სია სამწუხაროდ, კიდევ გაიზრდება. ნინო ბურჯანაძემ ასევე განაცხადა, რომ დღევანდელ შეხვედრაზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მიმართონ უფლებადამცველ საერთაშორისო ორგანიზაციებს, ასევე გაიმართება მეორე კონფერენცია, სადაც დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები იქნებიან მიწვეულები. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით სამოქალაქო საზოგადოებისა და ოპოზიციის კონფერენცია პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ინიციატივით გაიმართა. შეხვედრას სხვა ოპოზიციური ოპოზიციური პარტიებიდან ესწრებოდნენ „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე, „ეროვნული ფორუმის“, „ხალხის პარტიის“ წევრები და პარლამენტის დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძე.

ინტერპრესნიუსი

## ფოთის ნავსადგურიდან 350-მდე მუშა დაითხოვეს

ფოთის ნავსადგურში 350-მდე თანამშრომელი დაითხოვეს. თსპრესს.გე– ს ინფორმაციით, ამის შესახებ კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ ხელმძღვანელმა მუშებს საგანგებოდ გამართულ კრებაზე პარასკევს თავადვე განუცხადა. ნავსადგურის ერთ-ერთი დათხოვილი თანამშრომლის ინფორმაციით, სამუშაოს დაკარგვის შესახებ განცხადების მოსმენისას, რამდენიმე ადამიანი ცუდად გახდა და სასწრაფო-სამედიცინო დახმარება გამოიძახეს. ნავსადგურის ხელმძღვანელთა თქმით, შემცირებები რეორგანიზაციას უკავშირდება და ყოველი გათავისუფლებული კანონით გათვალისწინებულ კომპენსაციას მიიღებს. №1 ტერმინალის, საკონტეინერო ტერმინალისა და ნავთობტერმინალის თანამშრომელთა მასობრივი შემცირება დღეისათვის იგეგმება. კორპორაცია „ფოთის საზღვაო ნავსადგურის“ ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, პორტში საკადრო და სტრუქტურული ცვლილებები მიმდინარე წლის ივნისიდან დაიწყო. ნავსადგურის 1500-მდე თანამშრომელს ფსიქოლოგიურ-ლოგიკური ტესტირება ჩაუტარდა. პროფესიული კადრების, საჭირო უნარჩვევებისა და ზოგადი ინტელექტის გამოსავლენად ჩატარებული ტესტირების შედეგად, სამუშაო ბევრმა მათგანმა დაკარგა. მაშინ შემცირებები ძირითადად, ადმინისტრაციას შეეხო.

მედიანიუსი

## რამაზ საყვარელიძე: როგორც ჩანს, ივანიშვილი ნანგრევებზე სიარულს არ აპირებს

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის განცხაებით, მან დღეს „ქართული ოცნების“ დაფუძნებისას ბიძინა ივანიშვილის გამოსვლაში ძალიან ბევრი საგულისხმო გზავნილი დაინახა.

როგორც ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ საყვარელიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ბიძინა ივანიშვილი ნანგრევებზე სიარულს არ აპირებს და მას სურს რომ ყველაფერი კარგი, რაც ქვეყანაში აქამდე გაკეთებულა, შეინარჩუნოს:


რამაზ საყვარელიძე

„ჩემი აზრით, ასეთ შეხვედრებზე ემოციური მუხტი უფრო უნდა გამოჩნდეს და შესაძლოა, ახალი არაფერიც ითქვას, თუმცა დღეს ბევრი რამ ძალიან საგულისხმო იყო იგივე ივანიშვილის განცხადებაში. პირველ რიგში საგულისხმოა ის სულიკვეთება, რომ როგორც ჩანს, ივანიშვილი არ აპირებს მხოლოდ ნანგრევებზე სიარულს და იგი გეგმავს ყველაფერ იმის შენარჩუნებას, რაც სამომავლოდ ქვეყანას გამოადგება“, – განაცხადა პოლიტოლოგმა და დასძინა, რომ იგი „ქართული ოცნებისადმი“ მხარდაჭერის სურვილს ხალხში უკვე ხედავს.

შეგახსენებთ, რომ დღეს ბიძინა ივანიშვილმა „ქართული ოცნება“ დააფუძნა. მოძრაობის აქტივისტთა რეგისტრაცია უკვე დღეიდან დაიწყო. „ქართული ოცნება“ თბილისში ერეკლე მეორის ქუჩაზე მდებარე ჟურნალისტთა ყოფილ სახლში განთავსდება. „ქართული ოცნების“ წევრები ბიძინა ივანიშვილთან და მის მრჩევლებთან ერთად კახა კალაძე, ნინო ჟვანია და საზოგადოებისათვის ცნობილი სხვა ადამაინები არიან.

მედიანიუსი

## გადახდისუუნაროდ გამოცხადების პროცესი ხანმოკლე ხდება

გადახდისუუნაროდ გამოცხადების პროცესი ხანმოკლე ხდება. ამასთან დაკავშირებით ცვლილება „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ კანონში შედის.

აღნიშნული კანონი არეგულირებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული სამეწარმეო სუბიექტების, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, არარეგისტრირებული კავშირისა და ამხანაგობის გადახდისუუნარობის საკითხს. მისი მოქმედება კი არ ვრცელდება ფიზიკურ პირებზე (ინდივიდუალური მეწარმეების გარდა); საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე; ბანკებზე, არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებებსა და სადაზღვევო კომპანიებზე, რომელთა გადახდისუუნარობის საკითხი წესრიგდება სპეციალური კანონმდებლობით.

კანონპროექტის მიხედვით, მოვალის ქონებასთან დაკავშირებული დავა გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებიდან 30 დღის ნაცვლად, 20 დღის განმავლობაში გადაეცემა სასამართლოს.

ასევე, მოვალის ქონების, ვალდებულებების, ფინანსური მდგომარეობისა და საქმიანობის შესახებ, აგრეთვე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების მომენტისათვის სასამართლოში მიმდინარე დავების თაობაზე ინფორმაცია მოვალეს გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღებიდან 30 დღის ნაცვლად, 10 დღეში უნდა წარედგინოს.

ამას გარდა, ცვლილებებია კრედიტორთა მოთხოვნების შემოწმების ვადებშიც. კერძოდ, აქამდე გადახდისუუნარობის შესახებ განცხადების წარმოებაში მიღების თაობაზე სასამართლოს განჩინების გამოქვეყნებიდან 30 დღის განმავლობაში, კრედიტორებს მოვალის მიმართ არსებული თავიანთი მოთხოვნები უნდა წარედგინათ მეურვესა და სასამართლოსთვის. კანონპროექტით კი ეს ვადა, 15 დღემდე შემცირდება.

კანონპროექტის ავტორი და ინიციატორი დეპუტატი ანდრო ალავიძეა.

ინტერპრესნიუსი

## „ერთობა სამართლიანობისათვის“ „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობისთვის მზადაა

საპარლამენტო ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისათვის“ ბიძინა ივანიშვილის მოძრაობა „ქართულ ოცნებასთან“ თანამშრომლობისთვის მზადაა.

როგორც ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში „ქართული ოცნების“ პრეზენტაციის შემდეგ „მედიანიუსს“ პარლამენტარმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ განუცხადა, ქართული ოცნების განხორციელბაში მონაწილეობა ყველამ უნდა მიიღოს.

„პირველ რიგში, ქართულ საზოგადოებას „ქართული ოცნების“ დაბადებას ვულოცავ. მივიღეთ კონკრეტული გზავნილები ახალი საზოგადოებრივი ორგანიზაციიდან, ამ პროცესში თვითეულმა ჩვენთაგანმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს. ჩვენ, საპარალმენტო ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისათვის“ „ქართული ოცნებისადმი“ მხარდაჭერას ერთსულოვნად გამოვხატავთ. ჩვენი ფრაქციის წევრების ნაწილი „ქართული ოცნების“ პრეზენტაციას ვესწრებოდით კიდეც. „ერთობა სამართლიანობისათვის“ ბიძინა ივანიშვილის ორგანიზაციასთან თანამშრომლობისთვის მზადაა“, – განაცხადა ლორთქიფანიძემ და დასძინა, რომ დღეს საქართველოში დემოკრატიული პროცესები ჩიხშია შესული და საჭიროა ამ პრობლემის გადაჭრა. შეგახსენებთ, რომ დღეს ბიძინა ივანიშვილმა „ქართული ოცნება“ დააფუძნა. მოძრაობის აქტივისტთა რეგისტრაცია უკვე დღეიდან დაიწყო. „ქართული ოცნება“ თბილისში ერეკლე მეორის ქუჩაზე მდებარე ჟურნალისტთა ყოფილ სახლში განთავსდება.

მედიანიუსი

## MYVIDEO-დან ტელეკომპანია „თრიალეთის“ ბმულის ამოღებას აპროტესტებენ

„დემოკრატიული მოძრაობა“ ინტერნეტსაიტ myvideo-დან ტელეკომპანია „თრიალეთის“ ბმულის ამოღებას აპროტესტებს.

„ბეჭდური მედიის გავრცელების შეზღუდვის შემდეგ, ხელისუფლებისთვის როგორც ჩანს დღის წესრიგში ის თითზე ჩამოსათვლელი თავისუფალი ელექტრონული მედიასაშუალებები გახდა, რომლებიც თავისუფლების ხარისხის შენარჩუნებას ამ რეჟიმის პირობებშიც კი ახერხებენ. ამის ერთ-ერთი მაგალითია ბოლო პერიოდში შიდა ქართლში მოქმედი ტელეკომპანია „თრიალეთის“ ბმულის ამოღება ინტერნეტსაიტ myvideo.ge-დან



აღსანიშნავია, რომ ეს საიტი ოფიციალურად წარმოადგენს დამოუკიდებელ ინტერნეტგვერდს, თუმცა საინტერესოა, რომ სწორედ ამ „დამოუკიდებელი“ საიტის ბმულებიდან პერიოდულად, სწორედ ოპოზიციურად განწყობილი არხები ქრება. – ნათქვამია განცხადებაში.

„დემოკრატიული მოძრაობა“ აცხადებს, რომ ქვეყანაში თავისუფალი მედიის არსებობა არის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი და იმედს გამოთქვამს, რომ პრობლემა მალე მოგვარდება.

ინტერპრესნიუსი

## ლევან ყიფიანი: კახი კალაძეს საქართველოს ნაკრებში კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო

კავშირი „ჩვენი ფეხბურთის“ დამფუძნებელი ლევან ყიფიანი მიიჩნევს, რომ საქართველოს საფეხბურთო ნაკრებში კახი კალაძეს კიდევ ბევრის გაკეთება შეეძლო და მისი გამოცდილება ახალგაზრდა ფეხბურთელებს გამოადგებოდა.


ლევან ყიფიანი

– თუ ეს არის კახი კალაძის პირადი გადაწყვეტილება, მაშინ ეს თავისი საქმეა, ხოლო თუ ის ზემოდან ან გვერდიდან არის ნაკარნახევი, ეს ნიშნავს სპორტსმენის გვერდზე გადაწევას, რაც არასწორია და ძალიან ცუდი მესიჯია, რადგან მას კიდევ ბევრის გაკეთება შეუძლია, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ყიფიანმა.

ფეხბურთელმა კახი კალაძემ დღეს, „ქართული ოცნების“ პრეზენტაციის შემდეგ, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ბოლო პერიოდში აქტიურად მიდიოდა საუბარი, როგორც ვეტერან ფეხბურთელს, ნაკრები დაეტოვებინა. კალაძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით ისევ შეუძლია ფეხბურთის თამაში, ნაკრების დატოვების გადაწყვეტილება მიიღო. „ჩემი გადაწყვეტილებით დღეს ის ადამიანები გაიხარებენ, ვისაც ამის სურვილი ჰქონდათ“, – აღნიშნა ფეხბურთელმა, თუმცა, მათი ვინაობა არ დააკონკრეტა.

ინტერპრესნიუსი

# რამდენი პოლიტპატიმარია საქართველოში

ქეთი ხომერიკი

საქართველოში რომ ყველა მეორე პატიმარია, ეს სიახლეს აღარავისთვის წარმოადგენს. საპატიმროები რომ სავსეა პოლიტპატიმრებითაც, ესეც ვიცით, რაც, ბუნებრივია, „ხალხის მიერ არჩეული“ ჩვენი ყოვ-


დიმიტრი ლორთქიფანიძე

ლისშემძლე ხელისუფლების დამსახურებაა, რომელსაც საკუთარი ხალხის ბედი სრულებითაც არ ადარდებს. ხელისუფლების წარმომადგენელი გვეტყოდა – სად გვყავს პოლიტპატიმრები, ანდაც, რამდენჯერ შეიწყალა პრეზიდენტმა პატიმრები და სხვა რაღა გინდათო... კი, ხალხისთვის თვალის ასახვევად და პიარისთვის ერთი-ორი ადამიანის გათავისუფლება ნამდვილად ღირს... პოლიტპატიმრების საკითხი ძალიან აშფოთებს ოპოზიციას. ოპოზიციური პარტიების ნაწილი ხელისუფლებას პოლიტპატიმრების გათავისუფლებას სთხოვს და სპეციალურ მიმართვასაც ავრცელებს, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებსაც გადაეგზავნებათ.

მოკლედ, ამ ფაქტით შეშფოთებულმა ოპოზიციამ და სამოქალაქო საზოგადოებამ ორიოდე დღის წინ, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ კონფერენცია გამართეს. კონფერენცია კუკავას პარტიის ინიციატივით გაიმართა. შეხვედრას ოპოზიციური პარტიებიდან „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე, „ეროვნული ფორუმი“, „ხალხის პარტიის“ წევრები, „თეთრები“ და პარლამენტის დეპუტატი დიმიტრი ლორთქიფანიძე ესწრებოდნენ. როგორც „ახალ თაობას“ კონფერენციის ორგანიზატორმა კახა კუკავამ ამცნო, მოსაწვევი ყველა ოპოზიციურ პარტიას გადაეგზავნა, თუმცა, შეხვედრას სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, მხოლოდ ეს ოპოზიციური პარტიები დაესწრნენ.

კონფერენციაზე პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულებისა და დევნილების სია გამოქვეყნდა. სია პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულთა საკითხების შემსწავლელმა კომისიამ გამოაქვეყნა, რომელშიც გაერთიანებულნი არიან დამოუკიდებელი ჟურნალისტები, უფლებადამცველები და ადვოკატები. განხილული საქმეების შედეგად კომისიამ 87 პოლიტპატიმარი და 11 პოლიტიკური ნიშნით დევნილი გამოავლინა.

ოპოზიციური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებმა კონფერენციაზე დეკლარაციაც შეიმუშავეს, რომელსაც „ახალი თაობა“ უცვლელად გთავაზობთ.

2003 წლის შემდეგ საქართველოში ოპოზიციური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების განსაკუთრებული ყურადღების საგანი გახდა პოლიტიკური ნიშნით ადამიანის უფლებების შელახვის მრავალრიცხოვანი ფაქტები, რის შესახებაც გამოქვეყნდა საქართველოს სახალხო დამცველის, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების არაერთი განცხადება და მოხსენება. განსაკუთრებული შეშფოთების საგანია პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული პირების რაოდენობა საქართველოში. ჩვენ, ქვემორე ხელისმომწერნი, გავეცანით პოლიტიკური პატიმრების შესახებ უფლებადამცველი ორგანიზაციების კომისიურ დასკვნას, რომლის მიხედვითაც, დღეის მდგომარეობით, საქართველოში პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულია 87 პირი და იძებნება 11 პირი – 2011 წლის 8 დეკემბრის მდგომარეობით;

პოლიტიკური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, მივმართავთ:

1. საქართველოს ხელისუფლებას: დაუყოვნებლივ გათავისუფლდეს პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ყველა პირი და შეწყდეს სისხლის სამართლის საქმეები პოლიტიკური მოტივით დევნილი ყველა პირის მიმართ;

აქვე აღვნიშნავთ, რომ შესაძლოა ხელისმომწერი პირები არ ვიზიარებდეთ ცალკეული პოლიტიკური პატიმრების პოლიტიკურ შეხედულებებს.

2. მთავარ პროკურატურას: დაიწყოს გამოძიება პოლიტიკური პატიმრების საქმეებში აღმოჩენილი მრავალრიცხოვანი პროცესუალური დარღვევების შესახებ, რაც დაკავშირებულია მტკიცებულებების განზრახ გაყალბებასთან სხვადასხვა საგამოძიებო ორგანოების მიერ;

3. საქართველოს სახალხო დამცველს: შეისწავლოს დამოუკიდებელი კომისიის მიერ გამოქვეყნებული ნუსხა და მისცეს მიუკერძოებელი შეფასებები 2011 წლის მდგომარეობით ადამიანის უფლებების თაობაზე ყოველწლიურ მოხსენებაში;

4. საერთაშორისო ორგანიზაციებს (უპირველესად ევროპის საბჭოს, ევროპის პარლამენტს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას):

4.1. მათი შუამავლობით მოეწყოს ხელისუფლების, ოპოზიციისა და უფლებადამცველი ორგანიზაციების შეხვედრა, სადაც განხილული იქნება ცალკეული პოლიტიკური პატიმრების სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით დაცვის მხარის პრეტენზიები;

4.2. მოეწყოს საჯარო მოსმენები საქართველოში პოლიტიკური უფლებების კუთხით არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით – ხელისუფლებისა და ოპოზიციის მონაწილეობით და საქართველოს ხელისუფლებას მიეცეს კონკრეტული რეკომენდაციები;

5. დიპლომატიურ კორპუსს მიეწოდოს ამომწურავი ინფორმაცია კონფერენციის მასალების შესახებ, რათა მეტი ყურადღება მიექცეთ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულ პირებს საქართველოში.

„თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი, კახა კუკავა: – ცნობილი ფაქტია, რომ საქართველოში უკვე რამდენიმე წელია ათეულობით ადამიანი პოლიტიკური ნიშნით არის დაპატიმრებული და დღეს ჩვენ, გვქონდა შეკრება, რომელსაც პოლიტიკური პარტიები და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, რათა ერთობლივად გამოგვეცხადებინა სოლიდარობა ამ ადამიანებისათვის და 87-კაციანი სიაც იქნა პრეზენტირებული. მოწვეული იყო აბსოლუტურად ყველა ოპოზიციური პარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი და, თუ ვინ ითხოვს საქართველოში პოლიტიკური პარტიების გათავისუფლებას, კი დაინახეთ. შემდეგი ეტაპი იქნება ერთობლივი ძალისხმევით (მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ სხვა საკითხებზე შეიძლება გვქონდეს აზრთა სხვადასხვაობა, ამ საკითხებზე გვაქვს ერთიანი პოზიცია) საერთაშორისო ორგანიზაციები უფრო მეტად დავაინტერესოთ ამ საკითხით, რათა ხელისუფლებაზე განახორციელონ ზეწოლა.

კომისიის წევრ გელა ნიკოლაიშვილის განცხადებით, ასეულობით ადამიანის საქმე განხილვის პროცესშია. კომისიაში განცხადებები ადვოკატებსა და პატიმრების ოჯახის წევრებს პერიოდულად შეაქვთ.

ბურჯანაძის თქმით, ძალიან სამწუხარო და ტრაგიკულია, რომ დღევანდელ საქართველოში, რომელსაც აქვს იმის პრეტენზია, რომ ერქვას ევროპული და დემოკრატიული სახელმწიფო, 87 პოლიტიკური პატიმარია და 11 ადამიანი, რომელიც პოლიტიკური ნიშნით იძებნება. „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერმა აღნიშნა, რომ ეს არის მინიმალური რაოდენობა იმ ადამიანებისა, რომელთა სიაც შეთანხმდა არასამთავრობოებთან და ადვოკატებთან ერთობლივი მუშაობის შედეგად და სია, სამწუხაროდ, კიდევ გაიზრდება.

ბურჯანაძემ ასევე აღნიშნა, რომ დღევანდელ შეხვედრაზე მიიღეს გადაწყვეტილება, მიმართონ უფლებადამცველ საერთაშორისო ორგანიზაციებს, ასევე გაიმართება მეორე კონფერენცია, სადაც დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები იქნებიან მიწვეული.

# ირაკლი მელაშვილი: ვადამდელი არჩევნები დღის წესრიგში ისევ დგას

ნათია ხურცილავა

აირაისა და იაგო კაჭკაჭიშვილის მიერ დადებულ რეიტინგებს არერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა.

გახდება თუ არა რეიტინგები ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების საფუძველი?

ამ საკითხებზე „ახალი თაობა“ ექსპერტ **ირაკლი მელაშვილს** ესაუბრა:

***– ბატონო ირაკლი, აირაისა და იაგო კაჭკაჭიშვილის სოციოლოგიური კვლევის შედეგებზე რა იტყვით, რა სურათს გვაძლევს ეს რეიტინგები?***

– სახელისუფლო მედიამ არ ვიცი, საიდან მოიტანა 42 და 17-პროცენტი, აირაის კვლევის შედეგებშიც და კაჭკაჭიშვილის კვლევის შედეგებშიც დაახლოებით ერთი და იგივე სურათია. კაჭკაჭიშვილის მიერ დადებულ რეიტიგში დაახლოებით 36 პროცენტი აქვს სააკაშვილის პარტიას, 32 პროცენტი – ივანიშვილს. აირაის კვლევის შედეგებში 32 პროცენტი აქვს მიხეილ სააკაშვილს, 27 – ივანიშვილს. მათ შორის 4-5 პროცენტი არის სულ სხვაობა მათ შორის. ეს მიუთითებს ერთ რამეზე, რომ ძალიან დიდი პოლარიზაციაა. თუმცა, რეგიონების მიხედვით, კაჭკაჭიშვილის მიერ დადებულ რეიტინგებში თუ როგორ ნაწილდება ხმები, ერთი მნიშვნელოვანი მომენტია: თუ საქართველოს დანარჩენ ტეროტორიაზე მეტ-ნაკლებად თანაბრად მიდიან სააკაშვილი და ივანიშვილი, ივანიშვილის მცირე უპირატესობით. ამ სურათიდან ორი რეგიონი არის სერიოზულად ამოვარდნილი: სამცხე-ჯავახეთი და სამეგრელო, სადაც 70 პროცენტს აჭარბებს სააკაშვილის რეიტინგი. ივანიშვილის რეიტინგი კი 8 პროცენტია. რა აერთიანებს ამ ორ რეგიონს და რა არის მიზეზი ასეთი განსხვავებისა დანარჩენი ქართული რეგიონებიდან. ამის მიზეზი არის ორი ფიგურა – მერაბიშვილი და ახალაია. ორი ძალოვანი მინისტრი, რომელიც ამ რეგიონებიდან არიან და რომლებიც საკმაოდ სერიოზულ ზეგავლენას ახდენენ იქ მცხოვრები ადამიანების თავისუფლების ხარისხზეც, შესაბამისად მათ გუნება-განწყობებზეც.

***– თუმცა, სამცხე-ჯავახეთში, სადაც ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლები ცხოვრობენ, ყოველთვის ხელისუფლებას უჭერენ მხარს. ამ ფაქტორს გამორიცხავთ?***

– როგორც წესი, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს, ამ შემთხვევაში აზეირბაიჯანლებსა და სომხებს დაახლოებით ერთი განწყობა ჰქონდათ. აზერბაიჯანულ რეგიონებში გასაგებია ეს სხვაობა და ის ასატანია, მაგრამ ეს არ არის ტოტალური სხვაობა. ამიტომ ეჭვი მეპარება, რომ ხელოვნურია. ძალიან არის ამოვარდნილი საერთო სახელმწიფოებრივი სურათიდან.

***– ივანიშვილისა და სააკაშვილის რეიტიგებში არსებულ სხვაობაზე რას იტყვით?***

– მცირე უპირატესობა აქვს ბატონ ივანიშვილს, რაც ბუნებრივია აბსოლუტურად. თუმცა, არის ერთი მომენტი, რომელიც ივანიშვილის გუნდისთვის სერიოზულად არის დასაფიქრებელი, რომლის ეფექტურობაზე ჯერჯერობით დიდი წარმოდგენა არ მაქვს.

***– რაზე უნდა დაფიქრდეს ივანიშვილის გუნდი?***

– 51 პროცენტი მიესალმებოდა ივანიშვილის გამოჩენას, 46 პროცენტი არის კმაყოფილი მისი პირველი ერთი თვის აქტივობითა და მუშაობით. გამოდის, რომ 10 პროცენტი არის ვარდნა. გასაგებია, რომ ვარდნა იქნებოდა, რადგან როდესაც არანორმალურად მაღალი მოლოდინები იქმნება, ამას დასტაბილურება სჭირდება. ტენდენცია ვარდნისკენ არის, მაგრამ გამოჩნდება, შეძლებს ის ამის შეჩერებას თუ პირიქით. დღეს ყველაფერი ივანიშვილზე არის დამოკიდებული. ეიფორიამ გაიარა, ახლა არის მოლოდინის რეჟიმი. სააკაშვილისაგან რას ველით, ეს გასაგებია. სააკაშვილს ვარდნის ტენდეციები მაინცდამაინც არ ეტყობა. ის სტაბილურად არის. ივანიშვილმა ჯერჯერობით, რაც მოახერხა ის არის, რომ მაქსიმალურად მობოჭა ოპოზიციური ელექტორატი და გააერთიანა მის ირგვლივ, რაც კარგია. ახლა უნდა დაიწყოს მეორე პროცესი, სააკაშვილისთვის ელექტორატის წართმევის პროცესი. გამოკითხვებმა, მაგალითად, კაჭკაჭიშვილის გამოკითხვებმა გვიჩვენა, რომ ეს პროცესი მაინცდამაინც წარმატებით ვერ მიმდინარეობს. მეტიც, რაღაც მომენტში მომეწონა, რომ ივანიშვილის გამოჩენას სააკაშვილის გარშემო კონსოლიდირება მოჰყვა. იქიდან გამომდინარე, რომ მათ სხვა ფიგურა არ ჰყავთ, რაც ნაციონალური მოძრაობის ყველაზე დიდი უბედურებაა.

***– კონსოლიდირება გუნდის შიგნით თუ სააკაშვილის მხარდამჭერების?***

– ერთიცა და მეორეც. ჯერჯერობით ნაციონალების გუნდის ზედა ეშელონებში კარგად ხვდებიან, რომ სხვა რეიტინ-


ირაკლი მელაშვილი

გული ფიგურა სააკშვილის გარდა მათ არ ჰყავთ. მართვის სისტემა, რომელიც სააკაშვილმა შექმნა, გამორიცხავს მეორე ფიგურის, მესამე ფიგურის ყოფნას. თუმცა, უგულავაზე იყო საუბარი...

– კი, მაგრამ ყველა გამოკითხვა გვიჩვენებს, რომ ის რეიტინგებში ძალიან დაბლა არის. აქედან გამომდინარე მათ სერიოზული საფიქრალი აქვთ. ივანიშვილის გუნდში რამდენად გრძელი იქნება სკამი, ეს დამოკიდებული იქნება თუ რამდენად იქნება მოქნილი ივანიშვილი და რამდენად არარეალისტური მოთხოვნები ექნება პარტიების მიმართ. მას თუ მოთხოვნა ექნა, რომ პარტიები უნდა დაიშალონ და სათითაოდ უნდა შევიდნენ მათი ლიდერები მის გუნდში, ეს არარეალისტური მოთხოვნა იქნება.

**– თქვენ ამბობთ, რომ ახლა ივანიშვილს რთული სამუშაო აქვს?**

– ყველაზე რთული სამუშაო ახლა ელის, რომელიც, ჩემი აზრით, უფრო ადრე უნდა დაწყებულიყო. ეს არის ორგანიზაციული საქმე, 3700 საარჩევნო უბანზე უნდა შეარჩიოს ხალხი, რაც მთავარია, მაჟორიტარული კანდიდატები უნდა შეარჩიოს. ხელისუფლებამ კარგად გამოიყენა ოპოზიციის გარკვეული ნაწილის სიბრიყვე, აყვირა საკონსტიტუციო ცვლილებებზე. ხელისუფლებას მოდელი 107 პროროპციული 83 მაჟორიტარული აწყობდა სუსტი ოპოზიციის პირობებში.

***– ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ?***

– ივანიშვილის გამოჩენის შემდეგ ეს პროპორცია შეიძლება მათთვის მარცხის ტოლფასი გახდეს. ამიტომ ოპოზიციის ნაწილის სიბრიყვისა და გარკვეული ენჯეოების გამოყენებით ხელისუფლება აპელირებას გააკეთებს, რომ საერთო სახალხო გამოკითხვამ გვიჩვენა, რომ ხალხს არ უნდა კონსტიტუციის შეცვლა და ამიტომ ამ მოდელს შეცვლის და შეიძლება უარესით შეცვალოს. მაგალითად, არა 75–75-ზე, არამედ 67–83-ზე. ან კიდევ უფრო უარესით, 50 პროპორციული 100 მაჟორიტარულით, რადგან არის ვენეციის კომისიის დასკვნა, სადაც წერია, რომ 83 მაჟორიტარული საკმარისი არ არის. ამიტომ ახლა მთავარი საკითხი არის ეს. თუ ეს შეცვალა ხელისუფლებამ, მაშინ მთავარი ფაქტორი არჩევნებზე მაჟორიტარები გახდება. თუ ხელისუფლებამ დაინახა, რომ ივანიშვილი მზად არ არის არჩევნებისთვის, მაშინ ხელისუფლებას მოტივაცია გაუჩნდება არჩევნების დროზე ადრე დანიშვნის. დღეს ხელისუფლება დროზე ადრე არ დანიშნავს არჩევნებს, რადგან ეს კონსოლიდირებას გამოიწვევს ივანიშვილის გარშემო.

***– აბა, რა შემთხვევაში დანიშნავს ვადამდელი არჩევნებს?***

– თუ გარკვეული პერიოდის შემდეგ დაინახავს, რომ ივანიშვილი მზად არ არის და მისი მანქანა მზად არის, მან შეიძლება დანიშნოს არჩევნები.

***– ანუ ვადამდელი არჩევნები რეზერვშია?***

– რა თქმა უნდა. ხელისუფლება მზად არის ვადამდელი არჩევნებისთვის. ორი ცვლილებით, მთავრობის ერთი წევრისა და ბიუჯეტის ჩავარდნით. ამას შეიძლება მოჰყვეს რიგგარეშე არჩევნები. ხელისუფლება ყველა სცენარისთვის ემზადება, განსხვავებით ოპოზიციისაგან, როგორც ყოველთვის.

# მოროშკინა ადმინისტრაციულ სახდელს მოდულის შენობაში მოიხდის


ლალი მოროშკინა

ჟურნალისტი ლალი მოროშკინა 15-დღიან ადმინისტრაციულ სახდელს მოდულის შენობაში, წინასწარი დაკავების იზოლატორში მოიხდის.

როგორც ,,მედიანიუსს“ ლალი მოროშკინას ადვოკატმა, ირაკლი კაპანაძემ განუცხადა, მოროშკინას საქალაქო სასამართლომ 15-დღიანი ადმინისტრაციული სახდელი შეუფარდა, რომელსაც ის „მოდულის“ შენობაში წინასწარი დაკავების იზოლატორში მოიხდის და არა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში.

მისი თქმით, გირაოს ადმისტრაციული საქმე არ ითვალისწინებს, აქედან გამომდინარე მოროშკინამ 15-დღიანი სასჯელი უნდა მოიხადოს.

მოროშკინას ადვოკატის თქმით, ისინი სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას გაასაჩივრებენ.

,,ახლა ვამთავრებ მუშაობას საჩივარზე. მერე უნდა შევიდე იზოლატორში, ლალი უნდა ვნახო და ხელი მოვაწერინო, რის შემდეგაც დღესვე შევიტან სარჩელს სასამართლოში“, - აღნიშნა კაპანაძემ.

შეგახსენებთ, რომ ჟურნალისტი ლალი მოროშკინა ტელეკომპანია „იმედში“, ,,ნანუკას შოუს“ საახალწლო გადაცემის ჩაწერის დროს მომხდარი ინციდენტის გამო დააპატიმრეს. კერძოდ, გაზეთ ,,პრაიმ-ტაიმის“ ნომინაციითა და მისი მთავარი რედაქტორით უკმაყოფილო მოროშკინამ რედაქტორს თამარ ფხაკაძეს სცემა და გავრცელებული ინფორმაციით, ჩანგლით კისრის არეში ჭრილობა მიაყენა.

მომხდარიის შესახებ ლალი მოროშკინამ ტელეკომპანია „კავკასიის“ პირდაპირ ეთერში ისაუბრა. დავით აქუბარდიას გადაცემაში მან სამართალდამცველებს მიმართა და აღიარა, რომ კონფლიქტი ნანუკა ჟორჟოლიანის საახალწლო გადაცემის ჩაწერის დროს მოუვიდა და თამარ ფხაკაძეს სცემა. მისივე თქმით, ნომინაცია, რომელიც „პრაიმ-ტაიმმა“ მას მისცა, შეურაცხმყოფელი იყო და ამას ვერ მოითმენდა.

მედიანიუსი

მაგთი MAGTI
ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ ...

# „მაგთიკომის“ ქართული საქმე და დიმიტრი ერისთავის ალბომი

დღეს საქართველოში არც გამომცემლობების არსებობა „უკვირს“ ვინმეს, არც წიგნების გამოცემა და არც ახალი გამოცემების წარდგინება – სხვადასხვა გემოვნების, ინტერესებისა თუ ასაკის მკითხველის წინაშე – სხვადასხვა სივრცეში. რას არ შევხვდებით წიგნის მაღაზიებსა თუ ბაზრობებზე, რა ტიპისა თუ ჟანრის ლიტერატურის როგორი თავისუფალი არჩევანი გვაქვს, მაგრამ „ნიშა“, რომელიც „მაგთიკომს“ საგამომცემლო მიმართულებით უკავია,



ბევრისგან განსხვავებული და სპეციფიკურია, რადგან კულტურის ისეთ სფეროს მოიცავს, რომელსაც მსოფლიოში ანალოგი არა აქვს – ქართულ მხატვრობას.

რამდენიმე წელია კომპანიამ ქართველი მხატვრების შემოქმედების ამსახველი ალბომების გამოცემა დაიწყო და სახვითი ხელოვნების ეროვნულ საგანძურს ბეჭდვით ფორმატში მოთავსებული საგანძური შეჰმატა – როგორც თანამედროვეებისთვის, ასევე მომავალი თაობებისთვის – საქართველოსა თუ მის საზღვრებს გარეთ. თან ქართული სულიერი კულტურის პოპულარიზაციას შეუწყო ხელი, არსებულის დაფასებისა და იმის გაფრთხილებისკენ მიგვითითა, რაც შემდეგ შეიქმნება.

ყოველი ასეთი ალბომის გამოცემას „მაგთი“ პრეზენტაციით აღნიშნავს. პრეზენტაციებმა 2009 წლიდან სხვადასხვა საგამოფენო თუ საგალერეო სივრციდან „მაგთიკლუბში“ გადაინაცვლეს, რომელიც, ბოლო დროს, ხელოვნების თაყვანისმცემელთა თავშეყრის ადგილად იქცა. აქ ხშირად იმართება სხვადასხვა ტიპის შეხვედრები, კონცერტები, ივენთები და ა.შ. და ა.შ., რომლებიც ყოველთვის საინტერესო თემატიკით, ფორმატითა თუ ფორმით გამოირჩევა, მაგრამ თვით მათგანაც განსაკუთრებით მიმზიდველი სწორედ ახალი გამოცემების წარდგინებებია, სწორედ მათი სპეციფიკურობის, დატვირთვისა და მხატვრული ფასეულობის გამო.

თანაც ეს შეხვედრები იმითაცაა გამორჩეული და რომ უძვირფასესი ალბომები, რომლებსაც კომპანია გამოსცემს, კი არ იყიდება, არამედ „სასაჩუქრეებია“ – საჩუქრად ურიგდებათ საღამოების სტუმრებს (შემდეგ სხვა დაინტერესებულ ადამიანებს). დასტამბვის ხარისხიდან, მაღალპოლიგრაფიულობისა და არსის მასშტაბურობიდან გამომდინარე, თითოეული გამოცემის ღირებულება (ამჯერად მატერიალურს ვგულისხმობ) ისეთია, რომ სხვა შემთხვევაში „ჩვეულებრივი მოკვდავი“ მას ვერ შესწვდებოდა.

მყიდველის ფაქტორი ერთია და ისიც აღსანიშნავია, რომ კომპანიის ასეთი, თან არა ერთჯერადი, არამედ ხანგრძლივმოქმედი პროექტი უფრო მნიშვნელოვანი ხდება იქიდან გამომდინარე, რომ მხატვრებს საქართველოში (ძალიან იშვიათი გამონაკლისის გარდა) არა აქვთ საკუთარი შემოქმედების ალბომებად გამოცემის შესაძლებლობა. და ამ საქმეში „მაგთი“ მათ უანგაროდ ეხმარება.

ამ სერიით უკვე რამდენიმე ალბომი გამოვიდა – „ედმონდ კალანდაძე“, „თემო ჯაფარიძე“, „რადიშ თორდია“, „მერაბ აბრამიშვილი“, „კოკი მახარაძე“ და ყველაზე პირველი და მონუმენტური – „ირაკლი ფარჯიანი“.

სულ ახლახან კი მათ „დიმიტრი ერისთავი“ (დაიბეჭდა შპს „სეზანში“) შეემატა, რომლის წარდგინება 8 დეკემბრის მშვენიერ საღამოს, ტრადიციულად, „მაგთიკლუბში“ გაიმართა.

ქართულ და ინგლისურენოვანი ალბომი იხსნება ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორ მზია ჩიხრაძის წერილით, რომელშიც ავტორი დიმიტრი ერისთავის შემოქმედებას აანალიზებს და მისი ცხოვრების შესახებ ყვება. რედაქტორია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ნანა შერვაშიძე, ფოტოგრაფი – გია ჩხატარაშვილი, დიზაინერები – ზურაბ მიმინოშვილი, პაატა ედილაშვილი, მთარგმნელები – ციცო ხოცუაშვილი და ნინო ტორაძე, ქართული ტექსტის რედაქტორი – ეკა მიქაბერიძე.

კომპანიის არჩევანი დიმიტრი ერისთავზე – გრაფიკოსზე, წიგნის ილუსტრატორსა და კინომხატვარზე – შემთხვევით არ შეჩერებულა. თანამედროვეობის გამორჩეული შემოქმედი, რომლის ხელოვნებასაც არა აქვს ჩარჩო და საზღვარი, რომელიც მუდამ ეძებს, მუდამ ახალ აღმოჩენებს აკეთებს, რომელიც არ ისვენებს და ერთხელ თუ ორჯერ მიგნებულით არასოდეს კმაყოფილდება და რომელიც არ ექვემდებარება, არ ემორჩილება დროს, „მაგთის“ კონცეფციას ზუსტად ერგება.

დიმიტრი ერისთავის ხელოვნება ქართული კულტურის ნაწილად უკვე დიდი ხანია იქცა. იგი „60-იანელთა თაობის“ წარმომადგენელია, ინდივიდუალური ხელწერის, მსოფლაღქმისა და სტილის შემოქმედი, იმ მხატვრების ჯგუფიდან, რომელმაც XX საუკუნის 60-იანი წლებში საბჭოთა იდეოლოგიის ბარიერების დაძლევა შეძლო, რომელმაც მოახერხა თავი დაეღწია სოციალისტური რეალიზმის ბურუსისთვის, ეჩვენებინა, თუ რა არის, როგორი შეიძლება და უნდა იყოს ნამდვილი ხელოვნება და დაამტკიცა, რომ თავისუფალი შემოქმედი მაშინაც კი თავისუფალია, როდესაც გარშემო ეკლიანი მავთულხლართები არტყია. და რომ თავისუფლება ყველაზე მთავარია ადამიანისთვის.

მისი ნამუშევრები – „იების გამყიდველი“, „საბავშვო ბაღი“, „დილა გარეუბანში“, „ავტობუსის გაჩერება“, სერიები – „ძველი თბილისი“, „ლანდები“, პორტრეტები – „ნათელა“, „მანანა გედევანიშვილი“, „მანა აბაზაძე“, „მარინა ქარცივაძე“, ესკიზები ფილმებისთვის (და თვითნ ფილმებიც) – „ქორწილი“, „არაჩვეულბირივი გამოფენა“, „იყო შაშვი მგალობელი“, ილუსტრაციები წიგნებისთვის – „კრენკებილი“, „ტილ ულენშპიგელი“, „პიკვიკის კლუბის ჩანაწერები“, „ჰამლეტი“ და სხვა და სხვა კლასიკადაა მიჩნეული და დღეს ეს კლასიკა ალბომშია შესული, რომლის თვალიერება და ახალი აღმოჩენების გაკეთება დაუსრულებლად შეიძლება.




შეიძლება ითქვას, რომ ალბომი თავს უყრის მხატვრის მთელ შემოქმედებას, რამდენიმე ასეულ ნამუშევარს, სხვადასხვა პერიოდში შექმნილ სერიებსა და ცალკეულ ქმნილებებს, პორტრეტებს, ნატურმორტებს, კომპოზიციებს, ქალაქების ხედებს, სახლების, ნივთების ანაბეჭდებს, წიგნის ილუსტრაცებს, ესკიზებსა და კადრირებებს ფილმებისთვის, შავ-თეთ და ფერად გრაფიკას, ტუშით, აკვარელში, გუაშში, პასტელში, ფერად და შავ ფანქარში, ნახშირში შესრულებულ ნამუშევრებს, ლითოგრაფიებს. თავს უყრის ყველაფერს იმას, რისი ხატვაც დიმიტრი ერისთავს ძალიან უყვარდა და უყვარს, რასაც არაერთხელ დაბრუნებია ცხოვრების განმავლობაში, იმას, რაც არასოდეს გაუმეორებია და იმასაც, რაც სულ ცოტა ხნის წინ, პირველად „დაინახა“. აერთიანებს წარსულს, აწმყოსა და მომავალს, იმას, რაც მარადიულია და რაც სამუდამოდ გაქრა, მხატვრის ხელმა კი „გადაარჩინა“ და „შეინარჩუნა“.

„დიმიტრი ერისთავის“ წარდგინებაზე დასწრების, დიმიტრი ერისთავისთვის სიყვარულისა და პატივისცემის გამჟღავნების, რამდენიმე საათის მშვიდ, სასიამოვნო ატმოსფეროში გატარების, ნაცნობ-მეგობრებთან თუ ხელოვნებისა და საზოგადოების ცნობილ წარმომადგენლებთან შეხვედრისა და პირდაპირ ვიტყვი, მშვენიერი ალბომის მფლობელობის მსურველთა რაოდენობა საკმარისზე მეტი იყო. (აღარაფერს ვამბობ საზოგადოების იმ ნაწილზე, რომელიც პრეზენტაციაზე ვერ მოხვდა).

სტუმართა შორის იყვნენ, პირველ რიგში, დიმიტრი ერისთავის მეგობრები, სხვადასხვა თაობის მხატვრები, ხელოვნებათმცოდნეები, არქიტექტორები, შემოქმედებითი ინტელიგენციის



წარმომადგენლები; იყვნენ ულამაზესი ქალბატონები, რომლების პორტრეტები დაუვიწყარ სახეებად არსებობენ ქართულ მხატვრობაში.

რა თქმა უნდა, აქ იყვნენ დიმიტრი ერისთავის უმშვენიერესი მეუღლე ნათელა, რომლის პორტრეტიც, ერთ-ერთი საუკეთესო ქართული (და არა მხოლოდ დიმიტრი ერისთავის) პორტრეტთაგანია და ვაჟი სანდრო ერისთავი, თავადაც ძალიან საინტერესო და თავისთავადი აზროვნების მხატვარი.



ბუნებრივია, აქ იყვნენ საღამოს მასპინძლები, ის ადამიანები, რომლებმაც შეაძლებელი გახადეს ალბომის გამოცემა და დღესასწაული აჩუქეს, როგორც კლუბში შეკრებილ, ასევე მის მიღმა არსებულ საზოგადოებას.

„მაგთიკომისა“ და „მაგთიკლუბის“ წარმომადგენლები ნაირნაირი ნუგბარით სავსე მაგიდებს შორის დადიოდნენ და სტუმრებს ალბომებს ურიგებდნენ, რომლებზეც მხატვრის ხელმოწერის „ხელში ჩაგდების“ მსურველებმა ცოტა ხანში კარგა მოზრდილი რიგი დააყენეს. ცხადია, ამ „აქციამ“ ძვირფას საჩუქარს მეტი „ფასი“ დაადო!

სალამოს მსვლელობას ალამაზებდნენ მუსიკოსები და ახალგაზრდა მუსიკოს მომღერლები: კლავიში – გიგი ვანდერი, ვოკალისტები: ნინი კვირჭიშვილი, მაკო კვიტაშვილი, მარიკო ლეჟავა, რომლებიც ზუსტად გრძნობდნენ კლუბში იმ საღამოს გამეფებულ განწყობასა და შექმნილ ატმოსფეროს და შესატყვისი რეპერტუარით ეხმიანებოდნენ მხატვრობის დღესასწაულს.

არაერთ დამსწრეს ჰქონდა სურვილი სიტყვით გამოსულიყო და რაღაც ეთქვა, სიყვარულის ახსნასავით, დიმიტრი ერისთავისთვის, როგორც ითქვა, არისტოკრატი, რაფინირებული ხელოვანისთვის, რომლის არსებობაც დიდი ბედნიერებაა საქართველოსთვის, რომლისგანაც ბევრის სწავლაც შეიძლება და რომლის გვერდით ყოფნა – სტიმული შემოქმედებითი მუშაობისთვის.

მიკროფონთან ერთმანეთს ცვლიდნენ – მხატვარი ედმონდ გაბრიელ კალანდაძე, ხუროთმოძღვარი ვახტანგ დავითაია, გალერისტი ვანდა მუჯირი, მხატვარი გია ხუციშვილი და სხვანი და სხვანი, ვისთვისაც ძვირფასია ზოგადად ხელოვნება და კონკრეტულად, დიმიტრი ერისთავის შემოქმედება.

უშუალო და მშვიდ ატმოსფეროში, სასიამოვნო და სიხარულით გამსჭვალულ გარემოში გაერთიანებულ, ყოველდღიურ ყოფას მოწყვეტილ ადამიანებს დაშლა და განშორება არ უნდოდათ. ისინი მხიარულად საუბრობდნენ, იხსენებდნენ წარსულს, განიხილავდნენ დღევანდელობას, მომავლის გეგმებს უზიარებდნენ ერთმანეთს და ქართული ხელოვნების ხვალინდელი დღის პროგნოზებს ერთსულოვნად აკეთებდნენ.

თან ყველა მოუთმენლად ელოდა, თუ როდის დაამთავრებდა დიმიტრი ერისთავი ხატვას, რომელიც დარბაზის კუთხეში გაშლილ სადგამზე, სახელდახელოდ, მორიგ ნამუშევარს ქმნიდა. ეს ქმნილება „მაგთიკლუბის“ საკუთრებად იქცა, ამ საღამოსა და მის მთავარ გმირთან დაუვიწყარი შეხვედრის მოსაგონებლად.

P.S. თუ „მაგთის“ საგამომცემლო საქმიანობის რამდენიმეწლიან ისტორიას გადავხედავთ, იმ ალბომებსაც კიდევ ერთხელ გავიხსენებთ და გადავათვალიერებთ, რომლებიც კომპანიამ დღემდე გამოსცა და საჩუქრად გადასცა თავისი სატელეფონო ქსელის მომხმარებლებს, ხელოვანებსა თუ ხელოვნების მოყვარულებს, დავრწმუნდებით, რომ სლოგანი – „ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ“ – ნამდვილად არაა „ცარიელი“ სიტყვები და სარეკლამო განაცხადი. ყველაფერი რეალურზე რეალურია, ვინაიდან, ქართველი მხატვრების შემოქმედების თავმოყრა, დაფიქსირება და ბეჭდური ფორმით შთამომავლობისთვის გადაცემა ნამდვილადაა ეროვნული საქმე.

**ანა ვაჩნაძე**

# საქართველოში გენმოდიფიცირებულმა პროდუქციამ იმატა

## რატომ ვერ ვითარდება ქვეყანაში სოფლის მეურნეობა

შორენა გონგლაძე

### ინტერვიუ ეკონომიკის ექსპერტ რევაზ გოგოხიასთან

***— ბატონო რევაზ, რა მდგომარეობაა საქართველოს ეკონომიკაში, რამდენად ვითარდება ქართული ეკონომიკა?***

— საქართველოში არსებული საწარმო დანიშნულების ობიექტები გაიყიდა ან დაინგრა, ხოლო ახალს არ ვაშენებთ. დღეისათვის საქართველოში მიმდინარე თითქმის ყველა მშენებლობას აფინანსებს მსოფლიო ბანკი, ევროკავშირის თუ სხვა ბანკები. სესხისა თუ ინვესტიციების მისაღებად ხე-



ლისუფლებამ მათ გარკვეული პირობები უნდა შეუსრულოს, რომელთა შორის მთავარია, ინვესტიციები არ ჩაიდოს საწარმო დანიშნულების ობიექტების მშენებლობასა თუ რეკონსტრუქციაში. სესხები, როგორც წესი, გამოყენებულ უნდა იქნეს გზების, სასტუმროების, ტურისტული ობიექტების და ასე შემდეგ მშენებლობაში. მაგრამ საინტერესოა, სად წავიდა სახელმწიფო საწარმოთა პრივატიზების შედეგად ამოღებული დიდძალი ფულადი სახსრები? ამ კითხვაზე ხელისუფლებას არათუ ნათელი, არამედ ბუნდოვანი პასუხიც კი არ გააჩნია. სახეზეა სავალალო სურათი, ქვეყანაში ეკონომიკა არ იზრდება. წლების განმავლობაში გრძელდება სისტემური სოციალ-ეკონომიკური კრიზისი, იზრდება სიღარიბე, კატასტროფულ ხასიათს იღებს მოსახლეობის ქონებრივი დიფერენციაცია, მოსახლეობის 10-15% ფუფუნებაში ცხოვრობს, დანარჩენი ნაწილი კი საარსებო საშუალებებს ძლივს შოულობს. რაც შეეხება ნორმალურად განვითარებული ქვეყნის საზოგადოების ხერხემალს, საშუალო კლასს, ის საქართველოში, ფაქტობრივად, ვერ ჩამოყალიბდა. აქედან გამომდინარე, უნდა ითქვას, რომ ბოლო წლებში საქართველოში განვითარებულმა რეფორმამ ვერ შეძლო ქვეყნის ეკონომიკური კრიზისიდან გამოყვანა, მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილის ზღვარზეა. სამამულო წარმოების სურსათის შემცირებამ იმპორტით მისი ჩანაცვლება გამოიწვია, რის გამოც სასურსათო ბაზრის 70% იმპორტულ, უხარისხო საკვებს უკავია. ამასთან ერთად, ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი გადახდისუუნაროა. ექსპერტების შეფასებით, საქართველოს სასურსათო პოტენციალი სრულიად საკმარისია 8-10 მლნ ადამიანის გამოსაკვებად.

***— იმპორტირებული უხარისხო სურსათი რამდენად სახიფათოა ჯანმრთელობისთვის?***

— სამწუხაროდ, სულ უფრო იზრდება გენეტიკურად შეცვლილი სურსათის გამოყენება, დაბალფასიანი სურსათი აზიანებს ადამიანის ჯანმრთელობას. ამიტომ სურსათის გენეტიკური მოდიფიცირება არავითარ შემთხვევაში არ უნდა გახდეს საქართველოს ეროვნული სოფლის მეურნეობის განვითარების ალტერნატიული და მით უმეტეს პრიორიტეტული მიმართულება. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდას, მით უმეტეს, რომ საქართველოს მიწისა და საერთოდ სოფლის მეურნეობის განვითარების ბუნებრივ-ეკონომიკური პოტენციალი სანახევროდაც კი არ არის გამოყენებული, რაც დიდი რესურსული, მაგრამ მიძინებული რეზერვია.

***— ამის მიზეზად რა შეიძლება დასახელდეს?***

— მიზეზი ბევრია, მაგრამ უმთავრესი მაინც აგრარული სექტორის არასწორი მენეჯმენტი, დარგის არაკვალიფიციური მართვა და თვითდინებაზე მიშვებაა. სწორედ ამის შედეგია ის, რომ საქართველოს აგრარულ სექტორში ინვესტიციების ყველა შიგა წყარო პარალიზებულია, რის გამოც სოფლის მეურნეობრივი წარმოება მაღალი რისკიანობით ხასიათდება. ასეთ ვითარებაში კომერციული ბანკები თავს იკავებენ შესაბამისი კრედიტების გაცემაზე, განსაკუთრებით გრძელვადიანი პროგრამებისთვის, რაც ასე სჭირდება აგრარულ სექტორს. ამ ფონზე აუცილებელია სახელმწიფო როლის გაძლიერება.

***— ქვეყნის მოსახლეობის რა პროცენტია დასაქმებული სოფლის მეურნეობის სექტორში?***

— ამ სფეროში დასაქმებულია ქვეყნის აქტიური მოსახლეობის 3\5-ზე მეტი, თუმცა მშპ-ში სოფლის მეურნეობის წილი მხოლოდ 9%-მდეა. ფერმერთა რაოდენობა 2500 ათასია, საშუალოდ ერთი ფერმერი ფლობს 1 ჰა მიწის ფართობს, ფერმერთა 80% და მეტი პროდუქტებს თვითმომსახურებისათვის აწარმოებს. სოფლის მეურნეობა საქართველოს ეროვნული ეკონომიკის ერთადერთი დარგია, რომლის წარმოების მოცულობაც წლიდან წლამდე მცირდება. მაგალითად, 2003 წელთან შედარებით, 2009 წლისთვის ის შემცირდა 1/7-ით და მეტად. თუ 1998 წელს შრომის მწარმოებლურობა სოფლის მეურნეობაში 4-ჯერ ჩამორჩებოდა ქვეყნის ეკონომიკის საშუალო მაჩვენებელს, 2003 წელს – 7,4-ჯერ, 2009 წელს კი – თითქმის 19-ჯერ. სოფლის მეურნეობის ასეთი სავალალო მდგომარეობა, ასე თუ ისე, გასაგები გახდება, თუ აღვნიშნავთ იმ ფაქტს, რომ დარგისათვის 2011 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში გამოყოფილ იქნა 55348 ათასი ლარი, რაც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი მაჩვენებელია. კატასტროფის პირასაა ასევე ქვეყნის მეცხოველეობა. საქართველოში დღეისათვის მხოლოდ 900 ათასი მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვია, თუმცა შეგვიძლია გვყავდეს 2 მლნ. მინიმუმამდეა დაყვანილი წვრილფეხა პირუტყვის სულადობა – 790 ათასი. ღორის რაოდენობა 75 ათასია. საქართველოში სასურსათო პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს მასზე ფასების უკონტროლო ზრდა. მაშინ, როდესაც ევროკავშირის მთელი კანონმდებლობა მიმართულია ხალხის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისკენ, ჩვენთან პირიქით ხდება – სურსათის უხარისხობას კიდევ უფრო ამძიმებს მასზე ფასების მკვეთრი ზრდა უწინარესად მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხორცზე, რაც ბოლო პერიოდში ერთი ხელის მოსმით თითქმის 1,5-ჯერ გაიზარდა.

***— საკვებ პროდუქტებზე ხარისხის კონტროლი აღარ ხორციელდება. როგორ უნდა მოიქცეს მოცემულ შემთხვევაში მომხმარებელი?***

— მართალია, ახლახან ამოქმედდა „სურსათის უვნებლობის შესახებ“ კანონის ზოგიერთი მუხლი, მაგრამ მისი მოთხოვნაა, გაკონტროლდეს მხოლოდ ის საწარმოები, რომლებიც ექსპორტზე მუშაობენ, ანუ არავითარი კონტროლი არ არსებობს იმპორტირებულ საქონელზე. ამიტომ, ბუნებრივია, ბევრი მომხმარებელი სვამს კანონზომიერ კითხვას: რითი უნდა განვასხვავოთ პესტიციდებით გაჯერებული პროდუქტი ქართული პროდუქტისაგან? ამისათვის საჭიროა ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოება. საქართველოს ეკონომიკაში, მათ შორის სოფლის მეურნეობაში დღეისათვის ჩამოყალიბებული სისტემური კრიზისი განპირობებულია იმ ეკონომიკური პოლიტიკით, რომელიც არ ეყრდნობა ქვეყნის ეკონომიკის არსებულ შესაძლებლობებს, ახშობს იმ მცირე შესაძლებლობებსაც კი, რომელიც თითქმის მთლიანად მოშლილ ეკონომიკას აქვს. ამიტომ, გვინდა თუ არ გვინდა, უნდა ვაღიაროთ, რომ ეკონომიკური

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# კრემლი აფხაზების გარუსებას ცდილობს

გულიკო ბალაძე

### ინტერვიუ ენათმეცნიერების დოქტორთან, პროფესორ თეიმურაზ გვანცელაძესთან

***— ბატონო თეიმურაზ, პარლამენტის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისიის სხდომაზე თქვენ ისაუბრეთ დღევანდელი აფხაზების, იმავე აფსუებისა და ჩერქეზების ენის მსგავსების შესახებ. რა მსგავსება და რა განსხვავებაა მათ შორის ენობრივი ერთობის თვალსაზრისით?***

— ახლა ჩერქეზების სახელით ქართველები აღნიშნავენ ადიღეელებსა და ყაბარდოელებს. პრაქტიკულად, ადიღეელები და ყაბარდოელები ერთი ხალხია. როდესაც მე-19 საუკუნეში რუსეთის იმპერია ძალიან სასტიკად მოექცა და მათ, ფაქტობრივად, გენოციდი მოუწყო – ათასობით ადამიანი თურქეთში გააძევა და დაიპყრო ჩერქეზეთი, ანუ ადიღეა და ყაბარდო, ამის შემდეგ დაიწყო იქ დარჩენილი მოსახლეობის გარუსების პოლიტიკა. წარმოშობის თვალსაზრისით, გენეტიკური თვალსაზრისით აფხაზებისადმი ჩერქეზების დამოკიდებულება ისეთივეა, როგორიც ქართველებისადმი, ანუ ჩვენ ყველანი ერთმანეთის მონათესავე ხალხები ვართ. ერთი მხრივ, ქართველები, მეორე მხრივ, აფხაზები, ხოლო მესამე მხრივ, ჩერქეზები ერთი საერთო წარმოშობის ხალხები ვართ და ერთმანეთის ნათესაობა გვაკავშირებს. ეს ენაშიც აისახება. ქართული, ჩერქეზული და აფხაზური ერთმანეთის მონათესავე ენებია. ეს ლინგვისტურად ძალიან კარგად ჩანს. რაც შეეხება აფხაზებთან ჩერქეზების ენობრივ სიახლოვეს, ჩერქეზული ენა აფხაზურთან გაცილებით ახლოს დგას, ვიდრე ქართული, მაგრამ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ქართული არ არის აფხაზურის მონათესავე და, პირიქით, აფხაზური არ არის ქართულის მონათესავე. აფხაზებს ჰყავთ კიდევ ერთი ეთნოსი, რომელიც ყველაზე ახლოსაა მათთან. ეს არის ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ხალხი, აბაზა ხალხი, რომლებთან ერთადაც დღევანდელი აფხაზების წინაპრები ცხოვრობდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში. პრაქტიკულად, ეს ერთი ხალხი იყო და შემდეგ მე-16 საუკუნიდან დაიწყო მათი დაცილება. აფხაზების წინაპრები გადმოსახლდნენ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე, აბაზები დარჩნენ იქ. შესაბამისად, ტერიტორიულმა დაშორებამ გამოიწვია მცირედი ენობრივი დაცილებაც, მაგრამ ეს დაცილება არც ისეთი დიდია, რომ სხვადასხვა ენის არსებობაზე ვილაპარაკოთ. აფხაზური ენა და აბაზური ენა, პრაქტიკულად, ყველა ენობრივ დონეზე ძალიან ახლოსაა ერთმანეთთან – იმდენად ახლოს, როგორც ქართული ენის გურული და კახური დიალექტებია. თუ იცი აფხაზური, უკვე იცი აბაზურიც და, პირიქით, თუ აბაზური იცი, მაშასადამე, იცი აფხაზურიც. სხვაობა არის, მაგრამ, ეს არ არის ისეთი დიდი, რომ სხვადასხვა ენის არსებობაზე ილაპარაკოს კაცმა. რაც შეეხება მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის 60-იანი წლების შემდგომ პერიოდს, როცა აფხაზებიც გაასახლეს აფხაზეთიდან თურქეთში და ჩერქეზებიც, დარჩენილების მიმართ ერთნაირი პოლიტიკა ტარდებოდა – რუსეთის ცარისტული ხელისუფლება ღიად აცხადებდა, რომ აფხაზებიც, აბაზებიც და ჩრდილოეთ კავკასიის ყველა ხალხი არიან ველურები (ეს მათი გამონათქვამებია). მათ არ აქვთ საკუთარი დამწერლობა, არ აქვთ საკუთარი კულტურა. ამდენად, მათთვის დამწერლობის შექმნა სრულიად ზედმეტია და ისინი რაც შეიძლება ჩქარა უნდა გარუსდნენ. ეს იყო რუსეთის ოფიციალური პოლიტიკა. ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების დაჩქარებული გარუსების მიზანს ახორციელებდნენ პრაქტიკულად ცარიზმის დარჩენილი პერიოდის განმავლობაში, შემდეგ – საბჭოთა პერიოდში და დღესაც იგივე ვითარებაა. სამი სხვადასხვა წყობილების პერიოდში – მეფის რუსეთის, საბჭოთა რუსეთისა და პუტინის დროს, რუსეთის სახელმწიფო ამ ხალხების მიმართ, პრაქტიკულად, ერთ პოლიტიკას ახორციელებს. აფხაზეთის დამოუკიდებლობის არავის სჯერა. ეს, პირველ რიგში, მოსკოვში იციან ყველაზე კარგად. არავითარი დამოუკიდებლობა აფხაზეთისა არავის გეგმაში არ ჰქონია და არც აქვთ. საქართველოს დასასჯელად იყო საჭირო და ასე გააკეთეს.

***— ანუ რუსეთს აფხაზების ინტეგრაცია სურს.***



— ინტეგრაცია – არა. ინტეგრაცია მაინც ნებაყოფლობას გულისხმობს. აქ ინტეგრაციაზე ლაპარაკი არ არის. არც აფხაზის და არც ჩერქეზის ნება არავის აინტერესებს. რუსეთის ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს მათი გარუსება და ამით დამთავრება. ეს არის დაახლოებით ის გეგმა, რომელიც ჯერ კიდევ მე-18 საუკუნის დასასრულს შეიმუშავა რუსეთის საიმპერატორო კარმა. ასეთი მოკლე ფორმულირება ჰქონდა: კავკასიელი ხალხები უნდა იყვნენ სხეულით კავკასიელები, ხოლო გონებრივად და სულით უნდა იყვნენ რუსები. ეს პრინციპი რუსეთის სახელმწიფოს არ უარუყვია, დღესაც ამას ახორციელებს. პრაქტიკულად, ამან ისეთი შედეგი გამოიღო, რომ დღეს აფხაზების, აბაზების, ადიღეელების, ყაბარდოელების უდიდესი უმრავლესობა უკვე, ფაქტობრივად, გარუსებულია. დედა ენა მათმა დიდმა ნაწილმა უკვე აღარ იცის. საკუთარ ენაზე აღარაფერს კითხულობენ და მთლიანად რუსული ენით გადიან ფონს. ეს არის, მოკლედ რომ ვთქვათ, რუსიფიკატორული პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.

***— აბაზებისა და აფხაზების ენობრივი ერთობის ფაქტორი ეროვნულ თვითცნობიერებაზე, ეროვნულ ერთიანობაზე რამენაირად აისახება?***

— ეს თავისთავად საკმაოდ საინტერესო საკითხია. მას შემდეგ, რაც აფხაზები დასცილდნენ აბაზებს, მე-16 საუკუნიდან აფხაზებმა დაიწყეს საკუთარი ეთნიკური იდენტობის ჩამოყალიბება, ანუ იქიდან წამოსვლის დროს შესუსტდა კონტაქტები აბაზებთან. მათ უფრო მეტი კონტაქტები ჰქონდათ ქართველებთან, შემდეგ – თურქულ და რუსულ სამყაროებთან. ნელ-ნელა კონტაქტების გაწყვეტამ აბაზებთან გამოიწვია ის, რომ აბაზებს ჩამოუყალიბდათ დამოუკიდებელი ეთნიკური შეგნება. მეორე მხრივ, აფხაზებსაც ჩამოუყალიბდათ დამოუკიდებელი ეთნიკური შეგნება. დღეს აფხაზების უმრავლესობა თავს აბაზად არ განიხილავს, ისევე, როგორც აბაზები არ განიხილავენ თავიანთ თავს აფხაზებად, მაგრამ, მათ იციან, რომ ისინი ერთმანეთის ყველაზე ახლო მონათესავე ხალხებია. ეს შეგნება მათ აქვთ. თუმცა, პოლიტიკოსების ერთი ნაწილი ცდილობს გამოიყენოს ეროვნული სიახლოვის ფაქტორი. ეს განსაკუთრებით აფხაზებში შეინიშნება. ისინი ცდილობენ, დაუმტკიცონ აბაზებს, რომ ერთი ხალხია და ერთად უნდა იცხოვრონ. აფხაზები მოუწოდებენ კიდეც აბაზებს, ჩამოსახლდნენ აფხაზეთში ქართველების ნასახლარზე – ერთად ვიცხოვროთ და შევქმნათ ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოო. რამდენად გულწრფელია ეს სურვილი, სხვა საკითხია, მაგრამ, რადგან ვერ დააბრუნეს თურქეთში განსახლებული აფხაზი მუჰაჯირების შთამომავლები, რაც ბოლო წლების განმავლობაში მათი მთავარი ამოცანა იყო, აბაზებს შესთავაზეს აფხაზეთში გადმოსახლება. მათ ძალიან სურდათ, დაებრუნებინათ აფხაზეთიდან გაძევებულთა შთამომავლები აფხაზეთში, მაგრამ ამას ვერ მიაღწიეს. ძალიან საინტერესო მიზეზი აქვთ თურქეთში მცხოვრებ აფხაზებს იმის ასახსნელად, თუ რატომ არ ბრუნდებიან თავიანთ ისტორიულ სამშობლოში. ისინი ამბობენ, ჩვენ 1866 წლის შემდეგ (როცა პირველად ავიდა დიდი ტალღა აფხაზებისა) აქ ავიწყეთ ცხოვრება, აქ გვაქვს სოფლები, ჩვენი გარემო, ჩვენი საქმე, გვაქვს მშობლებისა და წინაპრების საფლავებიო.

***— შეეგუვნენ იმ გარემოს, რომელშიც ისინი მოხვდნენ.***

— რა თქმა უნდა, უკვე მოხდა ამ მოსახლეობის ინტეგრაცია თურქულ სახელმწიფოსთან. ისინი საკუთარ თავს თურეთის მოქალაქეებად განიხილავენ და ვერ ტოვებენ თავიანთი წინაპრების საფლავებს უპატრონოდ. საფლავის ფაქტორი ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ადამიანები ჩვეულებრივ ასეთ რამეზე უარს ვერ ამბობენ. არავის სურს, უპატრონოდ მიატოვოს დედ-მამის, ბებია-ბაბუის ან შორეული წინაპრების საფლავები და თვითონ სადღაც სხვაგან წავიდეს.

***— როცა საუბარია აფხაზებისა და აბაზების სულიერ კავშირებზე, ამ კონტექსტში სოხუმში ტელეკომპანია „აბაზას“ დაარსება შემთხვევითი არ არის?***

— რა თქმა უნდა, არ არის შემთხვევითი. ეს არის პოლიტიკა. ეს აბაზების მოზიდვისთვის გაკეთდა, მაგრამ ასეთმა ნაბიჯებმა, პრაქტიკულად, არანაირი შედეგი არ გამოიღო. აბაზებიც არ მოდიან აქეთ. აფხაზებმა ისინი ვერ მოიზიდეს. ჯერ ერთი, აბაზები კარგად ხედავენ, რომ აქ ადრე ქართველები ცხოვრობდნენ, ქართველებს აქვთ კანონიერი პრეტენზია ამ მიწაზე. ბუნებრივია, ალბათ, ბევრი მათგანი ფიქრობს, მე კი წავალ, დავსახლდები აფხაზეთში, მაგრამ, ხვალ რომ ქართველი მოვიდეს, ანუ იმ სახლის პატრონი, სადაც მე დავსახლდები, მერე სად წავიდე? ეს, ბუნებრივია, მას ხელს უშლის. ამიტომ აბაზების აფხაზეთში ჩამოსახლება არ არის პერსპექტიული და მოსალოდნელი. ეს რომ განხორციელებადი ყოფილიყო, აქამდე მოხდებოდა.

***— აფხაზები და აბაზები ერთ ეთნოსად მაინც არ მიიჩნევენ თავს?***

— რა თქმა უნდა, არა.

***— თუმცა, სიახლოვეს გრძნობენ.***

— დიახ. დაახლოებით ისეა, როგორც ესპანელი და კატალონიელი. ესპანელები და კატალონიელები ერთი წარმოშობის ხალხებია, მაგრამ ესპანელი თავის თავს ესპანელად განიხილავს, კატალონიელი – კატალონიელად. კატალონიელს რომ უთხრა, ესპანელი ხარო, შეძლება, კარგად არ დაგიმთავრდეს საქმე, რადგან მას არ მიაჩნია, რომ ის ესპანელია.

***— ე.ი. აფსუები – დღევანდელი აფხაზები თავიანთ სამშობლოდ, გარდა აფხაზეთისა, ჩრდილოეთ კავკასიას არ მიიჩნევენ აბაზებთან თავიანთი სიახლოვისა და იმის გამო, რომ მათი ფესვები იქაა?***

— მათ ამის აღიარება არ სურთ. ხმამაღლა არც ერთი აფხაზი დღეს არ იტყვის იმას, რომ მათი ისტორიული სამშობლო ჩრდილოეთ კავკასიაშია.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# რეზო ჩხეიძე 85 წლისაა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ათეულობით წლობით მოღვაწეობის განმავლობაში შექმნა. იუბილარი რეჟისორის ფილმებს ახასიათებს მაღალი იდეურობა, სიახლის გრძნობა, სისადავე, მოქალაქეობრივი ჟღერადობა.

რეზო ჩხეიძე საბჭოთა რეჟიმის მიერ 1937 წელს დახვრეტილი ცნობილი მწერლის დავით ჩხეიძის, რომელიც ლიტერატურული ფსევდონიმად დია ჩიანელს იყენებდა, ოჯახში დაიბადა. განათლება რუსთაველის სახელობის თეატრალურ ინსტიტუტში მიიღო, თუმცა სწავლა საკავშირო კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტზე გააგრძელა. მისი სარეჟისორო დებიუტი შედგა რეჟისორ თენგიზ აბულაძესთან ერთად, როცა გადაიღო მხატვრული ფილმი „მაგდანას ლურჯა". ამ ნამუშევარმა რეჟისორებს მოუტანა კანის IX საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი პრიზი „ოქროს რტო" და პირველი პრემია ედინბურგის X საერთაშორისო კინოფესტივალზე.

რეჟისორის ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია „მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი", რომელიც მაყურებელმა რეზო ჩხეიძის ერთგვარ აღსარებად აღიქვა. ფილმი ჯერჯერობით მხოლოდ რუსულ ენაზეა გახმოვანებული, თუმცა როგორც იუბილარმა განაცხადა, თვე-ნახევარში ფილმის ქართულ ენაზე გახმოვანებაც დაიწყება.

**რეზო ჩხეიძე, რეჟისორი:**

– ჩემი დაბადების დღე მიყვარს. უკვე 85 წელი შემისრულდა, ეს არ არის პატარა ასაკი, მაგრამ არც ძალიან ბევრია.

***– იუბილეები გიყვართ?***

– იუბილეებიც მიყვარს. რა დასამალია და ადამიანს უყვარს, როცა ეფერებიან და არ უყვარს, როცა აგინებენ, აკრიტიკებენ ან საყვედურობენ. იუბილეზე ყველაზე მეტად გეფერებიან და გაქებენ. როცა იუბილეზე ამდენ საქებარს გეტყვიან, გგონია, რომ რაღაცას წარმოადგენ.

***– ბატონო რეზო, ბევრია 85 წელი?***

– როცა ვუყურებდი სხვებს 85 წლის ასაკში, ვამბობდი, ნეტა რაღას დაეხეტება ამქვეყნად-მეთქი, იმდენად ბევრი მეჩვენებოდა. ახლა თვითონ გავხდი 85 წლის, თუმცა ვერ ვარჩევ, რამდენი წლის ვარ – 85-ის თუ 45-ის. მიუხედავად იმისა, რომ რაღაცები მტკივა, ფეხი მოვიტეხე, მაინც მგონია, რომ სულიერად ახლა უფრო მდიდარი ვარ, ვიდრე ახალგაზრდობაში. გამოდის, ამდენი წელი ცხოვრებაც საჭირო ყოფილა. ცხოვრება სწავლაა. თან ადამიანი უფრო ბევრ რამეს უკვირდები. ხვდები, რომ ღმერთი საჩუქრებს გიგზავნის, უბრალოდ ისინი შენ უნდა დაინახო და დააფასო. ხშირად ვფიქრობ, რატომ მაჩუქა ღმერთმა ამდენი წელი? ამდენწლიანი ცხოვრების განმავლობაში ზოგს უცნობს, ზოგს ნაცნობს ხელი გავუწოდე, დავეხმარე, ბევრი ახალგაზრდა გამოვიყვანე და გზაზე დავაყენე. ეს ამბები რომ მახსენდება, ჩემს თავს ვუწონებ, რომ ეს გავაკეთე, თუმცა ამით ნამდვილად არ ვამაყობ.

***– განსაკუთრებული საჩუქარი გაქვთ?***

– არაფერი განსაკუთრებული საჩუქარი არ მაქვს. სულ მინდა ის აღმოვაჩინო, ვის რა დავაკელი – სითბო, ყურადღება, რომ მოვეფერო. სულიერი სიძლიერე ყველაზე მთავარია, ეს არის ადამიანის არსებობის განმსაზღვრელი და მისი პერსპექტივაც ეგ არის.

***– თქვენი ერთ-ერთი ბოლო ფილმი „მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი" თქვენი სულის ამოძახილია?***

– კი, ნამდვილად ასეა. ეს ფილმი ჩემი ერთგვარი აღსარებაა. ეს ჯერჯერობით ჩემი ბოლო ფილმია. ახლა ვიწყებ მის ქართულად გახმოვანებას. აქამდე რუსულ ენაზე იყო. ალბათ, თვენახევარში შევუდგებით გახმოვანებას და ქართულადაც გვექნება ეს სურათი.

***– საიუბილეოდ რა სურვილი გაქვთ?***

– ჩემი განსაკუთრებული სურვილია, ის მოძრაობა, რომელიც დღეს ასე თვალშისაცემია საქართველოსთვის, გამარჯვება მოიპოვოს. მინდა ვიფიქრო, რომ ამაში დიდ როლს შეასრულებას საქართველოს ქრისტიანული ეკლესია.

**ბოგი დოლიძე, კინომცოდნე, პროფესორი:**

– ისეთი ფილმის ავტორს, როგორიც არის საქვეყნოდ აღიარებული „ჯარისკაცის მამა" სხვაგვარი დახასიათება ან შეფასება ეგებ არც ესაჭიროება, მაგრამ რაკი ბედმა მარგუნა რეზო ჩხეიძის უახლოესი თანამებრძოლობა მთელი ათეული წლების განმავლობაში, შემიძლია სხვაგვარი შტრიხით შემოგთავაზოთ, რომელიც დამაჯერებლად ახასიათებს მას როგორც ადამიანს, მოღვაწეს, პედაგოგსა და თაობების აღმზრდელს. რაც ქართული კინოსკოლა შეიქმნა და ეს უპირველეს ყოვლისა, რეზო ჩხეიძისა და თენგიზ აბულაძის დამსახურებაა, ბატონი რეზო სულ ცდილობდა, რაც შეიძლება მეტად დახმარებოდა ჩვენს სტუდენტობას. მთელი 25 წელი მე გახლდით ფაკულტეტის ჯერ დეკანი, შემდეგ უნივერსიტეტის პრორექტორი კინოს დარგში. ამ დროს რეზო ჩხეიძე იყო კათედრის გამგე და მე თუ ვწყვეტდი ორგანიზაციულ-ადმინისტრაციულ საკითხებს, მხატვრულ-შემოქმედებითი მხარე მთლიანად მისი კომპეტენცია იყო. შეიძლება ითქვას, რომ ის უსაზღვროდ ანებივრებდა მომავალ კინემატოგრაფისტებს. იმდენად, რომ ბევრს ეს აღიზიანებდა, ამაში ცხადია იგულისხმება ხელმძღვანელობა, ანუ ინსტიტუტის რექტორატი, რომელიც თავის მოსაწონებლად სულ უფრო და უფრო ითხოვდა ე.წ. იდეურ ფილმებს, არადა, ეს ის დროა, როცა ბატონი რეზო თავის ცნობილ ფილმს რაიკომის მდივანს დგამდა. პირველად ამ ფილმს ასეთი სახელწოდება ჰქონდა – „მშობლიურო ჩემო მიწავ", მთავარ როლში კი რეჟისორი თემურ ჩხეიძე იყო. ერთ-ერთი განხილვისას როცა გამოჩნდა, რომ ჩვენი სტუდენტები ისეთ ფილმებს იღებდნენ, რომელიც სულაც არ ეხებოდა საბჭოურ სინამდვილეს, რექტორმა სერიოზულად უსაყვედურა რეზოს, შენ თავად რაიკომის მდივანს იღებ, შენი სტუდენტები კი იმას იღებენ, რაც მათ სურთო. რეზომ კი უპასუხა, მე სწორედ იმიტომ ვიღებ რაიკომის მდივანს, რომ ჩემმა სტუდენტებმა ის გადაიღონ, რაც მათ უნდათო და ამით გაამართლა სტუდენტების შემოქმედებითი არჩევანი. დამეთანხმებით, ეს ისეთი შტრიხია ოსტატისა, რომელიც თავის შეგირდებს თემის არჩევანის დიდ და სასურველ ასპარეზს უტოვებს და კი არ ზღუდავს, არამედ ხელს უწყობს მათ შემოქმედებითი ინდივიდუალობის წარმოჩენას. ეს არის ერთ-ერთი მთავარი შტრიხი როგორც ოსტატის შემოქმედებითი პორტრეტისა. ამიტომაც მეამაყება, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში მის გვერდით ვიდექი და მის 85 წლის საიუბილეო ბანკეტზე თამადა ვიყავი. 120 კაცი ვიყავით და მათგან ბევრი პოტენციური თამადა იყო – რეზო მიშველაძე, რეზო ამაშუკელი, თენგიზ არჩვაძე, ოთარ მეღვინეთუხუცესი, დიმა ჯაიანი, თუმცა თამადობა მაინც მე მხვდა წილად.

***– თქვენთვის, როგორც მეგობრისთვის და კინომცოდნისთვის, რეზო ჩხეიძის „ჯარისკაცის მამა" მისი სავიზიტო ბარათია?***

– ეს არ არის რეზო ჩხეიძის ფილმი. ეს არის ქართული ფილმი და თანაც ზოგადი ფილმი ყველა ქვეყნისთვის. იაპონელი კაცი ამბობდა, ეს მამაჩემიაო, გერმანელი ამბობდა, ეს მამაჩემიაო. ეს კი რეზო ჩხეიძის მეწყვილის, სულიკო ჟღენტის დამსახურებაა, რომელიც სცენარის ავტორია და ბოლო დროს ყველას ავიწყდება. ჩაპლინზე რომ ვლაპარაკობთ, მისი მსახიობური გენია გვახსენდება და ამ ნიჭმა იმდენად გადაფარა ყველაფერი, რომ ყველას ავიწყდება, რომ ის უპირველეს ყოვლისა უდიდესი მწერალია და ის ქმნის ამ გმირს, ამ ხასიათს და ამ განწყობილებას. რეზო ჩხეიძესა და სულიკო ჟღენტს შეხმატკბილებული შემოქმედებითი მოღვაწეობა ჰქონდათ, რაც მათ ერთობლივ ფილმებზეც აისახა.

***– რას იტყვით, მის პირველ მხატვრულ ფილმზე „მაგდანას ლურჯა"?***

– ეს იყო სრულიად ახალი ეპოქა ქართულ კინემატოგრაფში. „მაგდანას ლურჯათი" დაიწყო ახალი ეტაპი და იცით რატომ? რეჟისორებმა ადამიანი დააბრუნეს ეკრანზე. თუ მანამდე იყო ეკრანზე ადმირალი ნახიმოვი, ჩვეულებრივი ადამიანი როგორც მე ვარ და თქვენ ხართ თავისი მწუხარებით და სიხარულით, არავის აინტერესებდა. „მაგდანას ლურჯაში" კი უბრალო ადამიანი დაბრუნდა ეკრანზე. ამ ფილმში აღმოჩნდა მემაწვნე ქალი, რომელსაც აქვს თავისი სამყარო, რაც იყო „ქაჯანაში" და უფრო წინა ფილმებში. ამ ორ რეჟისორს – თენგიზ აბულაძეს და რეზო ჩხეიძეს მოევლინა შესანიშნავი სცენარისტი კარლო გოგოძე, რა თქმა უნდა, საყრდენი იყო ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის იგივე სახელწოდების შესანიშნავი მოთხრობა ეკატერინე გაბაშვილისა. ასე გაუწია ქართულმა მწერლობამ კიდევ ერთხელ დიდი სამსახური ქართულ კინოს, ისევე როგორც გადაიღეს „ელისო" და „ჯანყი გურიაში". საერთოდ, მწერლობიდან მოდის ყველაფერი.

***– მის ერთ-ერთ ბოლო ნამუშევარზე მინდა გკითხოთ. „მაცხოვრის საფლავზე ანთებული სანთელი" ეს აღსარებაა?***

– რა თქმა უნდა. რეზო ასაკითაც არ არის პატარა, გამოცდილებაც დიდი აქვს და მისი სულიერებასთან, ღმერთთან კიდევ უფრო მიახლოება ხდება ამ ფილმით. ის გვეუბნება, ეგებ ამან გადაგვარჩინოსო. მიდიან ამქვეყნიდან ადამიანები, რომლებიც ამასაც ვერ ხვდებიან. ამ ასაკში ასეთ დიდ ფილმს რომ დადგავ, პატარა საქმე ნამდვილად არ არის. ეს ფილმი ქართულ ენაზე ჯერ არ არის გახმოვანებული და იმედი მაქვს, რომ ეს პროცესიც მალე დაიწყება.

# ამბროსი ხელაიას 150 წლის იუბილეს გამოფენა მიეძღვნება

ეკა ირემაშვილი

12 დეკემბერს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას იუბილესადმი მიძღვნილი გამოფენა გაიხსნება. ღონისძიება ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და ჭყონდიდის ეპარქიის ორგანიზებით დაიგეგმა. ექსპოზიციას „სული ღმერთს, გული სამშობლოს (ამბროსი ხელაია-150)" ეწოდება, რომელიც კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსის დაბადებიდან 150 წლის იუბილეს ეძღვნება.

გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული არქივი – პატრიარქის ქადაგებები, პირადი წერილები, ფოტოები, გადასახლებისა და დევნის ამსახველი მასალა. დამთვალიერებელი ასევე იხილავს „მოქცევაი ქართლისაი"-ს ჭელიშურ ხელნაწერს, რომელიც XIV საუკუნით თარიღდება. გამოფენა იმართება ჭყონდიდის მიტროპოლიტ პეტრეს (ცაავა) ლოცვა-კურთხევით. დაინტერესებულ საზოგადოებას ექსპოზიციის დათვალიერების შესაძლებლობა 22 დეკემბრის ჩათვლით მიეცემა.

ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მეცნიერი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი 1921-1927 წლებში მისი უწმიდესობა და უნეტარესობა ამბროსი (ერისკაცობაში ბესარიონ ზოსიმეს ძე ხელაია) სასულიერო სემინარიაში სწავლობდა. მღვდლად იყო სოჭში, შემდეგ სოხუმში. მოღვაწეობდა სოხუმის, ახალი ათონისა და ლიხის საეკლესიო-სამრევლო სკოლების ზედამხედველად და ქართული ენის მასწავლებლად. ებრძოდა ცარიზმის რუსიფიკატორულ და შოვინისტურ პოლიტიკას აფხაზეთში. გამოდიოდა პრესაში შავრაზმელი გოლუბცოვისა და ეპისკოპოს არსენის (იზოტოვი) წინააღმდეგ, რომლების აფხაზებს ქართველების სიძულვილს უნერგავდნენ და დევნიდნენ ქართულ ენას. მოგვიანებით ამბროსი ყაზანის სასულიერო აკადემიაში შევიდა, შემდეგ კი ის ბერად აღიკვეცა. ერთი წლის შემდეგ აკადემიაც დაასრულა. 1901 წელს დაინიშნა ჭელიშის მონასტრის არქიმანდრიტად. სამი წლის შემდეგ გადამოიყვანეს თბილისში სინოდური კანტორის წევრად და ფერისცვალების მონასტრის წინამძღვრად. რუსეთის პირველი რევოლუციის დროს ამბროსი იბრძოდა ქართული მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენისათვის, რის გამოც ის რუსეთში გადაასახლეს. სამწლიანი გადასახლების შემდეგ მას ახალი ბრალდება წაუყენეს, თითქოს ეგზარქოს ნიკონის მკვლელობაში მიეღოს მონაწილეობა. 1910 წელს ქართველი ღვთისმსახური გაამართლეს, მაგრამ სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მისცეს. საქართველოში ის მხოლოდ შვიდი წლის შემდეგ ჩამოვიდა. იყო ჯერ ჭყონდიდის, შემდეგ აფხაზეთისა და სოხუმის მიტროპოლიტი, 1921 სექტემბრიდან კი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი და მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი.

– ამბროსი იკვლევდა ქართულ ისტორიულ ძეგლებს. პეტერბურგის „უწყებებში" და ქართულ პერიოდულ პრესაში „ამბერი"-ს ფსევდონიმით აქვეყნებდა წერილებს საქართველოს პოლიტიკური, კულტურული და საეკლესიო წარსულის და მიმდინარე ვითარების შესახებ. საყურადღებოა მისი „მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში", რომელიც დაიბეჭდა ჟურნალებში „განთიადი" და „ცხოვრება". მან აღმოაჩინა „მოქცევაი ქართლისაი"-ს ჭელიშური ვარიანტი, რომლის შესახებ მოხსენება წაიკითხა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების სხდომაზე. იგი არჩეული იყო ამ საზოგადოების საპატიო წევრად. აქტიურად მონაწილეობდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მუშაობაში. საქართველოს სახელმწიფოებრივი წყობის საკითხში ამბროსი მხარს უჭერდა სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას და ბოლშევიკური რუსეთის მიერ ქვეყნის დაპყრობის შემდეგ, აქტიურად იყო ჩაბმული ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, – აცხადებენ გამოფენის ორგანიზატორები.

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება – აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.




იცხოვრეთ მომავალისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.
ან დარეკეთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ახალი ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების
დედათა მონასტრის წინამძღვარი
იღუმენია ანა (მუსელიანი)


## განცხადებები

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურეზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● სმენის აღდგენა რამდენიმე დღეში, ოპერაციის გარეშე, ასაკის მიუხედავად. დაგვიკავშირდნენ მხოლოდ მკურნალობის ახლავე დაწყების მსურველები. მომავლისათვის მკურნალობის მსურველები დაგვიკავშირდით მხოლოდ მომავალში. მიღება წინასწარი ჩაწერით. მისამართი: ქ.თბილისი, დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი. ტელ: 551-254-535 ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.

● სახის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, გამონაყარი (ასაკობრივი, პათოლოგიური) ფერისმჭამელა, ჭარბთმიანობისგან გათავისუფლება უმტკივნეულოდ, ბიომალამოთი, შედეგი 100%. ტელ: 899-96-44-94; 234-02-38 ქ-ნი ექიმი სპეციალისტი სალომე.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგი. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის სწრაფშესწავლელ კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა „სერთიფიკატი". ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩაჯაგაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

# მოუგებელი ბათუმი და რუსთავია

## თსსუ – შსს 80:105

(21: 25, 15: 24, 18: 28, 26: 28)

**თსსუ:** ტომარაძე (17ქ), ჩიკვილაძე (11ქ), ბექაური (21ქ,12მ), პირველაშვილი, აბაიშვილი, შვანგირაძე (7ქ), ჭოჭუა (10ქ,8მ), ილიჩი (8ქ,9მ), ჯინჭარაძე (3ქ), სამოილოვიჩი (3ქ)

**შსს:** მაკქემონი (15ქ), ლაფანაშვილი (7ქ), ნიკოლაძე (2ქ), ლონდარიძე (8ქ,10მ), ლომოური (2ქ), თენიეშვილი (1ქ), ტუჯანი (8ქ), იმნაძე (6ქ), ბლერი (33ქ,8პ), კრესპი(18ქ,7პ), ბოქოლიშვილი, სმიტი(5ქ,7მ)

მატჩის საწყისი წუთები მედიკოსთა უპირატესობით დაიწყო და შსს-მ ანგარიშის გათანაბრება მხოლოდ მეოთხედის დასრულებამდე 2,5 წუთით ადრე მოახერხა – 13:13, ხოლო მეოთხედის დასრულებამდე 1:32 წუთით ადრე წინ შსს სულაც გავიდა – 23:19, რომელმაც საბოლოოდ პერიოდი 25:21 მოიგო.

აქედან მოყოლებული ძალოვნებს უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვიათ და მეთოდურად ზრდიდნენ. შეხვედრის მეორე მეოთხედში ძალოვნები უფრო მძლავრად ათამაშდნენ. აღსანიშნავია, რომ მეორე მეოთხედის საწყის 5 წუთში მედიკოსებს ქულაც არ ჩაუგდიათ და შსს სოლიდური უპირატესობა დაიბევა – 34:21. ამის შემდეგ ძალოვნები ცოტა დაწყნარდნენ და ტაიმის ბოლოსაც 13-ქულიანი სხვაობა დაფიქსირდა – 49:36.

კიდევ უფრო სოლიდური გახდა ძალოვნების უპირატესობა მესამე მეოთხედში. მედიკოსები აშკარად სუსტად გამოიყურებოდნენ დაცვაში და ვერ შეტევაში გამოსდიოდათ რაიმე ხეირიანი. თუმცა, ისიც უნდა ითვას, რომ შსს-ს კალათბურთელები გუნდურ თამაშზე მეტად აქცენტს ინდივიდუალურ ოტატობზე აკეთებდნენ და ამით არაფერი წაუგიათ.

დასკვნითი ათწუთეული უხვქულიანი გამოდგა, თუმცა ეს ანგარიშში სხვაობას არ დატყობია და შსს-მ იოლად იმარჯვა – 105:80.

სამედიცინოს შემადგენლობაში ბექა ბექაური გამოირჩა, რომელმაც 21 ქულითა და 12 მოხსნით ორმაგი დუბლი მიითვალა. ალბათ მეტსაც შეძლებდა 5 პერსონალური ფოლი რომ არ მიეღო, რის გამოც მოედანი ნაადრევად, მატჩის დასრულებამდე 3 წუთით ადრე დატოვა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს გუნდის რიგებში საუკეთესო ამერიკელი ლეგიონერი ლარი ბლერი გახლდათ, რომელმაც საკუთარ გუნდს 33 ქულით ულიდერა და გამარჯვებაში სოლიდური წვლილი შეიტანა.

## დინამო – ოლიმპი 66:99

(12: 22, 26: 25, 12: 32, 16: 20)



**დინამო:** ბაქრაძე (10ქ), ლეჟავა (7ქ), ლომიძე, სანაძე (14ქ), მარხვაშვილი, კეიდია (1ქ), ალხანაიძე (2ქ), ჯანგველაძე (2ქ), სუხიშვილი (7ქ), დეივი (15ქ), კარტერი (8ქ,9მ)

**ოლიმპი:** გამყრელიძე (27ქ,10მ,14პ), გულისაბედაშვილი (4ქ), ნანიტაშვილი (4ქ), თავართქილაძე, სიგუა, მილუტინოვიჩი (12ქ), მ.ბერიშვილი(12ქ), სლიუკა (11ქ), მუმლაძე (2ქ), ტუტუსი (15ქ), სულაბერიძე, ჰოგერი (12ქ,10მ)

პირველი ათწუთეული ოლიმპელთა უპირატესობით წარიმართა და 22:12 მოიგეს. მეორე მეოთხედში დინამო შეეცადა მდგომარეობის გამოსწორებას, მაგრამ მეტოქეს მხოლოდ ქულით შეუმცირა სხვაობა – 38:47.

ყველაფერი მესამე მეოთხედში გადაწყდა, როდესაც „ოლიმპი" ფანტასტიკურად ათამაშდა. გუნდი თავდაც იხვეჭდა ქულებს და არც მეტოქეს აგდებიებდა. ეს ათწუთელი „ოლიმპმა" 32:12 მოიგო და დაკვნითი მეოთხედი ფორმალობად აქცია.

„დინამოს" შემადგენლობაში დეივ ნოელი გამოირჩა, რომელმაც 15 ქულა დააგროვა, ხოლო ოლიმპის გუნდს გიორგი გამყრელიძემ ულიდერა. საქართველოს ეროვნული ნაკრების გამთამაშებელმა 27 ქულა, 10 მოხსნა, 14 პასი მიითვალა და სამმაგი დუბლის ავტორი გახდა. ორმაგი დუბლი შეასრულა ივო ჰოგერმა, რომლის ანგარიშზეც 12 ქულა და 10 მოხსნაა.

## სტუ – ქუთაისი 78:107

(13: 30, 18: 32, 24: 25, 23: 20)

**სტუ:** ტეტელაშვილი (6ქ), თევზაძე (8ქ), ჩაჩიბაია, ჭოხონელიძე (3ქ), მაჩალაძე (5ქ), ხანიაშვილი (17ქ), კობიძე (13ქ,8მ), დეკანოიძე (2ქ,9მ), ძიძიგური (10ქ), კორძაძე (6ქ), ვ.ბერუაშვილი (5ქ), ანთაძე (3ქ)

**ქუთაისი:** ფაშაევი (7ქ), ბაბუნაშვილი (3ქ), დიდია (5ქ), ტუკვაძე (4ქ), დ.ბარბაქაძე (18ქ,9მ), ლომინაშვილი (4ქ), გ.ბარბაქაძე (31ქ), კუჭავა (7ქ), კოღუაშვილი (14ქ,9მ), ქორიძე (2ქ), მათიაშვილი (12ქ,11მ,13პ)

ქუთაისელებმა თავიდანვე მოიპოვეს სოლიდური უპირატესობა და შეხვედრის პირველ ათწუთეულში დამაჯერებლად 30:13 იმარჯვეს. პირველი პერიოდის მსგავსად, ტექნიკოსებმა მობილიზება ვერც მეორე მეოთხედში მოახერხეს და 31 ქულით ჩამორჩნენ მეტოქეს – 31:62. ფაქტობრივად, მატჩის ბედი აქ გადაწყდა.

მესამე მეოთხედში ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა, ძმები ბარბაქაძეები და რიჩარდ მათიაშვილი შეუჩერებლები აღმოჩდნენ და მესამე მეოთხედის ბოლოს დაფიქსირებულმა ანგარიშმა(87:55) თამაშს აზრი საბოლოოდ დააკარგვინა.

სტუ-ს შემადგენლობაში გიორგი ხანიაშვილი გამოირჩა, რომელმაც 17 ქულა დააგროვა. „ქუთაისის" მხრიდან საუკეთესო 31 ქულით გიგი ბარბაქაძე იყო, 18 ქულა კი დავით ბარბაქაძის ანგარიშზეა. აღსანიშნავია, რომ სამმაგი დუბლი შეასრულა ქუთაისელთა ცენტრმა რიჩარდ მათიაშვილმა, რომელმაც 12 ქულა, 11 მოხსნა და 13 შედეგიანი პასი მიითვალა.

## არმია – ბათუმი 102:68

(33: 8, 19: 20, 28: 17, 22: 23)

**არმია:** რიჩარდსონი (13ქ), ბაბიაშვილი (15ქ), ბოისა, ვ.მინაშვილი (5ქ), კვიმსაძე, ტომასი (10ქ), ჰოუკინსი, მოსეშვილი (5ქ), ათანელიშვილი (12ქ,8მ), შელბომი (9ქ), ვუდსაისი (19ქ,6პ), საყვარელიძე (14ქ)

**ბათუმი:** ი.მაისურაძე (21ქ), რამიშვილი, მიქელაძე (14ქ,7პ), ელიაშვილი (10ქ), ემირიძე, კეშელავა (13ქ), ელიაძე (10ქ)

აქამდე მოუგებელ ბათუმს გამარჯვების შანსი არც ჩემპიონატის ლიდერთან ჰქონდა, თუმცა, პირველივე მეოთდეში იმდენად უსუსურად გამოიყურებოდნენ, რომ მხოლოდ 8 ქულის მოგროვება მოახერხეს და ნატელი გახდა, „არმია" მორიგ იოლ გამარჯვებას ჩაიწერდა აქტივში.

„არმიამ" ყველა კომპონენტში აჯობა ზღვისპირელებს და სუპერლიგის მიმდინარე სეზონში მეტოქეს რიგით მე-8 მარცხი აწვნია.

აღსანიშნავია, რომ სუპერლიგის გათამაშებაში პირველად მატჩი ჩაატარა არმიელთა ახალმა ლეგიონერმა ბენჟამინ ვუდსაიდმა, რომელიც საკუთარი გუნდის რიგებში 19 ქულით საუკეთესო იყო. „ბათუმის" შემადგენლობაში კი დიმიტრი ჩორგოლაშვილი გამოირჩა, რომლის ანგარიშზეა 21 ქულაა.

## რუსთავი – თსუ 81:103

(19: 20, 18: 27, 20: 30, 24: 26)

**რუსთავი:** არწივიძე (8), ჩაჩანიძე (25), მაჭავარიანი (13), ხმელიძე (16ქ,8მ), გუგავა (7ქ,8მ.); გ.არაბული, კ.არაბული, გ.ბერუაშვილი, თვარაძე, ბააკაშვილი (2), კოპალიანი (10)

**თსუ:** ჩიტაშვილი (14ქ,12პ), ფანჩულიძე (23), კორკოტაძე (6ქ,11მ), ზ.მაისურაძე (23), ნინიაშვილი (10ქ,10მ); დ.ბერიშვილი (3), მჭედლიშვილი, კოხრეიძე, მარკოიშვილი, ხიზანიშვილი, შერმადინი (24), ჩქარეული

შეხვედრა თავიდანვე სტუდენტთა უპირატესობით დაიწყო, თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის გუნდა ყველა მეოთხედი მოიგო და მატჩში იოლად იმარჯვა.

თსუ-ს შემადგენლობაში საუკეთესო 24 ქულით სოსო შერმადინი იყო, ხოლო ორმაგი დუბლი ერთბაშად ორმა მოთამაშემ შეასრულა – თორნიკე ნინიაშვილის ანგარიშზე 10 ქულა და ამდენივე მოხსნაა, ხოლო მიხეილ ჩიტაშვილმა 14 ქულა და 12 პასი მიითვალა. რაც შეეხება „რუსთავს", მასპინძელთა მხრიდან რევაზ ჩაჩანიძე გამოირჩა, რომელმაც საკუთარ გუნდს 25 ქულა შესძინა.

### სატურნირო ცხრილი:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.არმია | 8 | 8 | 0 | 746:508 | 16 |
| 2.ქუთაისი | 9 | 7 | 2 | 772:678 | 16 |
| 3.ოლიმპი | 8 | 7 | 1 | 659:581 | 15 |
| 4.სოხუმი | 8 | 6 | 2 | 700:606 | 14 |
| 5.შსს | 8 | 4 | 4 | 701:688 | 12 |
| 6.თსუ | 8 | 4 | 4 | 632:630 | 12 |
| 7.თსსუ | 9 | 3 | 6 | 772:814 | 12 |
| 8.დინამო | 8 | 3 | 5 | 657:722 | 11 |
| 9.სტუ | 8 | 3 | 5 | 649:717 | 11 |
| 10.ბათუმი | 8 | 0 | 8 | 563:713 | 8 |
| 11.რუსთავი | 8 | 0 | 8 | 557:751 | 8 |

# მორიგი ელ კლასიკო ბარსას შესრულებით

## რეალი-ბარსელონა 1:3

***1:0 ბენზემა (1), 1:1 სანჩესი (30), 1:2 ჩავი (52), 1:3 ფაბრეგასი (66)***

**რეალი:** კასილიასი, კოენტრაუ, პეპე, რამოსი, მარსელო, ალონსო, დიარა (ხედირა 62), დი მარია (იგუაინი 68), იოზილი (კაკა 58), რონალდუ, ბენზემა

**ბარსელონა:** ვალდესი, ალვეში, პუიოლი, პიკე, აბიდალი, ბუსკეტსი, ჩავი, ინიესტა (პედრო 89), მესი, ფაბრეგასი (კეიტა 78), სანჩესი (ვილია 84)

გასულ უიქ ენდზე მთელი საფეხბურთო სამყაროს ყურადღება მადრიდისკენ იყო მიპყრობილი, სადაც „სანტიაგო ბერნაბეუს" სტადიონზე რიგით 216-ე „კლასიკო" გაიმართა. თავიდანვე გეტყვით, რომ წელს მოძლიერებულმა „რეალმა" ისევ ვერ გაუწია წინააღმდეგობა „ბარსელონას".

არადა, ამ მატჩს „რეალი" კარგ ფორმაში შეხვდა. თუ ესპანეთის ჩემპიონატისა და ჩემპიონთა ლიგის მატჩებს გავითვალისწინებთ, მადრიდელებს ბოლო 15 თამაში მოგებული ჰქონდათ, რაც „სამეფო კლუბისთვის" სარეკორდო მაჩვენებელია. „სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩატარებული ბოლო 12 თამაშიდან კი, „რეალს" 11 მოგებული ჰქონდა. ის ერთადერთი მატჩი, რომელშიც მადრიდელებმა ვერ იმარჯვეს, მოურინიოს გუნდმა სწორედ „ბარსელონასთან" გამართა. აქედან დასკვნა – „რეალის" შეჩერება ვინმეს შეუძლია, ეს პირველ რიგში სწორედ „ბარსაა". თუმცა, ვის შეუძლია კატალონიური კლუბის შეჩერება, ეს ამ ეტაპზე ძნელი სათქმელია.

„რეალმა" გასაკვირად შემტევი ტაქტიკა ირჩია. მიუხედავად იმისა, რომ ძირითად შემადგენლობაში ერთი ნომინალური თვდამსხმელი ქარიმ ბენზე ჰყავდა, პირველივე წამბიდანვე ეკვეთა მეტოქეს და სწორედ ფრანგი ფორვარდი „კლასიკოში" უსწრაფესი გოლის ავტორი გახდა. 21-ე წამზე ვალდესმა შეცდომა დაუშვა და ბურთი საჯარიმოს წინ მდგომ დი მარიას ჩააბარა. მართალია, არგენტინელის პასი ბუსკეტსმა ჩაჭრა, მაგრამ იოზილის დარტყმისა და რიკოშეტის შემდეგ, ბურთი ბენზემას მიუვიდა, რომელმაც გახსნა ანგარიში.

„რეალი" ამის შემდეგაც უტევდა, თუმცა ხიფათი ამჯერად მათ კართან შეიქმნა და რომ არა კასილიასის ოსტატობა, ანგარიშიც გათანაბრდებოდა. მე-7 წუთზე, მესიმ რამოსის შეცდომით ისარგებლა, ბურთი ფეხთ იგდო, საჯარიმოში შეჭრილმა პეპეც მოატყუა და დაარტყა, მაგრამ კასილიასს ვერაფერი მოუხერხა – იკერმა ურთულესი ბურთი მოიგერია.

25-ე წუთზე, მადრიდელებს მე-2 გოლის გატანა მართებდათ, მაგრამ საჯარიმოს წინა ხაზთან მყოფმა რონალდუმ უმეთვალყურეოდ დატოვებული დი მარიასთვის პასის მიცემას დარტყმა ამჯობინა და ბურთი კარს ააცილა.

რონალდუს ეგოისტური საქციელისთვის „რეალი" 4 წუთში დაისაჯა – მესიმ ბურთი საკუთარ ნახევარზე მიიღო, მადრიდელთა კარისკენ დაიძრა, გზად 3 მეტოქე მოატყუა და სანჩესს გადააწოდა ბურთი, რომელმაც ოდნავ წინ წაიწია და საჯარიმოს წინა ხაზიდან დარტყმით, „ელ კლასიკოში" თავისი სადებიუტო გოლი გაიტანა. პირველ ტაიმში მეტი საინტერესო არაფერი მომხდარა.

მართალია, მე-2 ტაიმიც კვლავ „რეალის" უპირატესობით დაიწყო, მაგრამ საბოლოოდ, გვარდიოლამ მოურინიო მე-2 ტაიმში კიდევ ერთხელ დაჩაგრა. შესვენების შემდეგ შექმნილი პირველივე სახიფათო მომენტი გოლის გატანით დასრულდა. 52-ე წუთზე, მადრიდელებმა ბურთი საჯარიმოდან კარგად ვერ გამოიტანეს, რასაც ჩავის შორეული დარტყმა, რიკოშეტი და გოლი მოჰყვა.

„ბარსა" დაწინაურდა და თუ როგორ შეუძლია ამ გუნდს საქმის ბოლომდე მიყვანა, ფეხბურთში ჩახედულ ხალხს არ ესწავლება – გვარდიოლას შეგირდებმა ბურთის მშვიდად გორება დაიწყეს, რისი წყალობითაც, „რეალის" შეტევებმა კატასტროფულად იკლო. თუმცა, იოლად დანებებსაც არ აპირებდნენ.

65-ე წუთზე, ალონსომ ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა, სადაც უმეთვალყურეოდ დატოვებულმა რონალდუმ თავით დაარტყა, მაგრამ ოდნავ არაზუსტად. მალევე ბენზემამ სცადა გოლის გატანა, მაგრამ მიზანმა მასაც უმტყუნა. 83-ე წუთზე კი, შეცვლაზე შესულ კაკას შეეძლო გატანა, მაგრამ ვალდესმა იყოჩაღა.

თუმცა, ბოლო მომენტებისას „ბარსა" წინ უკვე 2 ბურთით იყო. 66-ე წუთზე, მესიმ მორიგი შეტევა წამოიწყო, რომელშიც ალვეში ჩართო, ბრაზილიელმა თავის მხრივ საჯარიმოში ჩააწოდა და სესკ ფაბრეგასმა თავით გაიტანა.

### მატჩის შემდეგ:

**სესკ ფაბრეგასი:**

– ჩემთვისაც და მთელი გუნდისთვისაც განსაკუთრებული საღამოა. ეს დღე არასდროს დამავიწყდება. ახლა უკვე იაპონიაში გასამართ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატზე უნდა ვიფიქროთ.

**იკერ კასილასი:**

– მატჩში გადამწყვეტი ხავის გოლი გამოდგა. ამ მომენტში არ გაგვიმართლა. „რეალმა" მაღალი სათამაშო დისციპლინა აჩვენა. „ბარსელონა" ჩვენთვის გადაულახავი ბარიერი არ უნდა გახდეს. ეს ომია, რომელიც ჩვენი გამარჯვებით უნდა დასრულდეს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჩემპიონატი 38 მატჩისგან შედგება.

**ხავი:**

– მატჩის დებიუტში დაშვებული შეცდომის მიუხედავად, „რეალს" ყველა კომპონენტში ვაჯობეთ. ჩვენი საფეხბურთო ფილოსოფია კიდევ ერთხელ გამოვლინდა. გვინდოდა, თამაში ჩვენი სცენარით წასულიყო.

**ხაბი ალონსო:**

– მე-2 ტაიმი კარგად დავიწყეთ, მაგრამ ხავის გოლმა დაგვაბნია. თამაში მაშინ დასრულდა, როდესაც „ბარსამ" მე-3 გოლი გაიტანა. ანგარიში 1:0 რაც შეიძლებოდა დიდ ხანს უნდა შეგვენარჩუნებინა. რა თქმა უნდა, შედეგით ძალზე უკმაყოფილონი ვართ, მაგრამ წინ კიდევ არაერთი მატჩია. გამარჯვებულის ფსიქოლოგია არ უნდა დავკარგოთ.

**ჟერარდ პიკე:**

– კარგად ვითამაშეთ. ჩვენი „ბარსელონა" მთელი თამაში დომინირებდა. „რეალი" ძალზე მოტივირებული იყო, მაგრამ ჩვენ ვიცოდით, რაც უნდა გვექნა მოედანზე. საბედნიეროდ, სადავეები ხელიდან არ გაგვიშვია.

**სერხიო რამოსი:**

– „ელ კლასიკო" ყოველთვის განსაკუთრებულია. ასეთ მატჩში მარცხი განსაკუთრებულ ტკივილს გაყენებს. საკუთარ მოედანზე დავმარცხდით, არადა, მატჩამდე დიდი იმედები გვქონდა. „ბარსაზე" მატჩით ნაკლები გვაქვს ჩატარებული და იმედია, ახალ წლამდე სატურნირო ცხრილის სათავეში მოვექცევით. როდესაც ანგარიში 1:0 იყო, მე-2 გოლიც უნდა გაგვეტანა, მაგრამ არ გაგვიმართლა.

**ვიქტორ ვალდესი:**

– „სანტიაგო ბერნაბეუზე" გამარჯვებით, ისტორიაში ახალი გვერდი ჩავწერეთ. დიდი გუნდი და ბრწყინვალე გულშემატკივრები გვყავს. ახლა იაპონიაში მივემგზავრებით. საკლუბო მუნდიალი აუცილებლად უნდა მოვიგოთ.

# შედეგები

## ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

არსენალი-ევერტონი ........ 1:0
ბოლტონი-ასტონ ვილა ........ 1:2
ვესტ ბრომვიჩი-უიგანი ........ 1:2
ლივერპული-ქპრ ........ 1:0
მანჩესტერი-ვულვზი ........ 4:1
ნორვიჩი-ნიუკასლი ........ 4:2
სუონსი-ფულემი ........ 2:0

### ინგლისი. ჩემპიონლიგა

საუთჰემპტონი-ბლექპული ........ 2:2
ბარნლი-პორთსმუთი ........ 0:1
ბირმინგემი-დონკასტერი ........ 2:1
დერბი-ბრისტოლი ........ 2:1
ქოვენთრი-ჰალი ........ 0:0
ნოტინგემი-კრ.პალასი ........ 0:1
რედინგი-ვასტ ჰემი ........ 3:0
უოტფორდი-ლიდსი ........ 1:1
ბარნსლი-იფსვიჩი ........ 3:5

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ლევანტე-სევილია ........ 1:0
ბეტისი-ვალენსია ........ 2:1
რეალი-ბარსელონა ........ 1:3

### ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

საბადელი-ელჩე ........ 0:0
ალკორკონი-სელტა ........ 0:0
ალკოიანო-ხირონა ........ 2:1
ვილიარეალი ბ-ხერესი ........ 3:1
დეპორტივო-ნუმანსია ........ 3:1
კარტახენა-ლას პალმასი ........ 0:0
უელვა-უესკა ........ 1:1
ხომნასტიკი-კორდობა ........ 0:0

### იტალია. სერია ა

ლეჩე-ლაციო ........ 2:3
სიენა-ჯენოა ........ 0:2
ინტერი-ფიორენტინა ........ 2:0
პალერმო-ჩეზენა ........ 0:1

### იტალია. სერია ბ

ასკოლი-ვარეზე ........ 0:0
ვერონა-ალბინოლეფე ........ 1:0
ვიჩენცა-ემპოლი ........ 1:0
გროსეტო-მოდენა ........ 1:1
გუბიო-პადოვა ........ 1:0
ნოჩერინა-კროტონე ........ 0:2
სასუოლო-ლივერნო ........ 2:1
ტორინო-პესკარა ........ 4:2
ჩიტადელა-რეჯინა ........ 3:2

### გერმანია. ბუნდესლიგა

აუგსბურგი-გლადბახი ........ 1:0
ვერდერი-ვოლფსბურგი ........ 4:1
კიოლნი-ფრაიბურგი ........ 4:0
მაინცი-ჰამბურგი ........ 0:0
ნიურნბერგი-ჰოფენჰაიმი ........ 0:2
ჰანოვერი-ლევერკუზენი ........ 0:0

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

ბოხუმი-ფორტუნა ........ 1:1
უნიონი-ფრანკფურტი ........ 4:0

### საფრანგეთი. 1 ლიგა

ვალანსიენი-მონპელიე ........ 1:0
ნანსი-აიაჩო ........ 2:2
რენი-ბრესტი ........ 1:1
სენტ ეტიენი-კაენი ........ 2:0
სოშო-პსჟ ........ 0:1
ტულუზა-ევიანი ........ 2:1
მარსელი-ბორდო ........ 0:0

### ჰოლანდია. ეჰედივიზიონი

ტვენტე-ნაიმეგენი ........ 2:0
ალკმაარი-გრაფსხაპი ........ 4:0
ექსელსიორი-ჰერენვენი ........ 0:5
პსვ-ბრედა ........ 1:0

### პორტუგალია. ა ლიგა

ბრაგა-ფერეირა ........ 5:2
ბეირა მარი-პორტუ ........ 1:2
სპორტინგი-ნასიონალი ........ 1:0

### შოტლანდია. პრემიერლიგა

ჰიბერნიანი-რეინჯერსი ........ 0:2
აბერდინი-სტ.მირენი ........ 2:2
სენტ ჯონსონი-მოზერველი ........ 0:3
სელტიკი-ჰართსი ........ 1:0
ინვერნესი-დანდი ........ 2:3

### ავსტრია. ბუნდესლიგა

რაპიდი-ინსბრუკი ........ 0:0
მატერსბურგი-კაფენბერგი ........ 2:0
რიდი-ნოიშტადი ........ 2:0
შტურმი-აუსტრია ........ 5:1

### ბელგია. პროლიგა

ლოკერენი-სტანდარდი ........ 1:1
გენკი-ლიერსი ........ 4:0
გენტი-ბეერსხოტი ........ 0:1
მონსი-სერკლი ........ 0:2
ევერლე-ვარეგემი ........ 2:2

### შვეიცარია. სუპერლიგა

თუნი-იანგ ბოიზი ........ 1:1
ციურიხი-სიონი ........ 1:1

### საბერძნეთი. სუპერლიგა

ქსანთი-ლევადიაკოსი ........ 1:1
პაოკი-ატრომიტოსი ........ 3:1
აეკი-იანინა ........ 2:1

### თურქეთი. სუპერლიგა

გაზიანთეპი-ერჩიესი ........ 0:1

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

რუხი-კორონა ........ 4:1
ვიძევი-გურნიკი ........ 2:0
ლეგია-კრაკოვია ........ 0:0

### უკრაინა. პრემიერლიგა

ოლექსანდრია-მეტალისტი ........ 1:3
კარპატი-დინამო ........ 0:1
დნიპრო-ჩერნომორეცი ........ 1:0
არსენალი-ვორსკლა ........ 2:0

## ხელბურთი

### მსოფლიოს ჩემპიონატი

### ქალები

ისლანდია-ჩინეთი ........ 23:16
ხორვატია-არგენტინა ........ 23:18
ბრაზილია-ტუნისი ........ 34:33
რუსეთი-ყაზახეთი ........ 34:19

## ჰოკეი

### ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი

ნიუ ჯერსი-მონრეალი ........ 1:2
აილენდერსი-პიტსბურგი ........ 3:6
ბუფალო-რეინჯერსი ........ 1:4
დეტროიტი-ვინიპეგი ........ 7:1
კოლამბუსი-ბოსტონი ........ 3:5
ოტავა-ვანკუვერი ........ 1:4
ფილადელფია-ტამპა ბეი ........ 5:2
ნეშვილი-ანაჰეიმი ........ 3:2
სენტ ლუისი-სან ხოსე ........ 1:0
ფინიქსი-მინესოტა ........ 1:4
ლოს ანჯელესი-დალასი ........ 1:2
კალგარი-ედმონტონი ........ 3:0

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# მეცნიერები მამონტის კლონირებას აპირებენ

იაპონელი და რუსი მცნიერები „იურული პერიოდის პარკის“ მსგავსი ექსპერიმენტისათვის ემზადებიან. მათ მამონტის კლონირება აქვთ განზრახული.



მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მიმდინარე წლის აგვისტოში ნაპოვნ მამონტის ბარძაყის ძვალში ძვლის ტვინის უჯრედები საოცრად კარგად არის შენახული და მათი საშუალებით ისინი კლონირების ექსპერიმენტის დაწყებას ვარაუდობენ.

სპეციალისტები ამტკიცებენ, რომ კლონირება უახლოეს 5 წელიწადში შეიძლება დასრულდეს.

რუსეთში, ციმბირის მამონტის მუზეუმისა და იაპონიის კინკის უნივერსიტეტის მკვლევარები აცხდებენ, რომ ძვლის ტვინის უჯრედიდან ბირთვის ამოღებისა და მისი აფრიკული სპილოს კვერცხუჯრედში გადანერგვას აპირებენ.

მსგავსი ექსპერიმენტები წარსულშიც გაუკეთებიათ, თუმცა, არცთუ დიდი წარმატებით.

კერძოდ, 2009 წელს გავრცელდა ინფორმაცია უკვე გადაშენებული პირინეული თხის კლონირების შესახებ. ამ მიზნით მეცნიერებმა ათი წლის ტყავიდან ამოღებული დნმ გამოიყენეს. კლონირებული თხა დაბადებიდან 10 წუთის შემდეგ სუნთქვის პრობლემების გამო გარდაიცვალა.

როსლინის ინსტიტუტმა, სადაც პირველად მოახდინეს ცხვარი დოლის კლონირება, განაცხადა, რომ გადაშენებული სახეობების კლონირება სავსებით შესაძლებლად მიაჩნია. ეს ინსტიტუტი კლონირებაზე აღარ მუშაობს.

ამასთან, ინსტიტუტის სპეციალისტებმა განაცხადეს, რომ მამონტის კლონირების შესაძლებლობაში მათ ეჭვი ეპარებათ, რადგან იგი მნიშვნელოვან პრობლემებთან არის დაკავშირებული.

ეს პრობლემები განპირობებულია სუროგატი დედის მოძებნის აუცილებლობასთან. ყველაზე ახლოს მამონტთან მეცნიერები ძროხას მიიჩნევენ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში ზომებში სხვაობის გამო ნაყოფის დაღუპვა არის შესაძლებელი.

მეცნიერების ვარაუდით, ექსპერიმენტის წარმატებით დასრულების მხოლოდ 1-5% შანსები არსებობს.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს სიცოცხლისუნარიანი უჯრედების არსებობა. ნაკლებად სავარაუდოა, რომ ნაპოვნ ძვალში სიცოცხლისუნარიანი უჯრედები შემორჩა, რადგან ცხოველის დაღუპვიდან მის გაყინვამდე გარკვეული დრო შეიძლება გასულიყო და ამ დროის განმავლობაში უჯრედები დაზიანებას მოასწრებდნენ.

მეცნიერების ნაწილი ექსპერიმენტებს იმედის თვალით უყურებს. აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად იმისა, გენეტიკური ინფორმაციის უმეტეს ნაწილს ემბრიონი მამონტისაგან მიიღებს, მის ორგანიზმში სპილოს კვერცხუჯრედიდან დნმ-ის ნაწილი მაინც მოხვდება. რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ნებისმიერ შემთხვევაში სპილოსა და მამონტის ჰიბრიდი იქნება და არა წმინდა სისხლის მამონტი.

**გ.თ.**

# იაპონიაში ძვირადღირებული ავარია მოხდა



იაპონიაში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული საავტომობილო ავარია მოხდა. ერთი ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგა დაიმტვრა რვა „ფერარი“, სამი „მერსედესი“ ერთი „ლამბორჯინი დიაბლო“ აგრეთვე „ნისან სკაილაინი“ და „ტოიოტა პრიუსი“.

ჟურნალისტებს ჯერ დამტვრეული მანქანების ღირებულება არ დაუთვლიათ და მხოლოდ ის ითქვა, რომ ერთი „ფერარის“ ღირებულება 355 ათას დოლარს აღწევს.

ავარია ჰიროშიმას პრეფექტურაში, კიუსიუს რეგიონის საზღვართან მოხდა. ზოგიერთი ავტომობილი ისე სერიოზულად არის დაზიანებული, რომ აღდგენას არ ექვემდებარება.

ჭინასწრი მონაცემების თანახმად, ერთ-ერთი ფერარის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და სველ გზაზე გვერდით ბარიერს დაეჯახა.

ცხრა ავტომობილის მძღოლი ავარიაში მოხვდა. ამასთან, მანქანების უსაფრთხოების სისტემებმა მფლობელები სერიოზული ტრავმებისაგან დაიცვეს.

ავტოსაგზაო შემთხვევის გამო გზაზე მოძრაობა ექვსი საათით შეწყდა. სწორედ ამდენი დრო დასჭირდათ ავტოსაგზაო სამსახურებს ავტომობილების ნამსხვრევებისაგან ტრასის გასაწმენდად.

პოლიცია გამოძიებას აწარმოებს.

**გ.თ.**

# კრემლი აფხაზების გარუსებას ცდილობს

დასაწყისი მე-7 გვერდზე

რადგან მათ პრეტენზია აქვთ აფხაზეთზე და ამბობენ, თითქოს ქართველებმა დაიპყრეს და ახლა ედავებიან მიწა-წყალს, ბუნებრივია, აქედან გამომდინარე, აფხაზი სეპარატისტები არასოდეს იტყვიან, რომ ჩრდილოეთ კავკასია მათი წინაპრების მიწაა. ისინი ამბობენ შებრუნებით – აცხადებენ, რომ ჩრდილოეთ კავკასია კი არ არის აფხაზების ისტორიული სამშობლო, არამედ აფხაზეთია აბაზების სამშობლოც და აქედან წავიდნენ აბაზები ჩრდილოეთ კავკასიაში.

***– თვით აბაზებთან ურთიერთობა გქონდათ? ვიცი, რომ თქვენ ამ საკითხებს სწავლობდით. თვითონ ისინი როგორ მიიჩნევენ?***

– ყველაფერი განათლების სისტემასა და განათლების დონეზეა დამოკიდებული. საბჭოთა საგანმანათლებლო სისტემა აფხაზებსაც და აბაზებსაც უნერგავდა იმ თვალსაზრისს, რომ მათი ისტორიული სამშობლო თითქოს დღევანდელი აფხაზების მიწა-წყალი იყო, აქ მხოლოდ აფხაზები და აბაზები ცხოვრებდნენ, მერე, დაახლოებით მე-13, მე-14 საუკუნეებში აბაზების ერთი ნაწილი გადავიდა ჩრდილოეთ კავკასიაში, ხოლო მე-15, მე-16 საუკუნეებში მეორე ნაწილიც თან გაჰყოლია და გადასულან იქით, რაც, რა თქმა უნდა, არანაირ ისტორიულ დოკუმენტს არ ემყარება. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია.

***– ჩვენი ისტორიკოსები და ისტორიული დოკუმენტები, მგონი, სულ სხვა რეალობას წარმოადგენენ.***

– ჩვენი ისტორიკოსების ერთი ნაწილიც ფიქრობდა ასე საბჭოთა პერიოდში, მაგრამ მე ხაზგასმით გავიმეორებ იმას, რომ ამ მოსაზრებას არანაირი დოკუმენტური მასალა არ ადასტურებს. არც ერთ ძველ წყაროში არსად არ წერია, რომ აბაზები აქედან წავიდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში. სამაგიეროდ, იქიდან რომ აქეთ მოდიან, ამის მიმანიშნებელი უამრავი ფაქტი არსებობს და კარგად დასაბუთებული მოსაზრებაა აფხაზების ჩრდილოეთ კავკასიიდან მოსვლის შესახებ.

***– აბაზების განათლებულ ნაწილშიც არ მოიძებნებიან ისეთები, რომლებმაც სიმართლე იციან და მათთვის ცნობილია, რეალურად რა როგორ იყო?***

– ბოლო ორი წლის განმავლობაში აბაზებიც და აფხაზებიც ერთი საგანმანათლებლო სისტემის გავლენას განიცდიდნენ, ისევე, როგორც ქართველები.

***– ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში.***

– დიახ, რა თქმა უნდა. ბოლო ორი საუკუნე იყო მთავარი. ეს იყო დუღილის პერიოდი. ცარიზმი კავკასიის მოსახლეობის არა მარტო გარუსებას ცდილობდა, არამედ ცდილობდა მათი გონების შეცვლას. ეს ისტორიასაც ეხება. ისტორიის გაყალბება იყო ერთ-ერთი მთავარი ამოცანა. ამ გზით ცარიზმიც და საბჭოთა ხელისუფლებაც ცდილობდა, ერთმანეთისთვის გადაემტერებინა მეზობელი და მონათესავე ხალხები. ამას მიაღწიეს კიდეც. აფხაზებისა და აბაზების უმრავლესობამ დღეს იცის ერთადერთი გაყალბებული ისტორია, რომლის თანახმადაც, თითქოს აფხაზებისა და აბაზების სამშობლო ყოფილა დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორია. უფრო შორსაც მიდიან, თითქოს მთელი დასავლეთ საქართველო იყო მათი და ჩერქეზების წინაპრებით დასახლებული, მერე გადასულან ჩრდილოეთ კავკასიაში. მე კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ არანაირი ისტორიული დოკუმენტი ამ აზრს მხარს არ უჭერს. აფხაზებსა და აბაზებს შორის კავშირები საბჭოთა პერიოდშიც იყო და უფრო ადრეც, მაგრამ შედარებით ნაკლები ინტენსივობით, ვიდრე ქართველებთან. დაახლოებით ბოლო 40 წლის განმავლობაში აფხაზებს ხელ-ფეხი ჰქონდათ გახსნილი. ისინი ჩადიოდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში, აბაზურ სოფლებში (მათი გვარები კარგად ვიცი) და აბაზურ მოსახლეობას ეუბნებოდნენ, ჩვენ ვართ ერთი ხალხი, თქვენი სამშობლოც არის აფხაზეთი, ჩვენ ერთად უნდა ვიყოთ, რომ ქართველები ჩვენ ცუდ დღეში გვაგდებენ, ჩვენს გაქართველებას ცდილობენ, გვჩაგრავენ. თუ ერთად ვიქნებით, გადავრჩებითო. ასეთი რიტორიკა იყო. ეს პროცესი იმართებოდა კრემლისგან და აფხაზებისა და აბაზების ყურადღება გადადიოდა სულ სხვა საფრთხეზე. ამით მათ ქართველის სახით მტრის ხატს უქმნიდნენ, რუსი მტრად არ აღიქმებოდა. არადა, ყველაზე დიდი მტერი რუსი იყო აფხაზებისთვისაც. აბაზებისთვისაც და ყველა კავკასიელისთვისაც.

***– როცა დღევანდელ აფხაზებზე და მათ სულიერ კავშირებზე ვსაუბრობთ, ცხადია, მასში არ ვგულისხმობთ იმ ქართველურ ელემენტს, რომელიც დღევანდელ აფხაზებშია, მათ არაფერი აკავშირებთ აბაზებთან.***

– ეს ისეთი საკითხია, დავაც შეიძლება, იმიტომ რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ქართული ელემენტი არსებობდა. მაგალითად, მე-19 საუკუნის 70-იან წლებამდე ჩრდილოეთ კავკასიაში სვანეთის გადაღმა საკმაოდ დიდი ნაწილი სვანეთის მთავრებს ეკუთვნოდათ.

***– პირიქითა საქართველოზე საუბრობთ?***

– დიახ. იქ საძოვრები ჰქონდათ და ადგილობრივი მოსახლეობა, მაგალითად, ყარაჩაელები სვანეთის მთავრებს საძოვრების გამოყენების გამო გარკვეულ საფასურს უხდიდნენ. ინდივიდუალური მოძრაობებიც იყო, მიგრაციები. რაღაც მიზეზის გამო ქართველი ჩრდილოეთ კავკასიაში რომ წავიდოდა, დასახლდებოდა და შემდეგ დაკარგავდა თავის ეთნიკურ შეგნებას, ენას და ხდებოდა იმ ხალხის ნაწილი. დღეს, მაგალითად, ყარაჩაელებში, ბალყარელებში, ჩერქეზებში, საკმაოდ ბევრი ადამიანი გეტყვის, რომ მათი წინაპარი ქართველი იყო. ეს მათ ეამაყებათ.

# საქართველოში გენმოდიფიცირებულმა პროდუქციამ იმატა

დასაწყისი მე-7 გვერდზე

რეფორმების წარმატება, საბაზრო ეკონომიკაზე უახლოეს პერიოდში გადასვლა შესაძლებელია მხოლოდ მკაცრად ორგანიზებული სახელმწიფოებრივი მართვითა და კონტროლით. ამასთან დაკავშირებით უპრიანია, წინა პლანზე წამოვწიოთ განვითარებულ ქვეყნებში საკმაოდ აპრობირებული საკითხი სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციების შესახებ: შერეული ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების სამართლებრივი საფუძვლების შექმნა, მაკროეკონომიკური სტაბილიზების პროგრამის განსაზღვრა ეკონომიკის მაღალეფექტურად ფუნქციონირებისათვის, რესურსების ოპტიმალურად გადაადგილება, გადანაწილება, შემოსავლების განაწილებაზე ზემოქმედების პროგრამების შემუშავება და ასე შემდეგ. სახელმწიფომ უნდა დაარეგულიროს დარგობრივ სტრუქტურებზე ზემოქმედების, ფასების, გადასახადების, კრედიტის, სტრატეგიული მნიშვნელობის პროდუქციაზე შეკვეთების მეშვეობით, სოფლის სოციალურ სტრუქტურაზე ზემოქმედებით. ეკონომიკურ რეფორმას უნდა მიეცეს სტრატეგიული მიმართულება, რომელიც ეტაპობრივად განხორციელდება და რომელშიც პრიორიტეტი პირველ რიგში სოფლის მეურნეობის განვითარებას მიეცემა, ხოლო შემდგომ – მთლიანად სამომხმარებლო ბაზარს მცირე ბიზნესის ჩათვლით.

***– რა უნდა გაკეთდეს ეკონომიკის კრიზისიდან გამოყვანისთვის?***

– ამისათვის შემდეგი ღონისძიებებია გასატარებელი: მკაცრად უნდა იქნეს დაცული კონსტიტუციური მოთხოვნა იმის შესახებ, რომ მიწა საკუთრებაში შეიძლება გადაეცეს მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს. უმართებულოდ ჩაითვალოს სახელმწიფო საკუთრების ტოტალური პრივატიზების პოლიტიკა, რასაც მოჰყვა აგრარულ სფეროში მეურნეობის სახელმწიფოებრივი ფორმის გაუქმება. სოფლად მაქსიმალურად განვითარდეს კოოპერაციული კავშირები როგორც საწარმო, ასევე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკისა. უნდა აღიკვეთოს „რჩეულ მეწარმეთა“ და კომერციული სტრუქტურების „პარტნიორული მონოპოლიზმის“ ტენდენციები, რაც ფერმერთა ფართო ინტერესებს ეწინააღმდეგება. დაუყოვნებლივ უნდა განახლდეს მიწის ნაყოფიერების აღდგენისა და ამაღლების სამუშაოები, სამთავრობო დონეზე გადაწყდეს უცხოური კრედიტების გამოყენება არა მხოლოდ ინფრასტრუქტურის, არამედ საწარმო სფეროს აღორძინებისათვის. აგრარული სფეროს აღორძინებისათვის აუცილებელია ამ და სხვა აქტუალურ პრობლემათა გადაწყვეტა, რაც მხოლოდ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკურ ნებასა და კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული.

## კროსვორდი



1. ქეიფი ერთმანეთში შეგროვილი ფულით; 2. მეოთხე ნოტი; 3. პოეტი-მომღერალი შუა აზიაში; 4. პატარა ბავშვის ლაპარაკი; 5. მწვავე ინფექციური დაავადება; 6. დედმამიშვილი; 7. მაჰმადიანთა ღმერთი; 8. თხევადი ზეთოვანი საწვავი; 9. ცხვრის ნაშიერი; 10. ზღვის თევზი; 11. შინ დამზადებული აბრეშუმის ქსოვილი; 12. ქართველთა დასახლება საფრანგეთში; 13. მაწვნის მსგავსი პროდუქტი; 14. საკიდარი ქვაბი; 15. ინდური ეპოსი; 16. ... ჟირარდო? 17. ბრძოლის ველი; 18. სამთო კურორტი ბორჯომის რაიონში; 19. ჯირითი; 20. ძვირფასი ქვა; 21. ლადო ...; 22. ჭირისუფლის მხლებლები; 23. ... ერქომაიშვილი; 24. პატარა იალქნიანი გემი; 25. ნიავი; 26. სამშენებლო მასალა; 27. ერთგვარი ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 28. მიწის ფართობის საზომი ერთეული; 29. წუნი, ზადი; 30. მძიმე ტვირთის ასაწევი მექანიზმი; 31. სინი.

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. მოწამეთა; 2. პოდიუმი; 3. ნიყვი; 4. მიამიტი; 5. სადახლო; 10. ვიბრაცია; 11. ვაშინგტონი; 12. ბეირუთი; 15. ბივშტექსი; 16. დნეპრი; 17. ფორმულა; 20. „ტოკაი“.

**თარაზულად:** 6. ქორეოგრაფია; 7. ხილნარი; 8. როიტერი; 9. მერიმე; 13. თორი; 14. საბვეი; 18. კროსვორდი; 19. კოლიე; 21. ტოლჩა; 22. ნილოსი; 23. რამიშვილი; 24. რაისშინა.

### კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. როტვეილერი; 2. მუჟუჟი; 3. ტავერნა; 4. რაცია; 5. ფასკუნჯი; 6. „ფორდი“; 7. ჰამსუნი; 9. გუჯარი; 13. ტონგა; 17. ნუგა; 18. არა.

**თარაზულად:** 1. რეზიუმე; 3. ტუბერი; 8. პაგოდა; 10. „გურიელი“; 11. მენჯი; 12. ხარფუხი; 14. ფლირტი; 15. პლატონი; 16. ჯანღი; 19. ბოგოტა; 20. ჭიდაობა; 21. დოლარი.

# რუსეთში მიტინგებს დაკავებების გარეშე არ ჩაუვლია

რუსეთის მასშტაბით გამართულ საპროტესტო აქციებზე 100 ათასზე მეტი ადამიანი გამოვიდა. ისინი არჩევნების გაყალბებას აპროტესტებენ და ახალი კენჭისყრის დანიშვნას მოითხოვენ. ხელისუფლება მოთხოვნების შესრულებას არ აპირებს. უკანდახევას არ ოპოზიცია ფიქრობს.

მოსკოვში მორიგი საპროტესტო აქცია გაიმართება. „ეხო მასკვის“ ცნობით, ამჯერად „ბალოტნის“ მოედანზე ნაციონალისტები გამოვლენ. აქციის ორგანიზატორია მოძრაობა „რუსსკიე“.

მოძრაობის წარმომადგენლის, დიმიტრი დემუშკინის განცხადებით, აქციაზე წამოიწევა ყველა აქტუალური თემა, მათ შორის არჩევნები. მიტინგზე ყურადღების მიღმა არ დარჩება მიგრაციის თემაც. მერიამ ნებართვა 1000 კაციან აქციაზე გასცა.

საპროტესტო აქცია ორგანიზატორებმა „სპარტაკის“ გულშემატკივრის, ეგორ სვირიდოვის გარდაცვალების წლისთავს დაამთხვიეს. რამდენიმე კვირის წინ სვირიდოვის მკვლელობაში ბრალდებულს 20 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

„ბალოტნის“ მოედანზე ყველაზე ხალხმრავალი საპროტესტო აქცია გუშინ გაიმართა. 50 ათასამდე ადამიანმა არჩევნების შედეგები გააპროტესტა, რომლის თანახმადაც, საკანონმდებლო ორგანოში უმრავლესობა „ედიანაია რასიამ“ მოიპოვა.

მასობრივი პროტესტის მიუხედავად, რუსეთის ცესკო არჩევნების შედეგების გადახედვას არ აპირებს. „ინტერფაქსის“ ცნობით, კომისიაში ოპოზიციის მოთხოვნას უსაფუძვლოდ მიიჩნევენ.

– ჩვენ ხელი მოვაწერეთ პროტოკოლს. არჩევნები ცნობილ იქნა ნამდვილად და სხვაგვარი შეფასებების საფუძველი არ არსებობს, შესაბამისად, შედეგების გადახედვის საჭიროებასაც ვერ ვხედავთ, – აცხადებს ცესკოს თავმჯდომარის მოადგილე სტანისლავ ვავილოვი.

მისივე თქმით, საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევასთან დაკავშირებულ საჩივრებზე ცესკო შესაბამის რეაგირებას მოახდენს.

რუსი ოპოზიციონერები რუსეთის ცესკო-ს თავმჯდომარის, ვლადიმერ ჩუროვის გადადგომასაც ითხოვენ.

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ამ საკითხის განხილვაზე უარი თქვა.

ჩუროვის გადაყენებას მხარი მხოლოდ კომისიის ორმა წევრმა დაუჭირა, მათ შორის ერთი ინიციატივის ავტორი ევგენი კოლიუშინი იყო.

ცსკ-ის თავმჯდომარის თანამდებობიდან გათავისუფლება მოსკოვის ცენტრში შეკრებილმა მომიტინგეებმაც მოითხოვეს.

„ბოლოტნი“ მოედანზე მიმდინარე საპროტესტო აქცია, რომელიც სამართლიანი არჩევნების ჩატარებას ეძღვნებოდა ინციდენტების გარეშე მიმდინარეობდა. სხვადასხვა მონაცემებით მიტინგზე 100 ათას ადამიანამდე იყო შეკრებილი.

მიტინგის მონაწილეებმა დუმის არჩევნებზე გამოვლენილ ფალსიფიკაციის ფაქტებთან დაკავშირებით პროტესტი გამოთქვეს და ახალი არჩევნების ჩატარება მოითხოვეს.

მიტინგს ვლადიმერ რიჟკოვი ხელმძღვანელობდა. მასზე სიტყვით გამოვიდნენ პოლიტიკოსები: ბორის ნემცოვი, გენადი გუდკოვი, ოქსანა დმიტრიევა, მიხეილ კასიანოვი, გრიგორი იავლინსკი, სერგეი მიტროხინი, კონსტანტინე კრილოვი. საზოგადოებრივი აქტივისტები, ჟურნალისტები – ლეონიდ პარფიონოვი და დიმიტრი ბიკოვი, მწერალი ბორის აკუნინი და ტელეწამყვანი სვეტლანა ლაზარევა. ჟურნალისტმა ოლეგ კაშინმა პატიმრობაში მყოფი ოპოზიციონერის ალექსეი ნავალნის მიმართვა წაიკითხა.

– „ჩუროვი ნარებზე!“, „გადადგეს პუტინი!“, „თავისუფლება პოლიტპატიმრებს!“, „რუსეთი იქნება თავისუფალი!“, „მოგვეცით ახალი არჩევნები!“, „დროა ხელისუფლება შეიცვალოს!“, – ეს არის ლოზუნგები და მოთხოვნები, რომლებიც გუშინდელ მიტინგს ახლავდა თან.

მოსკოვში გამართული აქციის მონაწილეებმა 5-პუნქტიანი რეზოლუცია მიიღეს

რუსული სააგენტოების ცნობით, მიტინგზე 5 პუნქტიანი რეზოლუცია იქნა მიღებული, რომელიც შემდეგ მოთხოვნებს შეიცავს:

– გაყალბებული არჩევნების შედეგების გაუქმება, ცსკ-ის თავმჯდომარის ვლადიმერ ჩუროვის თანამდებობიდან გადადგომა, ყველა დარღვევის გამოძიება და პოლიტპატიმრების დაუყონებლივი გათავისუფლება.

გარდა ამისა, აქციის მონაწილეებმა ახალი სამართლიანი და გამჭირვალე არჩევნების ჩატარება მოითხოვეს.

აქციის ორგანიზატორები იმედოვნებენ, რომ ახალ საპროტესტო აქციას 24 დეკემბერს გამართავენ.

შეგახსენებთ, რომ მიტინგისათვის მზადება სოციალურ ქსელ „აცებოოკ“-სა და „ვ კონტაქტ“-ში მიმდინარეობდა. საპროტესტო მიტინგები რუსეთის თითქმის ყველა ქალაქში გაიმართა.

– მთლიანობაში რუსეთის დუმის არჩევნებზე არსებული დარღვევები სავარაუდოდ 100 ათასმა ადამიანმა გააპროტესტა, – წერს რუსული მედია.

ამავე დროს, რუსული სააგენტოების ცნობით, მოსკოვის თავზე სამხედრო ვერტმფრენები პატრულირებდნენ.

რუსი სამართალდამცველების ინფორმაციით, ისინი სიტუაციის მონიტორინგს ვერტმფრენების დახმარებით ახორციელებენ და მათი გამოყენება მოსკოვში გახშირებულ ქუჩის აქციებს უკავშირდება.

ამასთან, დილიდან მოსკოვის ქუჩებში 50 ათასი პოლიციელი და შინაგანი ჯარის სამხედრო მოსამსახურე იყო გამოყვანილი.

– დაკავებების გარეშე მიტინგებს არ ჩაუვლია. აქციის მონაწილეები დააპატიმრეს ხაბაროვსკში, ულიანოვსკსა და ჩიტაში და რუსეთის კიდევ რამდენიმე ქალაქში, – იუწყება რუსული მედია და დაკავებული ადამიანების რაოდენობას არ აკონკრეტებს.

„ნოვაია გაზეტას“ რედაქციაში ტელეფონები და ინტერნეტი გამორთეს. ინფორმაციას ამის შესახებ რუსული მედია ავრცელებს. გაზეთის რედაქციიდან დამატებითი ინფორმაცია კომუნიკაცების გათიშვასთან დაკავშირებით არ ვრცელდება, თუმცა რედაქციაში ამ ფაქტს მოსკოვში მიმდინარე აქციებს უკავშირებენ.

აღსანიშნავია, რომ მოსკოვის პარალელურად საპროტესტო აქციები მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში გაიმართა.

აქციები ლონდონში, მადრიდში, ოსლოში, პარიზში, ბუდაპეშტში, ტორონტოში, იუკში, კიევსა და თელავივში გაიმართება.

აქტივისტებმა პროტესტის ნიშნად რუსეთის საელჩოებთან თეთრი ყვავილები მიიტანეს.

# ირანი აშშ-ს ჩამოგდებულ უპილოტო თვითმფრინავს არ დაუბრუნებს

ირანი თავის საჰაერო სივრცეში ჩამოგდებულ უპილოტო თვითმფრინავს შეერთებულ შტატებს არ დაუბრუნებს. ამის შესახებ ჟურნალისტებს, ისლამური რევოლუციის მცველთა კორპუსის ერთ-ერთმა მეთაურმა, ხოსეინ სალამიმ განუცხადა.

– თავის ტერიტორიაზე უცხო სადაზვერვო აპარატს არავინ არასოდეს მიესალმება და მას არ დააბრუნებს. მსგავს ინციდენტს ნებისმიერი ქვეყანა მტრულ აქტად შეაფასებს, რომელიც ნაციონალურ უსაფრთხოებას საფრთხეს უქმნის, – ამბობს ირანელი გენერალი.

მისივე თქმით, ირანელი სამხედროები მათ განკარგულებაში მყოფ ტროფეის დაწვრილებით შეისწავლიან. თუმცა, ისლამურმა რესპუბლიკამ ამის გარეშეც ანალოგიური აპარატების შექმნაში სერიოზულ წარმატებებს მიაღწია.

გენერალის აზრით, უფრო დიდი მნიშვნელობა იმას აქვს, რომ ირანის მტრებმა, მის სამხედრო პოტენციალთან დაკავშირებით დასკვნები უნდა გამოიტანონ.

შეგახსენებთ, რომ ირანმა აშშ-ს საიდუმლო იარაღის „ყანდაღარის მხეცის“ ტელეტრანსლირება მოახდინა.

პირველად ეთერში მათ ხელში მოხვედრილი უახლესი ამერიკული უპილოტო თვითმფრინავი ირანელმა სამხედროებმა აჩვენეს.

ისლამური რევოლუციის დამცველთა კორპუსის მეთაურის ამირ ალი ხაჯიზადეხის განცხადებით, აშშ-ს საიდუმლო უპილოტო თვითმფრინავისვარდნის მიზეზი იარნული სპეცსამსახურების კიბერშეტევა გახდა.

ინფორმაციას ამის შესახებ სააგენტომ ირანის სახელმწიფო ტელევიზიაზე დაყრდნობით გაავრცელა.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ირანის აღმოსავლეთ ნაწილში სამხედროებმა ამერიკული „ღ-170“-ის ტიპის უპილოტო თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

ამ უპილოტო თვითმფრინავს „ყანდაღარის მხეცის“ სახელითაც იცნობენ.

აშშ-ს მთავრობამ მოგვიანებით განაცხადა, რომ არ არსებობს არავითარი საფუძველი იმისა ვიფიქროთ, რომ უპილოტო თვითმფრინავი სწორედ ირანელმა სამხედროებმა ჩამოაგდეს.

ნაჩვენებ უპილოტო თვითმფრინავს არ აქვს არავითარი თვალსაჩინო დაზიანება, ირანელი სამხედროების თქმით, უპილოტო თვითმფრინავი აღჭურვილია დაკვირვების უახლესი სისტემებით, მონაცემთა მიღებით, ელექტრონული კავში-



რითა და რადიოლოკაციით და მისი გამოყენებით სხვადასხვა სადაზვერვო მასალის მიღებაა შესაძლებელი.

აშშ-ს მხარე იუწყება, რომ ამ უპილოტო თვითმფრინავს ცენტრალური სადაზვერვო სამსახური ირანის ბირთვულ ობიექტებზე ინფორმაციით შეგროვებისთვის იყენებდა. ჯერჯერობით გაურკვეველი მიზეზების გამო მასთან კავშირი დაიკარგა.

„როიტერის“ ინფორმაციით, ამჟამად ირანელი სამხედროების განკარგულებაში მყოფი უპილოტო თვითმფრინავი ისე იყო დაპროგრამებული, რომ ოპერატორთან კავშირის გაწყვეტის შემთხვევაში თავად დაბრუნებულიყო ბაზაზე, მაგრამ ამ პროგრამამ არ იმუშავა და ალბათ ეს გახდა მიზეზი თვითმფრინავის ჩამოვარდნისა.

ამჟამად ვაშინგტონში შიშობენ, რომ ამ უპილოტო თვითმფრინავის წარმოების ტექნოლოგიები რუსეთს ან ჩინეთს ჩაუვარდება ხელში.

# საფრანგეთმა პანამას ყოფილი დიქტატორი მანუელ ნორიეგა გადასცა

საფრანგეთის ხელისუფლებამ ყოფილი პანამელი დიქტატორის, მანუელ ორტეგას სამშობლოში ექსტრადაცია მოახდინა, სადაც პატიმრობას გააგრძელებს, – ინფორმაციას რია „ნოვოსტი“ „აფრ“-ზე დაყრდნობით ავრცელებს.

77 წლის ნორიეგა ფრანგულ ციხეში, ნარ-



კოტრაფიკისგან მიღებული 2,3 მილიონი ევროს ამ ქვეყანაში გათეთრებისთვის იხდიდა. პანამაში სასჯელს მოიხდის 1985 წელს, ერთ-ერთი პოლიტიკური მოწინააღმდეგის, უგო სპადაფორმის მკვლელობისთვის, რომელიც თავმოჭრილი იპოვეს.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ფრანსუა ფიიონმა ყოფილი დიქტატორის ექსტრადაციის განკარგულებას ხელი 3 დეკემბერს მოაწერა; ამის შესახებ მთავრობის მეთაურის ბრძანებულება ჯერ კიდევ 6 ივლისს გამოქვეყნდა, თუმცა დიქტატორის გადაცემა მხოლოდ სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებით მოხდებოდა.

კვირას დილით ნორიეგა დაცვის ქვეშ და პანამის ხელისუფლების წარმომადგენლების თანხლებით პარიზი-ორლის აეროპორტში თვითმფრინავში დასვეს, რომელიც ჯერ – მადრიდში, ხოლო იქიდან პანამაში გაფრინდება.

მედიის მონაცემებით, მანუელ ნორიეგა დიდი ხნის განმავლობაში ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს (ცსს) ფასიანი ინფორმატორი იყო. ამერიკული დაზვერვისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო მონაცემების მიღება ქვეყანაზე, რომლის ტერიტორიაზეც სტრატეგიულად მნიშვნელოვანი პანამის არხი მდებარეობს.

თუმცა, შემდგომში ნარკომოვაჭრეებთან კავშირების გამო, ამერიკულმა ადმინისტრაციამ ნორვეგიას მხარდაჭერა შეუწყვიტა. სწორედ ეს გახდა 1989 წელს პანამაში შეჭრის მიზეზი.

ცნობისთვის, მანუელ ანტონიო ნორიეგა მორენო, პანამელი პოლიტიკოსი და სამხედრო ჩინოსანი; პანამის დიქტატორი 1983-89 წლებში.

1989 წელს პანამაში აშშ-ის შეჭრამ ბოლო მოუღო მის მმართველობას. ის შეიპყრეს და აშშ-ის საპყრობილეში გადაიყვანეს.

1992 წელს სასამართლოზე ნორიეგას ბრალი წაუყენეს რვა მუხლით, მათ შორის ნარკოტიკების პარტიებით ვაჭრობაზე, რეკეტსა და ფულის გათეთრებაზე. თხუთმეტწლიანი პატიმრობის შემდეგ აშშ-ის ციხიდან ის 2007 წელს გამოუშვეს, პანამისა და საფრანგეთის მხრიდან ექსტრადიციის მოთხოვნის საფუძველზე (1995 წელს მკვლელობისა და 1999 წელს ფულის გათეთრებისთვის, შესაბამისად).

2010 წლის აპრილში საფრანგეთის ექსტრადიციის მოთხოვნა დააკმაყოფილეს. პარიზში ნორიეგა 2010 წლის 27 აპრილს ჩავიდა, სადაც ხელახალი სასამართლოს შემდეგ, ის დამნაშავედ იქნა ცნობილი და 2010 წლის ივლისში შვიდწლიანი პატიმრობა მიესაჯა.

# ლონდონში დემონსტრაცია კონტროლიდან გამოვიდა

ლონდონის ცენტრში დემონსტრაციისას 143 კაცი დააპატიმრეს. საპროტესტო აქცია კონგოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პრეზიდენტ ჯოზეფ კაბილას ხელახლა არჩევის წინააღმდეგ იმართებოდა, – ინფორმაციას „ბი-ბი-სი“ ავრცელებს. დემონსტრანტების ბრბომ აქციისთვის გათვალისწინებული ტერიტორია გაარღვია და ავტომანქანების, მაღაზიების ვიტრინების მტვრევა დაიწყო.

პოლიცია იძულებული იყო ლონდონის რიგი ქუჩები გადაეკეტა, სადაც სამთავრობო შენობები და ტრაფალგარის მოედნის ნაწილი მდებარეობს.

ერთი დღით ადრე, კონგოს მოქმედმა პრეზიდენტმა კაბილამ, ადგილობრივი ცესკოს მონაცემებით, სახელმწიფოს მეთაურის არჩევნებზე გაიმარჯვა.

გამოცხადებულია, რომ ჯოზეფ კაბილამ ხმების 49% მიიღო. მაშინ როცა მისმა მთავარმა მეტოქემ, ოპოზიციის ლიდერმა ეტიენ ტშისეკედიმ – 32%.

შედეგების გამოქვეყნდება, ბიულეტენების



გადათვლასთან დაკავშირებული პრობლემების გამო დაგვიანდა.

ოპოზიციის მომხრეებმა მასობრივ მაქინაციებზე განაცხადეს და ქუჩაში გამოსვლის პირობა დადეს, თუ მოქმედი პრეზიდენტი გაიმარჯვებდა.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

## TV პროგრამა

**ოიშაბათი 12 ღეკემბეიი**

**07.30** ჩვენი დილა **11.00** სამოთხის ვაშლები **12.00**, **16.00**, **20.00** მოამბე **12.45** ვ. სანაიას რეპორტაჟი **13.50** 10 პლუს **10 15.00** ჩვენი ფერმა **15.30** ჩვენი სამართალი **17.00** დოკ. ფილმი "სამყარო" **18.00** პეპე და მეგობრები **19.05** სერიალი "**მეორე შანსი**" **21.00** სერიალი "**ნიკიტა**" **22.00** აუდიტორია **23.00** საფეხბურთო მიმოხილვა **00.00** ღამის საუბრები **00.45** საფარი **01.15** მოამბე **01.35** მხ. ფილმი "**წმინდანი**" (**18**) **03.35** მხ. ფილმი "**საბედისწერო რვიანი**" (**12**) (გ. პელტროუ)

**08.00** დოკ. ფილმი **09.00** საბ. ფილმი **10.30** ვ. სანაიას რეპორტაჟი **11.30** დოკ. ფილმი **12.30** ქართული დოკუმენტალისტიკა **13.30** ისტორია **14.30**, **17.45**, **23.30** ბრიფინგის დროით **16.00** დოკ. ფილმი **17.00** მეხსიერება **19.00** სერიალი "**ელიტარული უბანი**" **20.00** მხ. ფილმი "**პოსეიდონის თავგადასავალი**" **21.30** დოკ. ფილმი "მწვანე გორგალი" **22.00** თავისუფალი ტრიბუნა **00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **01.00** მხ. ფილმი "**ნორმალური ცხოვრება**"

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერიალი "**როსალინდა**" **11.00** სერიალი "**კლონი**" **12.00**, **15.00**, **18.00**, **21.00**, **03.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს კურიერი **13.30** შუა დღე **15.40** იღბლიანი ბორბალი (გან.) **17.00** სერიალი "**ავრორა**" **18.45** სერიალი "**მიყვარხარ ლოლა**" **19.45** სერ."**სახლი მეზობლად**" **22.00** ჯეოსტარი **00.00** შუა დღე **01.00** პატრული **01.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**07.30** იმედის დილა **10.00** სერიალი "**მოპარული ბედნიერება**" **11.00**, **14.00**, **17.00**, **20.00**, **03.00** ქრონიკა **11.40** სერ. "**ქალის სიტყვა**" **12.30** დღის შოუ **14.30** ტვ-მარკეტი **14.40** სერ. "**ყავა და ლუდი**" **16.00** სერიალი "**შურისძიების საფასური**" **17.40** სერიალი "**ევა ლუნა**" **19.05** სერ."**ბედისწერის ძალა**" **21.00** სერიალი "**დამალული სიმართლე**" **22.00** მხ. ფილმი **23.50** მუს. ლიგა **01.15** მხ. ფილმი "**რა სურთ ქალებს**" (მ. გიბსონი) **03.50** მხ. ფილმი "**მტრის საწოლში**" (**12**) (ჯ. რობერტსი) **06.30** სერიალი "**მარინა**"

**08.00** ანიმაცია "პრინცესა შეჰერაზადა" **08.55** სერიალი "**ჩემი შეყვარებული**" **10.00** მხ. ფილმი **12.00**, **15.15**, **17.00** ტვ-მარკეტი **12.15** სერიალი "**არაბული ღამეები**" **13.00** მზესუმზირა (პირდ.) **15.30** პულსი **16.00** დოკ. ფილმი **17.10** სერიალი "**ტყუპები**" **18.00** მხ. ფილმი **20.00** სერ."**შოკის შემდეგ**" **21.00** სერ."**გაუხსნელი საქმე**" **22.00** მხ. ფილმი **00.00** მზესუმზირა (გან.) **02.00** მხ. ფილმი

**08.30**, **11.30**, **14.30**, **17.30**, **20.30**, **22.30**, **01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** სერიალი "**ექიმი ქმორი**" **10.30** დოკ. ფილმი **11.10**, **14.10**, **17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40**, **15.00**, **18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50**, **21.10** სერიალი **12.50**, **19.35** სერიალი **15.15** სერიალი "**ექიმი ქმორი**" **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფილმი **23.00** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** **08.30** განთიადი **10.05** პატრიარქის ქადაგება **10.35** კვირიაკე **11.55**, **14.55**, **17.55**, **20.55**, **23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00**, **15.00** საეკლესიო კალენდარი **12.10** მხ. ფილმი "**ვერის უბნის მელოდიები**" **13.30** კონცერტი – ანს. "ნიჟინარი და სახიობა" **15.05** განთიადის სტუმარი **15.30** სპექტაკლი "**ბნელ ოთახში**" **16.50** დოკ. ფილმი "ველური ბუნება" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.40** □ველი აღთქმის განმარტებანი **19.00**, **22.00**, **00.05** სიახლენი **19.15** მხ. ფილმი "**ჟუჟუნას მზითევი**" **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** სღვთისმეტყველო საუბრები **22.20** დოკ. ფილმი "ქართული კინოს მატიანე" **22.35** დოკ. ფილმი "აბიბოს ნეკრესელი" **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** მოკ. ფილმი "წყარო გზის პირას" **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** პერსპექტივა

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

12 დეკემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6613

ევრო —2,2702

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,7208

რუსული რუბლი — 0,057

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 7–10, ღამით — 1–3

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა, დღისით — 11–14, ღამით — 5–7

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა, დღისით — 0–6, ღამით — -11 -1

## ამინდის პროგნოზი 12 დეკემბრისთვის







# მალე! მალე! მალე!

გაზეთ „ახალ თაობასთან“ ერთად

# „ახალგაზრდა სტალინი“

## საიმონ სებაგ მონტეფიორე

## ასტროპროგნოზი 12 დეკემბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ვერძი** — არ აჩქარდეთ, მშვიდად იმოქმედეთ. **კურო** — ფულს შოულობთ, ნავაჭრით კმაყოფილი ხართ. **ტყუპები** — შემოქმედებითი დღეა, უფროსობა გწყალობთ. **კირჩხიბი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** — ახალი საქმე გაამართლებს, ფული გექნებათ. **ქალწული** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ. **სასწორი** — სიტუაცია გამოსწორდა, პრობლემები არ გაქვთ. **ღრიანკალი** — შრომა დაგიფასდებათ, მოთმინებით აღიჭურვეთ. **მშვილდოსანი** — მოაწყვეთ განტვირთვის დღე, მიიღეთ ხილი და ბოსტნეული. **თხის რქა** — დაისვენეთ, ზედმეტს ნუ იმუშავებთ. **მერწყული** — ოცნება აგისრულდებათ, მთავარია მოინდომოთ. **თევზები** — ახალ პროექტში ჩაგსვამენ, უკმაყოფილო არ დარჩებით.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## კროსვორდი ა

**თარაზულად:** 5. სახელმწიფო სამხრეთ ამერიკაში; 6. ერთად მიმავალი ცხენოსანთა ჯგუფი; 9. მეკობრე; 10. ფხვიერ და თხევად ნივთიერებათა საწყაო; 11. ზოლებიანი აფრიკული ცხოველი; 13. უზენაესი ღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში; 15. ხელოვნების დარგი; 18. ჩანთოსანი დათვი; 21. ფიცრებით გაკეთებული შემაღლებული ადგილი; 22. სპილენძის მინერალი; 23. მხარეთა მაჩვენებელი.

**შვეულად:** 1. მიწის თხილი; 2. ხელოვნური თმა; 3. წელიწადის მეოთხედი; 4. ჩანთა ნანადირევისათვის; 7. სარტყმელი საკრავი; 8. მიცვალებულის გვამის დაწვა; 12. დიდხანს ნამსახური; 14. ცხენების მომავლელი; 16. დიდი შენობის მთავარი შესასვლელი; 17. ზღვის პატარა თევზი; 19. „დაისის“ პერსონაჟი; 20. ერთხმიანი საოპერო სიმღერა.

*შეადგინა ოლივერ კოხიამ*




## რეზო ჩხეიძე 85 წლისაა

ეკა ირემაშვილი

ქართველი კინორეჟისორი რეზო ჩხეიძე იუბილარია. მას დაბადებიდან 85 წელი შეუსრულდა. ხელოვანის იუბილე რესტორან „ლოიდში" მისმა მეგობრებმა, კოლეგებმა, ოჯახის წევრებმა და უახლოესმა ადამიანებმა აღნიშნეს. 120-კაციან სადღესასწაულო სუფრას კინომცოდნე, პროფესორი გოგი დოლიძე თამადობდა.



„ჩვენი ეზო“, „მაია წყნეთელი“, „განძი“, „ზღვის ბილიკი“, „ჯარისკაცის მამა“, „ღიმილის ბიჭები“, „ნერგები“, „მშობლიურო ჩემო მიწავ!“ – ეს ფილმთა ის მცირე ჩამონათვალია, რომელიც რეჟისორმა თავისი

გაგრძელება მე-8 გვერდზე

## იგორ კოკოშკოვი 2 წლით დარჩა




საქართველოს ეროვნულ ნაკრებს კალათბურთში კიდევ 2 წელი იგორ კოკოშკოვი გაწვრთნის. საქართველოს კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა და სერბი სპეციალისტი ურთიერთთანამშრომლობის გახანგრძლივებაზე შეთანხმდნენ.

იგორ კოკოშკოვის გაწვრთნილი ნაკრების ევრობასკეტზე გამოსვლა დადებითად შეფასდა და ფედერაციის ხელმძღვანელობამ კოკოშკოვთან ურთიერთობის გახანგრძლივება გადაწყვიტა. სერბი სპეციალისტი საქართველოს ნაკრებს ევროპის მომავალი ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში უხელმძღვანელებს, რომელიც 2012 წლის აგვისტო-სექტემბერში გაიმართება. წარმატების შემთხვევაში საქართველო სლოვენიაში 2013 წელს გასამართ ევროპირველობაზე მოხვდება.

კალათბურთის ფედერაციაში უკვე მიმდინარეობს მუშაობა ეროვნული ნაკრების მოსამზადებელ ციკლთან დაკავშირებით, რომელიც უშუალოდ იგორ კოკოშკოვის რეკომენდაციების გათვალისწინებით დაიგეგმება.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## ხართ თუ არა აქტიური ადამიანი?

### ტესტი



1. კარგად გრძნობთ თუ არა თავს ბრძოლის, მეტოქეობის ატმოსფეროში?
2. გიყვართ თუ არა ცეცხლის ცქერა?
3. ხართ თუ არა ვერძი, ან ლომი, მშვილდოსანი
4. ადვილად იტანთ უარს, მააინაც კი თუ იცით, თქვენი თხოვნის ესრულება ეუძლებელია.
5. გიყვართ თუ არა ლაპარაკი?
6. გიყვართ თუ არა საქმიანობა, რომელიც სწრაფ რეაქციას ითხოვს?
7. მიგაჩნიათ, თუ არა, რომ ყველა გზას მიზნისკენ მიიყევხართ?
8. მიგაჩნიათ თუ არა, რომ სასიხარულოა, რომ ასეთ აქტიურ პერიოდდი ვცხოვრობთ?
9. გყოფნით თუ არა ენერგია დაბრკოლებების გადასალახავად?
10. დარწმუნებული ხართ, რომ საზოგადოებაშში გარკვეული მდგომარეობის მისაწწევად ცხოვრებისეული სკოლის გავლა არის საჭირო?

### პასუხები

**დადებითი პასუხების მიხედვით**

**0-5 ქულა:** სამწუხაროდ, ენერგიული არ ხართ, ადვილად და სწრაფად იწლებით, არ გიყვართ პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აწება. გიჭირთ გადაწყვეტილების მიწება.

**6-10 ქულა:** მხიარული ხართ, ადვილად ეწყობით ადამიანებს. გაქვთ ხელმძწვანელისათვის დამახასიათებელი თვისებები. ვერ იტანთ, როდესაც სხვა ადამიანებზე ხართ დამოკიდებული. მიგაჩნიათ, რომ რაც იცით, თქვენივე დამსახურებაა.

**გ.თ.**

ლურჯი წითელი ყვითელი შავი